


ლიტერატურული გაზეთი

№17 (177) 16 - 29 სექტემბერი 2016

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



გიორგი ლობჯანიძე

ლოგოსი

აი, ია
და აი, თითი...
ასო და ასო...
ხელიდან როგორ გამირბიხარ,
ყოველი ხაზო!
რა ჯიუტი ხარ,
რა თავკერძი,
როგორი ფინთი...
ამასობაში კი მთელ ნაწერს ეცემა ბინდი,
მაგრამ სათქმელმა ლამის ენა გადაიტყავა:
„აქეთ მომხედე, დალოცვილო,
მე ხომ სიტყვა ვარ.
სიტყვა კი არა,
ხორცშესხმული მე ვარ ლოგოსი.
როგორც ოცნება
ცამეტი წლის სოფელ გოგოსი,
რომლის მღვიმემაც იგრძნო ნესტი თავდაპირველი...“
მღვიმე — გოგოს და
გოგო — კაბას,
როგორც ფრინველი,
ისე ეხლება
და სივრცეში გაღწევას ლამობს...
ამ მოსაწყენი, არეული მაისის გამო,
მაგრამ არ იცის:
გარეთ როგორ გავიდეს, როგორ! —
სად ლოგოსი და...
სად პატარა, სოფელი გოგო!

IV

მედას ცრემლები

იუნაუს ბაჟინივიჩის სვანეთში, ნაშ-
თქოლში გავიციანი იმ წელს, მსოფლიო
ფოლკლორიადა რომ ჩატარდა მესტიამში.

სანამ მთავარ სათქმელს მოვეყვებოდე,
ფოლკლორიადაზეც შეიძლება ცოტას
თქმა. 2016 წელს არასამთავრობო ორგა-
ნიზაცია „მომავლის სოფელი“ მსოფლიო
ფოლკლორიადის ოფიციალური პარტ-
ნიორი გახდა, იმ წელს კი, მე რომ იუნაუსს
შევეხვი, საპატიო მასპინძელი ქვეყნის
სტატუსით უსმენდა ხმელეთის დანარჩენი
ნაწილის ფოლკლორულ მუსიკას.

წელს მასპინძელი ქვეყნის სტატუსით
ვიყავით და სვანეთში იმაზე მეტი ტურის-
ტი იყო, ვიდრე ეს ერთ პატარა კუთხეს შეუ-
ძლია დაიტოს.

მასხოვს, 2015 წელს ლატალიდან თბი-
ლისში მოვდიოდით, მღვდელმონაზონი
დაგვეგზავნა, ფეხით დადიოდა ქართუ-
ლი ეკლესია-მონასტრების მოსალოცად,
გზაში ასეთი რამე თქვა: სვანეთში მილიონი
ადამიანი ცხოვრობდა სტრაბონის აღწ-
ერით. შევეკამათე, მილიონი კაცი რო-
გორ დაეტეოდა ადგილას, სადაც ციხე-
კოშკი დგას სულ რაღაც ათასამდე-მეთქი.
მხრები აიჩქრა, ასე წამიკითხავსო.

ახლა კი სვანეთში კარტოფილის და-
სათესი ადგილი აღარ იყო, მხარე ერთი
თვით მხოლოდ იმ ტურისტებისთვის დარ-
ჩა გასწილი, ფესტივალისთვის რომ ჩამო-
დიოდნენ მსოფლიოს ყველა ნაცნობი თუ
უცნობი კუთხიდან.

მე ჩემ მეგობართან, ლევან ხორგუან-
თან დავრჩი. ნაშთქოლში მამა-პაპისეულ
მინაზე ისეთ კარგ ადგილას ედგა კოხტა
სამი სახლი, უკეთესს ვერც ინატრებდი
უშბის გამთენიისას შეთვალეერების მსურ-
ველი ადამიანი.

ხეობა კერძო მანქანებისთვის დილის 8
საათიდან საღამოს 11-მდე დაკეტილი იყო,
მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტი
მომარობდა. ეს გავითვალისწინე და გადა-
ვფრინდი. იუნაუსი სწორედ მაშინ გავ-
იცანი, ლევანმა საკუთარ ეზოში მანქანა
რომ გააჩერებინა.

ჭაღარაშერეული კაცი იყო, ალბათ
ერთი ხნისა ვიქნებოდით. ისეთი გამოხედ-
ვა ჰქონდა, როგორც მხოლოდ ფანატი-
კოსებს და რაიმე დიდი იდეით შეყვრილი
ადამიანებს აქვთ. მოკლედ, ოქროს სანმი-
სის ლეგენდას მიყვებოდა.

ბევრნაირი ვერსია მომისმენია ოქროს
სანმისის მითზე, კოლხეთის დაბლობიდან
დანყებული, შორაპნის ციხით გაგრძელე-
ბული და ყაზახეთის რომელიღაც სოფლით
დამთავრებული, მაგრამ იუნაუსის მონაყ-
ოლმა კი მაინც გამოაცა. გუჩიევიჩის
ლატვიანო იმპერატორის ნიგნების მალაზიის
გამყიდველი ყოფილა. როგორც ყველა
ბიბლიოფილი, ისიც შანსს არ უშვებდა ხე-
ლიდან, უნიკალური გამოცემა არ დაეგე-
მოვნებინა. ასე ნაუკუთხავს National Academy of Sciences 1956 წლის გამოცემა, სადაც
მედეას მითის სამეცნიერო კვლევის შესახ-

ებ იყო მოთხრობილი. კვლევის ავტორები
მაქს ბირნშტაილი (Max L. Birnstiel) და კენ-
იჩი ფუკუი (Kenichi Fukui) იყვნენ — ერთი
უჯრედისა და განვითარების ბიოლოგიის
მეცნიერებათა პროფესორი, მეორე კი
ფუნდამენტური ქიმიის დოქტორი.
იუნაუსს ეს კვლევის ადამიანურ ენაზე
ჰქონდა გადაწერილი და ჩემისთანა ყოვ-
ლადარასამეცნიერო ენით მეტყველ კაც-
საც კი არ გაუჭირდებოდა ნაკითხვა იმ
ვერსიისა, რასაც ზემოთხსენებული პა-
ტიოსანი გვამები გვთავაზობდნენ.

იუნაუსი ალტკინებული გვიყვებოდა მე
და ლევანს კვლევის ინოვაციურობასა და
უნიკალურობაზე. უკვირდა, საქართველო-
ში რატომ არავინ ინტერესდება მედეას
ფენომენითა და ოქროს სანმისის რაობი-
თო. ისეთი გათავისებული ჰქონდა საკ-
ითხი, ისეთი ნიუანსები იცოდა, სასიამოვნ-
ოდ გაკვირვებულები დავრჩით. რომ შეგ-
ვატყო ცალი ყურით არ ვუსმენდით, თავი-
სი ჩანანერების გაზიარებას დაგვირდა.
შევთანხმდით, რომ საღამოს E-mail-ით გა-
მომიგზავნიდა ნაშრომის „კონსპექტს“ და

გურამ მეგრელიშვილი

ალტარნატიული
საქართველოს ამბები



ორი დღის მერე, როცა ის ჯაბუშიდან გუჯე-
ჯიანებთან სტუმრობის შემდეგ დაბრუნ-
დებოდა, მაზერში, კაფეში — „სამი სავარ-
ძელი“ — შევეხვედობდით და ყველა კითხ-
ვაზე გავგვცემდა პასუხს.

ჩანანერები მართლაც შეთანხმებულ
დროს გამოვიგზავნა. რუსული ინგლი-
სურით იყო დანერვილი. ასეთ ინგლისურს
ვეძახი წინადადებების სპეციფიკურ წყ-
ობას, რაც რუსულენოვან ადამიანებს ახა-
სიათებთ ხოლმე.

ტექსტის შესავალი ნაწილი იბერიაზე,
კავკასიურ რასაზე და საქართველოს ტერ-
იტორიის ლანდშაფტურ თავისებურებებზე
იყო. სწორედ აქ ნავიკითხე პირველად, რომ
კავკასიის ამ ნაწილში იმაზე მეტი ენდე-
მური ჯიში და სამკურნალო მცენარეა, ვი-
დრე მთელ ევროპაში ერთად აღებული.
ავტორები ჰავისა და ადგილობრივი მოსახ-
ლეობის ხასიათის ურთიერთკავშირზეც
წერდნენ. წყაროებში მოყვანილი ჰქონდათ
არა მხოლოდ სტრაბონის ან იოსებ ფლა-
ვიუსის, არამედ მოგეს ხორენაცისა და
ალა აღ-დინ ათა მალიქ იბნ მუჰამად ჯუ-
ვეინის ნაშრომები თუ ჩანანერები — მეტ-
იც, ყველაზე საინტერესო იყო 1979 წელს,
ედუარდ შევარდნაძის დაკვეთით, КГБ СССР (საბჭოთა სუკი)-ის ოფიცრების
მიერ ჩატარებული კვლევა, რაც ფორ-
მალურად მიზნად ისახავდა, შეესწავლათ
სტატისტიკა საქართველოს ყველა კუთხ-
ეში — დანაშაულის რაოდენობები — და
ამის საფუძველზე დაედგინათ და დაეხ-
არისხებინათ დანაშაულის ტიპობრივი
რისკები აღნიშნული მხარეების მიხედვით.

რეალურად, ამ უკანასკნელ ნაშრომს (ნიგ-
ნის ავტორების ვარაუდით) მიზანი ჰქონია,
კიდევ ერთხელ და საფუძვლიანად
გამოეკვლიათ ის ფუნდამენტური განსხ-
ვავებები, რაც 80 000 კვადრატული კილო-
მეტრის ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამი-
ანებს შორის იყო (იუნაუსს გამოუქებული
ჰქონდა ყველა წინადადება, სადაც სვანე-
ბი იყვნენ მოხსენიებული).

ნაშრომის შემდეგი ნაწილი სამეფოს
აღწერა იყო. განსაკუთრებით საინტერე-
სოდ მოჩანდა მოსახლეობის დეტალურად
დახასიათებული ხასიათები, ჩაცმულობა,
ჭამის თავისებურებაც კი (ნახსენები იყო
ბავშვთა მსხვერპლად შეწირვის რიტუ-
ალებიც). მეცნიერები ამტკიცებდნენ,
კოლხიდას ტერიტორიაზე ოთხ სხვადასხ-
ვა ენაზე მოსაუბრე ტომები ცხოვრობდ-
ნენო.

საინტერესო იყო მეფის საზაფხულო,
ზამთრის და მთავარი სასახლეების აღწ-
ერა. ყველგან, სადაც სამეფო დარბაზებს
ახსენებდნენ, მინიშნება იყო განსაკუთრე-
ბულ ბალებზეც — მედეას ბალებზე, რომ-
ლებშიც, ისტორიკოსების მონაყოლზე
დაყრდნობით, იმდენი სახის სურნელი
ტრიალებდა, რომ გამოუცდელი ადამიანი

მოსალამოვებულზე მაზერში ლუდის
დასალევედ წავედი. უშბის ძირში, კაფეებ-
ის ქუჩაზე, ქურასბედიანების საოჯახო
რესტორანი „ოქროს 10“ თითქმის ცარიე-
ლი იყო. მენიუს გადავხედე. თბილისი გამ-
ახსენდა, მათი პირველი რესტორანი —
„ბარბარესთან“, სუფთა ჰაერივით რომ შე-
მოვიდნენ დედაქალაქში. მენიუში ლუდი
ვერ ვიპოვე და მერეც გამახსენდა, სვან-
ეთში სოლიდარობის მისაბაძი სტანდარ-
ტი რომ იყო დამკვიდრებული. რე-
სტორნებში ლუდს ვერ დალევდი, ლუდხა-
ნაში — ყავას. გამახსენდა, როგორ მიმითი-
თა ქუჩის მეორე მხარეს ერთმა სვანმა
გოგომ ღიმბილი, აი, იქ აკეთებენ მაგარ
ყავას და ფუნთუშებიც ძაალიან მაგარი
აქვთო. მაშინ გამიკვირდა, ცოტა გაგებრა-
დი კიდევ, მერე მიხვდები, რომ ეს ურთ-
იერთსოლიდარობის აქტი იყო მიზეზი,
ზღვის დონიდან 1700 მეტრზე კაფეების
ქუჩაზე რომ ვიჯექი და ვერ გადამენწყვი-
ტა, ლუდის დასალევედ გადავსულიყავი
ქუჩის მეორე მხარეს, თუ გამერისკა და
ერთი მაგრად მეჭამა.

ბოლოს მაინც შევუკვეთე — შემწვარი
ქვირითი წინაკით და 1 ჭიჭა ხიხვი.

ღვინო მალევე შემომელია, ოფიციატ-
მა თავადვე მირჩია, გეტყობათ, ისეთ რამეს
კითხულობთ, ჭიქებით დალევთ ძვირი სია-
მოვნება იქნება, ბოთლი შეგვიკვეთეთო.
ვერ შეედავებოდი.

იუნასს არგონავტების ვინაობა და
მარშრუტი უცნაურად, მოკლე წინადადე-
ბებით, ან მინიშნებებით ჰქონდა დაკონ-
სპექტებული. მაგალითად: 28 კაცი. კოლხ-
ეთამდე 22 მივიდა. იასონი — სახელი ნიშ-
ნავს მკურნალს. დავალებზე მიდის არა
მამის, არამედ მისი ტყუპისცალის პელიუ-
სის დავალებით? რატომ? (იხ. ილიადა და
ოდისეა XII 72). საინტერესოა, რომ პირვე-
ლად მასწავლებელმა ქირონმა მოუთხრო
მას კოლხეთის შესახებ. ნუთუ მედეა არ იყო
პირველი? პელიუსი ავალებს იასონს
დააბრუნოს (!!!) კოლხეთიდან ოქროს სან-
მისი. რას ნიშნავს ეს? ჰიპსიპილას ფენომ-
ენი. ორი შვილი. პარალელები. აქ დარჩა
ის 6 კაცი? ჰიპსიპილას ამბავიც ტრაგი-
კულია. იასონს დასდევს ეს წყევლა, გა-
აუბედუროს საკუთარი ქალები?

რატომ თანხმდება აიეტი ოქროს სან-
მისის მიცემას (პირობით, მაგრამ მაინც)?
რატომ არ დახოცა არგონავტები? სად
ცხოვრობდა იასონი? რატომ ლალატობს
მედეა მამას და ძმას?

აღწერილი იყო ასევე ქვაბული, სადაც
ოქროს სანმისი იხახებოდა. როგორც მივხ-
ვდი, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ნან-
ილი იუნასისთვის, რადგან ყოველი სიტყ-
ვა გამოუქებული ჰქონდა და მინერული იყო
უამრავი კომენტარი. აღწერის მიხედვით,
ქვაბული სატახტო ქალაქიდან შორს, მა-
ლალ მთაში იყო გამოკვეთილი. კომენტა-
ტორი რამდენიმე ვერსიას ასახელებდა:
სვანეთი, ხვამლის მთა და ხევსურეთი.
ბოლო ვარიანტს თავადვე გამოირიცხავდა.
როგორც ჩანს, მოინახულა ეს მხარე და
დაადგინა, რომ იმ დროინდელ ეპოქაში
ძლევაშოსილ აიეტსაც კი გაუჭირდებოდა
კოლხეთიდან დაეცვა ხევსურეთის მხარე.
ხვამლის მთის ამბავი დეტალურად იყო
განხილული, მეტიც, ჩანართებში მთის
ფოტოებიც, ტომოლოგიური რუკა და
წინადაგის კვლევაც გვხვდებოდა. იუნასი
ნიგნის ავტორებს ეთანხმებოდა, რომ ხვამ-
ლის მთაც გამოსარიცხი ვერსია იყო, სულ
მცირე იმიტომ, რომ დაცულობის თვალ-
საზრისით ნაკლებად სანდო იქნებოდა,
ასევე მნიშვნელოვანი საბუთი იყო ხვამლის
მთის ბართან სიახლოვე, რაც ისტორიკო-
სების წყაროების დეტალური შესწავლით
გამოირიცხა — გველემპაის მიერ დაცულ
ქვაბულამდე მისასვლელად იასონმა 10
დღე იარა!

როგორც იტყვიან, ყველა გზა სვანე-
თის მალალ მთებამდე მიდიოდა და ალბათ
იუნასიც ამიტომ გამოუყვა ამ მხარეს, მა-
გრამ რას ეძებდა მძიმედ დაავადებული
შვილის თანხლებით? უკურნებელი სენის
წამალს? 21-ე საუკუნეში მსგავსი პრიმიტი-
ული არქეტიპული შეხედულებები სასა-
ცილოდ ჩანდა, მით უფრო, რომ ლატვიე-
ლი ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებ-
და და არც ფსიქიკური აშლილობის ნიშნე-
ბი ეტყობოდა მაინცდამაინც.

ჩანანერებმა, თავისი არაორდინა-
ლურობის გამო, ისე ჩამითრია, შემწვარი
ქვირითი ხელუხლებლად გაცივდა. მიმტა-
ნი გულწრფელად შეწუხდა, როცა თევზის

გამოსაცვლელად მოსულმა ლამაზად გაფორმებული კერძი ფერმეცვლილი ნახა. „არ მოგეწონათ, ბატონო?“ — მკითხა და როცა გულწრფელად ვუპასუხე, უბრალოდ ვერ მოვიცალე-მეთქი, დამიჯერა, კერძის გამოცვლა მიიჩნია და ამჯერად უფრო მსუბუქი, გამომცხვარი ხახვის ბურთულების მოტანას დამპირდა. მეუხერხულა, მუხასხუხა, რომ წასვლას ვაპირებდი, ამასობაში რესტორანი ხალხით გავსებულიყო და კითხვაზე კონცენტრირება გამიჭირდებოდა. არ ვაწყენინე და ახალი კერძი თვალმოუხუჭავად გადავსასლეს.

გამოვივი და ფეხით დავუყევი ნაშთოლოკის მიმავალ გზას. ისევ არგონავტებზე ვფიქრობდი. რა არის მითოლოგიის მთავარი სახესიბოლოები? გველემბაში, ძლევამოსილი მეფე, რაინდი, მასზე შეყვარებული ქალწული. თავად ოქროს სანმისი რას ნიშნავს? მომისმენია ვარაუდი, რომ არაფერი განსაკუთრებული საიდუმლო ამ ცხერის ტყავში არ ყოფილა, კოლხებმა ოქროს მოპოვების უძველესი ტექნოლოგია იცოდნენ და ამიტომაც იყვნენ მდიდრები. და სად გაქრა ეს ოქრო? თუ იასონმა სანმისი წაიღო, ოქრო ხომ დაგვრჩა? იქნებ შუასაუკუნეების ალქიმისტების მითისა არ იყოს, რკინის გადაქცევა ვიცოდით ოქროდ და ესაა მთელი საიდუმლო? და რა შუაშია აქ სანმისი? ტყავი?

მაზერიდან ნაშთოლამდე 10 წუთის სავალია, მე კი ბევრი რამ გამახსენდა, ოდესღაც აფეთქებული საყდრისის მალაროც და ოთარ ჭილაძის რომანიც. ვინ იყო ფრიქსე, ვინ იყო აიეტი, მზის შვილი თუ ხალხის ცრურწმენებითა და გაუნათლებლობით ღვთაების დონემდე აყვანილი მეფეკაცი?

ლევანი დაბრუნებულიყო. ცხელი კუბდარი, ან როგორც სვანები გამოთქვამენ „კუბდა(ა)რი“ დამახვედრა. უარის თქმა მომერიდა და სულის შებერვიდან შებერვამდე მოკლედ ვუყვებოდი ნაკითხულზე. ლევანი, როგორც ყველა სვანი, მაგარი მსმენელია. დიდი სისულელეც რომ უთხრა, აზრს არ გაგანყვეტინებს. არასოდეს მომისმენია სვანეთის კავშირზე არგონავტებთან, სერიოზული სახით მითხრა, როცა ამბავი მოკლედ მოვუყევი.

გვიან ღამემდე იუნაუსზე ვლაპარაკობდით. ის, რაც შვილებს ეხება, ლევანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია. გულთან ახლოს მიიტანა სასონარკვეთილი მამის ბოლო ცდა, უკურნებელი სენით დაავადებული ქალიშვილის წამალი აქ, საქართველოს მთიან კუთხეში ეპოვნა. მე ვუთხარი, რომ ვაპირებდი, მეორე დღეს, როცა ლატიველს ვნახავდი, პირდაპირ მეთქვა, მისი ძიება წყლის ნაყვას და დაფუძნებულია ორი, იქნებ არცთუ ისე კვალიფიციური მეცნიერის თეორიაზე. ვიცი, ასეთი ნიგნები როგორც იწერება. როდესაც ადამიანი რაიმე ხელჩასაჭიდასა და მნიშვნელოვან ვერ ქმნის, იწყებს შეთქმულების თეორიებისა და მეტაფიზიკის ვერსიების დამაჯერებელ პლატფორმაზე გადაყვანას. ასეთ გამონაგონს ხომ უფრო მეტი მკითხველი და მოამბე ყავს ხშირად, ვიდრე რეალური? იუნასი ტიპური ბიბლიოფილი იყო. ასეთ ადამიანებს ხომ რეალობის გამონაგონისგან გარჩევა ძალიან უჭირთ. საკმარისია, საინტერესო და ახალი ნაიკითხონ, რომ მთელი არსებით ამ ნაკითხული ტკობას მიეცემიან ხოლმე და ძნელია მათი დაბრუნება რეალურ გარემოში. გუჩვივიჩუსი სწორედ ასეთი „მსხვერპლი“ აღმოჩნდა. განწყობის ცნობილ თეორიას თუ მოვუხმობთ, ის საკუთარი მშობლის ინსტიტუტის მონა გახდა, როდესაც სასონარკვეთილმა შვილის გადარჩენის უკანასკნელი, დამარცხებისთვის განწირული იმედის ძიება დაიწყო საქართველოში.

ლევანმა მთხოვა, ლატიველისთვის მსგავსი არაფერი მეთქვა და მთხოვა ისეთი სახით, მივხვდი, რომ დიდი უნამუსობის ჩადენას ვაპირებდი. ცხადია, დავეთანხმე. სამ დღეში დედაქალაქში ვბრუნდებოდი და ამ ამბავთან ჩემი შინაგანი ბმაც წამიერად დამთავრდებოდა. რატომ მეთქვა „ელიოზისთვის“, რომ ის ტყუილად ეძებს ნატურის ხეს? განა თავად ხეა ამ ამბავში მთავარი?

ისე დავიძინე, გადანყვეტილი მქონდა, კითხვა აღარ განმეგრძობ, მაგრამ ვისაც ნიგნი მტრად არ მიაჩნია, დამეთანხმება, რომ დანყებული ნაწერის ხელიდან გაგდება ისეთივე რთულია, როგორც მისი აღ-

ბა. დილის ქაფქაფა რძისა და ცხელი ფუნთუშების მერე, პირველი, რაც გავაკეთე, ლეპტოპი გავეხსენი და კითხვა განვაგრძე. ბირნშტილსა და ფუკუსის ევსტათი თესალონიკელის, იოანე ანტიოქიელის და სხვა მოაზროვნეების ვერსიებიც დეტალურად შევხილეთ. ოქროს მოპოვების უძველეს ტექნოლოგიებთან ერთად, ვარაუდი, რომ სანმისი იყო მსოფლიოს პირველი დამწერლობა, ან მსოფლიოს უძველესი რუკა დედამიწის ზედა და ქვედა შრეების შესახებ, მცდრად მიაჩნდათ და ამაზე (შესაძლოა ორიგინალში ვრცლად აქ კი) მხოლოდ გაკვირთ ეწერა.

შემდეგი საფეხური აიეტო იყო. დეტალურად აღვწერა მისი წარმომავლობაც და გარეგნობაც. ნიგნის ავტორები განსაკუთრებული ინტერესით იმ რიტუალებს განიხილავდნენ, რომელიც არგონავტიკაშიც წერია — გველემბაში კბილების დათესვა და იქიდან ჯარისკაცების აღმოცენება, ადამანტის გუთანი, მოხენის რიტუალური სიმღერა და სხვა. იუნაუსს აქაც გამუქებული მხოლოდ ის სიტყვები ჰქონდა, რომელიც აღმოცენებას, ხელახალ დაბადებას უკავშირდებოდა (მინანერებში ვედურ სახესიბოლოებთან კავშირი იყო ხაზგასმული). მხატვრულად იყო აღწერილი ვაზის ფორმის ოთხი წყარო, რომლიდანაც ღვინო, ზეთი, რძე და წყალი მოედინებოდა (იუნაუსის კომენტარი სასაცილოდ მომეჩვენა, ხარჯი ნაკლები იქნებოდა, ოქრო ბევრი ჰქონდათ და ტურ-

ზაურების საბურველში გახვეული, დამთავრებული ჰიტლერისა და თავად საბჭოთა კავშირის მეცნიერების ცხოველი ინტერესით, მიეკვლიათ იმ ადგილისთვის, სადაც სანმისი შეიძლება ყოფილიყო. ქართველებისთვის კარგად ნაცნობ ტიმ სევერინზე მხოლოდ გაკვირთ ეწერა, დაინტერესებულ პირთა სიაში იყო მისი სახელი და გვარი.

ვრცლად და ამომწურავად იყო აღწერილი ყველა მარშრუტი, რაც სხვადასხვა მეცნიერთა ჩანაწერებიდან თუ დღიურებიდან შემონახულია და საკითხით დაინტერესებულ პირთა სია იყო მხოლოდ 12 გვერდი.

სალამოს ფოლკლორის დასკვნითი კონცერტი იმართებოდა, გაცდენა უხერხულიც კი იქნებოდა, ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანები მღეროდნენ. ნანერის კითხვა აქ შევწყვიტე და ლევანთან ერთად მესტიაში გავყევი ავტობუსს.

კაი ხნის დაწყებული იყო. უშუალოდ სცენასთან მისვლა შეუძლებელი იქნებოდა და მოშორებით დამონტაჟებულ მონიტორთან გავჩერდით. რუსი ტურისტები იდგნენ და ცეკვავდნენ. ეკრანზე სლოვენიური ანსამბლი მღეროდა. ადრე ვერასოდეს ვარჩევდი სლოვაკეთს სლოვენიისგან, როგორც ლიტვას ლატვიისგან, უკრაინას რუსეთისგან და ყირგიზეთს ყაზახეთისგან. მას მერე, რაც ყველა ამ ქვეყანაში ყოფნა მომიწია, მეტ-ნაკლებად გავერკვიე კიდევ.



ისტებს კი მეფე აიეტის ბრძანებით უბრალოდ მსხვერპლად სწირავდნენ).

შემდეგი თავი უშუალოდ მედეას ეძღვნებოდა. აქ ავტორების აზრი ორად გაყოფილიყო (რაც თავისთავად უცნაური და საინტერესო მომეჩვენა საგამომცემლო თვალსაზრისით), ფუკუი მედეას უკიდევანო სიმშვენიერზე წერდა, ბირნშტიანი კი მის გარეგნულ სიმბინჯზე (ეს განსხვავება სქოლიოში იყო გამოტანილი, როგორც მივხვდი). გუჩვივიჩუსს მედეას გარეგნობა ისე არ აინტერესებდა, როგორც მისი ასაკი, რაზეც ნიგნის ორივე ავტორი თანხმდებოდა, რომ 90 წელზე მეტისა იყო. ამ ფაქტზე ლატიველს რამდენიმე ცნობილი ისტორიული თუ თანამედროვე ადამიანის შესახებ არსებული ინფორმაცია მიეწერა და ხაზგასმით ჩაენიშნა, თავისთვის გადაემოწმებინა მედიკოსებთან, რამდენად რეალური შეიძლება ყოფილიყო ეს ამბავი. როგორც ჩანს, უჯრედზე მომუშავე მეცნიერებს ეს საკითხი არ აკვირვებდათ, უბრალოდ ცდილობდნენ, ვერსიების დონეზე ემსჯელათ, რა იყო მედეას უშრეტი ახალგაზრდობის მიზეზი — მისივე ბალებში მოკრეფილი საოცარი ჯადოსნური მცენარეების ნაყენი თუ რამე სხვა.

მოულოდნელად, თხრობა მიმართულებას სრულიად იცვლიდა და ავტორები ყოვლად უინტერესო რამეზე წერდნენ (იუნაუსს ესეც დეტალურად აღვწერა). დაწყებული შუასაუკუნეების ალქიმისტობით, ოქროს სანმისის კვალს რომ სხვადასხვა დროს შემოყოლიან ვაჭრებისა თუ მოგ-

სლოვენიელები ქართველმა მოცეკვავეებმა შეცვალეს. „შავნაბადა“ ბოლოს გამოდიოდა. ჯერ ცეკვის „შეჯიბრი“ უნდა გაემართათ და დასასრულამდე კაი სამი საათი იყო წინ. ერთი ხანობა ვინანე კიდევ, ლეპტოპი რომ არ წამომიღია. სადმე კაფეში დავჯდებოდი ჩემთვის წყნარად და ნაკითხავი სანმისის ამბებს. ისტორიაზე მეტად, ინტერესი იუნაუსის ჩამოსვლის მიზანმა აღმიძრა. ხომ არის ასე? გადაეკეთები რამეს და ეს რამე შენი ცხოვრების ნაშიერი, მაგრამ მაინც ნაწილი ხდება.

მოუსვენრობამ გამაღიზიანა, გაღიზიანებული ადამიანი კი ძალიან კრიტიკულია. არ მომეწონა ქართული ანსამბლის ცეკვა. მომეჩვენა, რომ სოლისტი გოგო ნაკლებად გახსნილი იყო რაჭული ცეკვისთვის, ვაჟი კი — ზედმეტად აქტიური. ქართული ცეკვის მთავარი ღირსება მიმიკებსა და შედახილებში არაა, ორივე მხოლოდ დანამატი და შემავსებელია მთავარის — მოძრაობისა, სადაც პლასტიკა და დინამიკა ერთმანეთს ორგანულად ავსებს. როგორც ვთქვი, გოგო ზედმეტად დაძაბულად გამოიყურებოდა, მივხვდი, რომ აქ ეჭვიანობის ამბავი იყო. სავარაუდოდ, მისი ქმარი ან შეყვარებული კულისებში ან მუსიკოსებს შორის იდგა. რაც უფრო აქტიურად იკლავებოდა სოლისტი ბიჭი, მით უფრო იკეტებოდა სოლისტი გოგო. რაჭული ცეკვა, სხვა ქართული ცეკვებისგან განსხვავებით, არა ქალის და კაცის თანასწორობაზე, არამედ ქალის შეფარულ დომინანტიზმზე კი მიუთითებს.

ამას იქნებ ისტორიული საფუძვლები აქვს (ცნობილია, რომ რაჭულ ოჯახში ოჯახის თავი ქალი უფროა, ვიდრე კაცი) ან უბრალოდ ასე მოხდა, ასე ცეკვავენ რაჭულს.

მომდევნო ნომერი „ხორუმი“ იყო და შემოვარდნილმა ტალღამ რამდენიმე წუთით სრულიად დამავიწყა „ოქროს სანმისი“ და საკუთარი თავის არსებობაც. „სუხიშვილები“ ცეკვავდნენ. ამ ანსამბლისა და „ერისიონის“ დაპირისპირებაზე კარგი ხუმრობა დადიოდა ადრე: „Coca Cola“-„Pepsi“-ვით არიან, საკმარისია, ერთმა ნაიბორძიკოს, ბაზარს უმაღვე მეორე დაეპატრონებო. ეს ადრე იყო, დღეს უკვე ამ ორთან ერთად რამდენიმე ძალიან მაგარი ანსამბლი ქმნიდა ამინდს. ორგანიზატორებს ყველა მოწვეული ვერ ეყოლებოდათ და დღეს სწორედ „სუხიშვილები“ წარმოადგენდნენ საქართველოს.

„ჯდომსასვენოზე“ ალტკინებული რუსი ტურისტებიც კი გაჩერდნენ, ხოლო როცა ხორუმმა „ჩოქმალულა“ გააკეთა, ერთ-ერთს — **Мама дорога** — ისე გულწრფელად აღმოხდა, რომ მეც და ლევანმაც ერთდროულად გავხედეთ. „ხტომგასმურა“, „ბუქნბრუნი“, „ხლართულა“, „წანოლა“, „წიხლურა“, „სავერაკი“, „შვილდასაკრაკი“ და ეს ჩვენი ძვირფასი ტურისტები გახედდნენ. ისევ ცეკვა, უფრო სწორად კი როკვა დაიწყეს და ჩემმა ცნობიერებამ ერთმანეთში აზელილი ნასვამი ადამიანებიდან ისევ აიეტის დროში გადამაგლო.

ნაგვიანები ელგია

მე აღარ ვიცი, აქ რამდენ ხანს უნდა გავჩერდე, აქეთ ვინვალო, თუ იმედი მქონდეს იქითლა? თითქოს, სატრფოსთან მინერილი ვიყო ბარათი, ადრესატმა რომ ერთხელაც არ გადაიკითხა. ერთი დახედა და თვალში რომ არ მოუვიდა, თვითონვე იგრძნო თავი ყოფის საწყალ ტუსაღად, და თავის თავს რომ გაქცეოდა, ბარათს გაექცა, წაუკითხავად ნაგვის ყუთში გადაუძახა. ცხოვრებამ ნახა, როგორ მცემდნენ... ის ერთადერთი შეესწრო ჩემი უღმობელი მკვლელობის ამბავს, მაგრამ დამუნჯდა და დაყრუვდა ამ სისასტიკით, თითქოსდა ტანში ერთიანად ჩაეფშვნა ლამპა. ამიტომ აღარც ჩაძიებას არა აქვს აზრი, ცხოვრებისათვის ფუჭად დასმას რაიმე კითხვის, გინდ გულთ სურდეს, იგი ბრმაა ორივე თვალით, ყრუ-მუნჯია და სიმართლესაც ვერასდროს იტყვის...

დედაჩემი,
ერთი უბრალო,
სოფლელი ქალი,
ღრმა ბავშვობიდან მინერგავდა
ადამიანის,
როგორც დიდი საიდუმლოს,
პატივისცემას.
რომელთანაც
მოკრძალებით
უნდა მიხვიდე,
და იმ საზღვარს
არავისთან გადააბიჯო,
სადაც უკვე
ღვთაებრივი სუნთქვა იწყება,
რაც მას ეკუთვნის,
ერთ კაცს, როგორც
ღმერთის ქმნილებას...
და აღარ მახსოვს,
როდის გასცა
ადამიანმა თავისი თავი,
რომ ის სულაც არ ყოფილა,
ვინც მე მეგონა...

დათვრება ზოგჯერ ჩემი ძველი შეყვარებული
ჩამოუვლის და სუყველა პოსტს დამილაიქებს,
მათ შორის ისეთს, რაც არ ეკუთვნის დიდი ხანია,
ცოლ-შვილის ფოტოს,
ჩემს ახლანდელ სურათებს
ანდა
ბედნიერებას, ჩემმა ცოლმა რომ მომიტანა...
ან იმ ყვავილებს, რაც მე უკვე ჩემს ცოლს ვაჩუქე.
რა ძალიან ჰგავს ამ ყველაფერს წუხელ ნანახი
სიზმარი, თითქოს
ვიღაც ძალიან ახლობელი მყავდა ციხეში,
დიდი ხანია, არ მენახა და როცა ერთხელ
გადავწყვიტე და პაემანზე მივედი მასთან,
ციხის ბადრაგი გამოვიდა იმის მაგიერ
და უსიტყვოდ,
უხერხულად თავდახრილმა
მომცა მისი ტანსაცმელი
ხელის კანკალით...

გიორგი ლობჯანიძე

აითოლოგია

სიყვარულისთვის ვინ ვიღას კლავს? —
შვილს მითუმეტეს! —
სცადონ... ვერავინ დამარწმუნებს მაინც ამაში,
რომ ყველაფერი საქართველოს ქალაქში ხდება
და არა — სადაც, ბრაზილიურ მელოდრამაში...
მელოდრამაში — შეიძლება, იქ სიგიჟეა
და სიგიჟეში ვერ იქცევა კაცი ჭკვიანად,
არავის უკვირს, თუკი ძმისშვილს მამიდა უყვარს
და თუ ბიცოლამ მამიდაზე იეჭვიანა.
ყველა ხევსური ხომ დანტეა! დანტე სად არი?
რით ველარ მორჩა ჯოჯოხეთში უქმად ხეტილს!
დროა, მინაზე დაბრუნდეს და მინა აღწეროს,
ჯოჯოხეთზეც რომ უღმობელი ჯოჯოხეთია.
მაგრამ ვერაფერს ხდება დანტე. სამაგიეროდ,
არ ეპარებათ არაფერი მსაჯულებს, ნაფიცს,
დარბაზში სხედან თოჯინები, ძაფებშებმული,
და ბედისწერას უკავია მთავარი ძაფი....
შავეთის ველზეც რომ ვიარო, რამ შემამინოს,
როცა შენ მყავხარ, ვუძღვებ თვითონ

სიცოცხლის აღმურს, —
გაცოცხლებულა ანტიკური მედეას მითი
და მღელვარების ჩასაცხრობად კითხულობს ფსალმუნს.
ტელევიზორის წინ დამჯდარა მდულარე მრევლი,
მუზეუმი ეროვნული... ასე ვთქვათ — ლუვრი...
დიდება უფალს, ზნეობა არ დაენუნებათ
და ყველა თავის ბოზ მამიდას სათუთად უვლის...
საკინძეს ხელით ისინჯავს და ბრიყვ თავს იმშვიდებს,
რომ ადგილზე და შეკრული აქვს სუყველა ღილი,
დგას ევა ხელებაპყრობილი და შეუმცდარი,
წყველის შავეთის ველზე მარტო მიმავალ ღილიტს...
ხოლო ღილიტი მარტო მიდის, ღმერთის ამარა,
და სამყაროში ალბათ მხოლოდ ხდება ის ორი:
შავეთის ველზე საშიშია მითები, რასაც
მრევლის წევრები გვიყვებიან ტელევიზორით!

ჩემი ნამდვილი ექაუნთი

ნეტა ცხოვრებაც ასე იყოს:
შენს პროფილზე შემოვიდე
ჩემი მეორე ექაუნთიდან
მე —
სხვად ქცეული,
არაჩემითავი
და უცხო...
მოვიშორო ყოველგვარი პირობითობა,
რაც მე მეზმის
შენს შეჩვეულ წარმოდგენაში,
სადაც რამის შეცვლას უკვე ველარ ვახერხებ...
ვიყო ლამაზი, ახალგაზრდა, ქერათმიანი,
უფრო მაღალიც, თვალწარმტაციც, უფრო ჭკვიანიც...
დაპირებებსაც მეტი რიხით გაძლევდე, რადგან
ვიცოდე, მაგრამ
არ მეგონოს
ცხოვრება მაინც ასეთი რთული
და ის, რომ ხალხს აქ უფრო მეტი ექაუნთი აქვს,
საიდანაც შეუძლიათ შემოაღწიონ

შენს ერთადერთ და უმყარეს წარმოდგენაში,
რომ
რაც ძალიან ცვდება, მალე იხვევა კიდეც! —
მხოლოდ ახალი ექაუნთით შემიძლია
ამ ძალიან გაცვეთილი ლოგიკის შეცვლა...
და არ გავბრაზდე იმაზე, რომ
აღარ გახსოვარ,
მშიერ-მწყურვალს ფაციფუცით გვერდს რომ ჩამივლი
და ყვავილების მოსარწყავად მიგეჩქარება...
მე კი ვიჯდე ჩემს ოთახში,
კომპიუტერთან,
გაფაციცებით ვათვლიერო,
ვინ რას გინერს და გიკომენტარებს
და ჩემდათავად
ჩემ თავზევე ვიეჭვიანო,
ჩემი ნამდვილი,
ერთადერთი ექაუნთიდან...

ყველა მართკუთხედი
თავის თავში ჩაბრუნებული ძირმაგარაა,
რომელიც უნდა გამოირწყას,
რომ სხეულში პარალელურ წრფეებად წაგვივიდეს...

ვარსკვლავი,
ძირს რომ ჩამოვარდა,
სამყურად გადაიქცა,
თავისთვის გდია და
მწვანედ ანათებს გამხმარ ბალახებში...

შენი სხეულის ხაზებს მივდევი,
მათ უნაკლო გეომეტრიას,
და რადგან უკვე ვიცი,
რომ პარალელური წრფეებივით
არასოდეს გადავიკვეთებით,
მზად ვარ ყველა ძირმაგარა ამოგნოვო,
რომელიც, თუკი თავისთავში ჩაბრუნებული გამოირწყა,
შენს შიგნით
ერთმანეთის ვერგადამკვეთ სიგიჟესა და
სიბრძნეს ჩამოიტანს,

როგორც
ცხოვრებასთან შერწყმული ოპიუმი.

ხალხია შენი რელიგია,
რელიგიაა ხალხის ოპიუმი...
მე მინდოდა ეს გქონოდა ჩემგან,
როგორც გამოცდილება,

რადგან ხალხი
მხოლოდ
იმ აზრებსა და გამოცდილებებს იზიარებს,
რაც გამოსარწყავად მომწიფებულია,
ძირმაგარასავით,
სიახლეს კი
ცოფიანი ხარისხით გაურბის...

ბებერია ჩემი ტანი,
ძველია სხეული...
სამაგიეროდ,
რამდენი ახალი,
მარწყევით მწიფე ძირმაგარითაა დახუნძლული...



ზურაბ აბაშიძე ჩემი ლამაზი მარუსა

მარუსა ეზოს ბიჭებისგან არაფრით განსხვავდებოდა, ჩვენთან ერთად თამაშობდა შვიდკობანას კულტურის სახლის უკან, ჩვენთან ერთად აგორებდა ასფალტზე ცარიცით დახატულ მოედანზე ბურთს, ჩვენთან ერთად იდგა მანონი ბებიას ლეღვის ხის ქვეშ და სანამ უბნის ყველაზე ყოჩაღი ბიჭები უბნში ლეღვს იგროვებდნენ, დარაჯობდა, ავ დედაკაცს არ გამოეხედა აივნიდან და წყევლით არ აეკლო მთელი ეზო. ჩვენთან ერთად აგრი-ალეოდა ველოსიპედს და ჩვენთან ერთად დადიოდა მდინარეზე, ჩვენსავით ტანსაცმლით ცურავდა ბინძურ ქორიხში და სანამ ბოლომდე არ გაუშრებოდა გრძელი, ლამაზი თმა, მანამდე არ ენახებოდა დედას, მამას და უფროსს ძმას. მარუსა ჩვენთან ერთად ატერორებდა პირველ სართულზე მცხოვრებ გაუგებარი წარმომავლობის და წარსულის მქონე ნონია ნინას, ჩვენთან ერთად უშენდა იმის აივანს ქვეშ და თუ საჭირო იყო, ჩვენსავით იგი-ნებოდა. თუმცა ყველამ იცოდა, რომ საღამოობით, შემოდგომაზე, როცა ოდნავ წამოცივდებოდა, მარუსა სახლში გაიქცეოდა, თხელ ჟაკეტს შემოიცვამდა და ისევ დაბრუნდებოდა უკან, თავიდან გვიკვირდა, რატომ ციოდა, როცა ჩვენ არც მზე და არც ზღვისგან მობერილი ქარი არ გვანუხებდა, მაგრამ მერე და მერე შევეჩვიეთ, ხან რომელი მოვაცვამდით თბილ კაპიშონს და ხან — რომელი.

მარუსასანაირი გაბედული გოგო ჩვენს ეზოში არ იყო. ყველაფერში გვიბამდა მხარს, ყველაფრის თავი და თავი თვითონ იყო, იგონებდა ახალ-ახალ თამაშებს, გვასწავლიდა გინებებს და არც ძალას უჩიოდა — თუ ვინმე გააბრაზებდა, ეგრევე ფეხქვეშ გაიგდებდა, ყველამ იცოდა, რომ მარუსას დიდი ძალა ჰქონდა ფეხში და მაგრად წიხლაობდა, ამიტომაც თუ ჭკუა გქონდა, უნდა მორიდებოდი მის გაბრაზებას.

როცა მშობლებს სტუმრად მიჰყავდათ მარუსა, იმ დღეს ეზოში არ გამოდიოდა. დილით ადრე გააღვიძებდა დედა, ჯერ ტანს დაბანდა დიდი მონდომებით, მერე ხელეზზე და ფეხებზე დააჭრიდა ფრჩხილებს, გაუსუფთავებდა, თმასაც გადაუვარცხნიდა შუაზე და კუფასთან შეუკრავდა ისე, რომ ტკვილისგან ღიმილიც აღარ შეეძლო გოგონას. მერე ლამაზ კაბას ჩააცვამდნენ და სანამ არ მოვიდოდა სახლიდან წასვლის დრო, განძრევასაც კი უკრძალავდნენ. მარუსა ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ იცოდა, კვირა დღეს ბებიასთან ლამაზად გამოწყობილი უნდა წასულიყო, ეს ერთი დღე უნდა აეტანა და მერე მთელი ექვსი დღე მისი იყო — შეეძლო, იმდენი ეზოში ეზოში გოგო-ბიჭებთან ერთად, რამდენიც უნდოდა.

შუადღისას გამოვიდოდნენ სახლიდან — ნინ დედა მიდიოდა, უკან მარუსა მიჰყვებოდა. თავი ყოველთვის დახრილი ჰქონდა, ჩვენკენ არ იყურებოდა, ეზოს ქალებიც ყოველთვის თვალს გააყოლებდნენ, გულში უხაროდნათ ქალბატონ მარუსას ერთ დღეს მაინც რომ ხედავდნენ გოგოსავით გამოწყობილს, მორჩილად რომ მიჰყვებოდა დედას ავტობუსის გაჩერებისკენ. როგორც კი მოსალამოვდებოდა, მარუსა უკან ბრუნდებოდა, სწრაფად გაიშლიდა თმას, ჩაიცვამდა ყოველდღიურ ტანსაცმელს და გამოვარდებოდა ეზოში ჩვენთან. ბებია ცოტა ფულს აძლევდა და ბიჭებს ზაფხულობით ნაყინზე, ზამთარში შურას პერამპკებზე გვეპატუებოდა და იწყებოდა ისევ იგივე, დაღამებამდე თამაში, მანამ არ ავდიოდით ჩვენ-ჩვენს სახლებში, სანამ დედები არ გადმოდგებოდნენ აივანზე. მერე ისმოდა მრავალ ხმაში ეზოს ბავშვების სახელები, ჩვენც რიგ-რიგობით ავდიოდით სახლებში, იქამდე ვიხანგრძლივებდით სიამოვნებას, სანამ ნაცნობ ხმას არ მოგკრავდით ყურს.

და მეც ღრმა ბავშვობიდან მჯეროდა, რომ გოგოებსა და ბიჭებს შორის, ანუ ჩვენ-

სა და მარუსას შორის არანაირი განსხვავება არ იყო. ერთი ეგაა, მარუსას გრძელი თმები ჰქონდა, სხვა მხრივ, ერთი ვიყავით. მარუსას თავისი ძმის გამონაცვალის ტანსაცმელი ეცვა, ფეხზე ჭუჭყიანი ბოტასები, მუხლებიც ჩვენსავით ჰქონდა გადატყავებული და ფრჩხილებიც ჩვენსავით ჭუჭყიანი.

თან რა დასამალია, როცა დედები სახლის დალაგებას იწყებდნენ, მამაჩვენების სპორტულებს მოიცვამდნენ და დადიოდნენ ოთახიდან ოთახში ცოცხით, იატაკის ჩვრით და მტვერსასრულით.

ასე ეგონა მარუსასაც, მაგრამ, როგორც კი წამოიზარდა და მოიცალა იმაზე დასაფიქრებლად, რომ სკოლაში გოგოებს კაბები, ხოლო ბიჭებს შარვლები ეცვათ, მაშინვე მიხვდა, ყველაფერი რიგზე არ იყო და ცოტათი უკლო ჩვენთან თამაშს, მერე და მერე დღიურების წერაც დაიწყო და აივანზე რომ შევიწინავდით ეზოს ბიჭები, ვარდისფერი წიგნაკით ხელში, გამწარებული რომ წერდა რალაცებს, ეგრევე სიცილს ვინწყებდით. მერე მარუსა გვერდით კორპუსში მცხოვრებ აჩის შეუყვარდა და ერთხელ ეზოს უკან, დანგრეულ

მობეზრება. მერე ისიც მიხვდა, გოგოები არ მისმენენ, მარტო შენ ხარ ასეთი ერთგული. მარუსას აჩი უყვარდა, მე მარუსას მოყოლილი ზღაპრული ამბები თეთრ კაბებზე და ძალიან დიდ ტორტზე, რომელსაც ვერავინ ვერასდროს შეჭამდა ბოლომდე.

ცამეტი წლისამ, ისევ ისეთმა სულელმა და გულუბრყვილომ, დანვრელებით მომიყვა, როგორ გაეღვიძა ერთი კვირის წინ და როგორ დაინახა სისხლიანი ზენარი, როგორ შეშინდა და როგორ გავარდა დედასთან ატირებული. მერე როგორ დაამშვიდა დედა და როგორ გადმოახტუნა ბებიამ მესამე საფეხურიდან. მარუსაც ცოტათი დამშვიდებული მიყვებოდა ამ ამბავს, ბოლოს ასაკი მკითხა, რომ ვუთხარი ჩვიდმეტ დღეში, ცამეტისა ვხვდები-მეთქი, გამაფრთხილა, დილას თუ ღამისას სისხლიანს გაგეღვიძა, არ შეგეშინდეს, დედასთან ან მამასთან მიდი და ისინი მოგხედავენო, შენ უფრო გრძელი ფეხები გაქვს, თუ გინდა მეოთხე საფეხურიდან გადმოხტო.

და მეც თვეები ველოდი, როდის გამეღვიძებოდა სისხლიან ღამინში, ყოველთვის.

ბანკეტზე მიმავალი, ლამაზ ლურჯ-მწვანე კაბაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელით რომ დავინახე ეზოში, ის პატარა მარუსა გამახსენდა, ბებიასთან რომ მიჰყავდათ გოგოურად ჩაცმული და ძალიან შემეცოდა, გაუბედავად ადგამდა მაღალი ქუსლებით ნაბიჯებს. ირგვლივ იყურებოდა შეშინებული და ეგონა, არც ისეთი ლამაზი იყო. ეგონა, აჩის ასეთი არ მოეწონებოდა, მაგრამ ტყემლის ხის ქვეშ მჯდომმა, თავი რომ დავუქნიე და თანხმობა მივეცი, მაშინვე გამოუქეთდა გუნება და ნელში გაიმართა, უფრო გაბედული ნაბიჯები გადადგა და ამაყად ჩაჯდა კლასელი ბიჭის მანქანაში, რომელიც მან მამისგან ითხოვა საბანკეტოდ. მარუსას უკან არც მოუხედავს.

მერე იყო ნიშნობა. სულ სხვანაირად ილიმებოდა თითზე ბეჭდით უნივერსიტეტში მიმავალი მარუსა. მდებლად ესალმებოდა ეზოს ქალებს, ასე რომ უხაროდნათ, ქალბატონს საბოლოო დაქალაქება. შუბლზე ჩამოყრილ თმას მსუბუქი მოძრაობით იწვედა ყურს უკან და ელოდა ავტობუსს. მერე იყო დიდი ქორწილი, რომელსაც არც



გარაუბრებთან სეირნობისას, ბიჭმა წელზე მოხვია ხელი, ტურფებში აკოცა. მარუსა თავიდან ძალიან შეშინდა, მაგრამ თან ესიამოვნა. რომ არა ლეღვის ხეს დადარაჯებული მანონი ბებია, ალბათ ვერც ვერავინ გავიგებდით, რას აკეთებდა მარუსა სახლის უკან, მაგრამ მანონის რა გააჩერებდა, ეგრევე მოსდო მთელ უბანს და მარუსაც კარგა ხნით დასაჯეს.

თითქოს ეს სასჯელი რამეს ნიშნავდა, კარგა ხნის მერე სახლიდან სულ სხვა გოგო გამოვიდა მარუსა — წელში გამართულიყო, ნელი ნაბიჯებით გამოვიდოდა ეზოში სოფელეჯიოზე მიმავალი და შავი თმაც ყოველთვის კარგად დავარცხნილი ჰქონდა და იმ ადგილას, სადაც ჩვენ, უბნის ბიჭებს ორი პატარა ნერტილი გვექონდა, მარუსას ატმებივით ძუძუები წამოზრდოდა.

და მიყვებოდა ბევრს, ძალიან ბევრს აჩიზე. ეზოში მარტოს დამიგულებდა, ველოსიპედს იქვე მიმავლებინებდა, დამიმარტოხლებდა ტყემლის ხის ქვეშ, მეზობლებსგან მოფარებულ ადგილას და მიყვებოდა ბავშვური გულწრფელობით. ჩემთან ერთად წერდა ნერილებს, მე ეს ნერილები აჩისთან მიმქონდა და უკან ისევ ნერილით ვბრუნდებოდი. ასე გრძელდებოდა დიდხანს. მარუსას უნდოდა, ბევრი, ძალიან ბევრი შეილი გაეჩინა აჩისთვის. ეს როგორ ხდებოდა, მე არ ვიცოდი, თითქოს არც მარუსამ იცოდა, მაგრამ მაინც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, სახელებიც კი შეერჩია ბავშვებისთვის.

მერე მიყვებოდა გრძელ თეთრ კაბაზე, თავზე ჩამოფარებულ თეთრ ბადეზე და ხელში დაჭრილ ვარდისფერ თაფლზე. უკვე ყველაფერი წარმოედგინა და მადლიერი იყო, გულისყურით რომ ვუსმენდი და არც ერთ წამს რომ არ მეტყობოდა

ელ დილას ვამონმბედი ზენარს. სამი თვალი გამოვიბი, პატარა წვეთი მაინც რომ დამენახა, მაგრამ არაფერი ხდებოდა, მერე სარკეში ვათვალისწინებდი ჩემს თავს და სულ უფრო მეპარებოდა ეჭვი, მართლა მოვიდოდა თუ არა სისხლის ჩანჩქერი.

იმ წელს სკოლის გზაზე მიმავალმა მარუსა მოვატყუე, მეც წამომივიდა სისხლი-მეთქი, მარუსას ძალიან გაუხარდა და მომილოცა, მკითხა, თუ გადმოვხტი მეოთხე საფეხურიდან, და მეც ნასიამოვნებმა ისევ მოვატყუე, მეექვსე საფეხურიდან გადმოვხტი-მეთქი. ძალიან შემშურდა, ნეტავ, მეც ეგეთი გრძელი ფეხები მქონდესო და ჩუმად გავავგრძელებო გზა.

კიდევ დიდხანს მეგონა, ალბათ ყველაფერი არ არის რიგზე, ამდენ ხანს არ უნდა დაეგვიანა-მეთქი და წლის ბოლოს დამძიმებულმა და იმედგაცრუებულმა, გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა კიდევ უფრო გაზრდილი მარუსასთვის. ისევ სკოლის გზაზე მიმავალს გაუვმხილე, რომ არაფერი ყოფილა და მარუსამაც მაგრად დამცინა, შენ ბიჭი ხარ, ეგეთი რალაცები მარტო გოგოებს ემართებათ, სხვა გოგოებთან არილაპარაკო ეგეთებზე, თორემ მაგრად დაგცინებენ, ბიჭებთან საერთოდ, ისედაც ყველა შენზე იციანისო.

მაშინ პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ ძალიან დიდი განსხვავება იყო ჩვენს შორის და სულ უფრო იშვიათად ვხვდებოდი მარუსას. შეყვარებულთან ნერილებიც სხვებს დაჰქონდათ და მე აღარ ვჭირდებოდი. მარუსა იშვიათად მომიკაკუნებდა დილას კარზე, ერთად რომ წავსულიყავით სკოლაში. სხვა გოგოები იპოვა და ზურგზე ჩანთამოკიდებული და გულზე მიხუტებული მათემატიკის წიგნით მიუყვებოდა გზას. არაფრით გამოაპარებდა ჩემკენ თვალს. სულ აჩის ეძებდა, ყველგან და

ჩემი ოჯახი დაჰკლებია, მაგრამ მე მაინც მარუსასგან ველოდი მიპატიჟებას. მინდოდა, მას ეთხოვა, ერთად გვეცეკვა ქორწილზე, ერთად გადაგველო ფოტოები, მეც მინდოდა წლების მერე შვილებისთვის მეჩვენებინა ფოტოები, მაგრამ მარუსას ხმა არ ამოუღია. ისე გატეხა სახლში შესვლისას ძირს დაგდებული თევზი, მე საერთოდ არ გავხსენებოვარ. არადა, კაბა იყო ისეთი, როგორზეც ამდენი წელი ერთად ვოცნებობდით; ტორტი თუმცა არ იყო იმხელა, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზი იყო და აჩი ისევ ისე ძალიან უყვარდა, როგორც მაშინ, ტყემლის ეზოში.

იმის მერე ბევრი წელი გავიდა, მარუსა სულ სხვა მხარეშია, ძალიან შორს ჩემგან. არ ვიცი, როგორია ცხოვრება, როცა თეთრ კაბას იხდი; არ ვიცი, როგორია ცხოვრება, როცა ნერილებს აღარ წერ შენს საყვარელ ბიჭს; არ ვიცი, როგორია, იმდენ შვილს რომ გააჩენ, რამდენზეც ოცნებობდი. არასდროს მოუყოლია ჩვენს ეზოში მოსვლისას. ისევ თავაზიანად ესალმება ეზოში მოხუცი ქალებს და ალბათ ფიქრობს ჩემზე, ტყემლის ხის ქვეშ რომ აღარ ვზივარ და თავს რომ აღარ ვუქნევ თანხმობის ნიშნად.

ხოლო ყოველი თვის ოცდაშვიდ რიცხვში თითქოს მუცლის საშინელი ტკივილი მეწყება, მერე ერთი ადგილიდან ადგომა მიჭირს, მთელი დღე ვზივარ და ვფიქრობ მარუსაზე, მარუსას შვილებზე — ნეტავ, იმათ რამხელა ფეხები ექნებათ, ცამეტი წლისანი რომ იქნებიან, ისევ გადმოხტებიან თუ არა მესამე საფეხურიდან ბებიის რჩევით, თუ უფრო მაღალი საფეხურიდან გადმოხტომასაც შეძლებენ?!



ვფიქრობ მარუსას გრძელ ლამაზ თმაზე და ვხვდები, რომ ჩემი ოცდაშვიდი რიცხვი საერთოდ არაფერია მარუსას ოცდაშვიდ რიცხვთან შედარებით; რომ მარუსას უფრო სტიკია, რომ ჩემი ტკივილი საერთოდ სახსენებელიც არ არის.

და ცოტათი, სულ ცოტათი, ისევ ისე, ბავშვურად და გულუბრყვილოდ მჯერა, რომ მეორე დილას ზენარზე მიმხმარ სისხლს შევნიშნავ და ახლა მინც გავიგებ იმ სულელურ სასიყვარულო წერილებს, ასე მონდომებით რომ წერდა ტყემლის ხის ქვეშ აჩის მარუსა. ჩემი ლამაზი მარუსა.

აბვიანებს

აბვიანებს. უკვე სამი საათია და ჯერ არსად ჩანს, არადა დაგპირდა, მალე მოვალ, ამჯერად არ დავიგვიანებო. ნახე, აბვიანებს, სად არის, კაცმა არ იცის. არა, ვილაცას ეცოდინება, მარტო ხომ არ იქნება, ვილაცასთან იქნება. ვილაცამ იცის, შენ — არა.

სამსახურში იყავი, დაგირეკა, დღეს მოვალ, სახლში ვერ ვბრუნდები, ცოტას დავლევ და მოვალ, არ დაიძინო, შენც ძალიან გაგიხარდა, ჯერ უფროსთან მიხვედი და უთხარი, ცოტა ადრე წავალ დღეს, მეგობარი უნდა მოვიდეს ჩემთანო, უფროსმაც ნება დაგართო, მაგრამ არც გაპხარებია, არც სწყენია.

სამსახურიდან ტაქსით წამოხვედი, აქაოდა, დროზე მივიდე სახლში, ცოტა მივალავო. შვიდი ლარი მიეცი ტაქსისტს. მთელი გზა ფიქრობდი, მოასწრებდი თუ არა დალაგებას — უცებ მოგვიდი სამზარეულოს, მერე მისაღებს და საძინებელს, უცებ გამომწმენდი სველი იატაკის ჩვრით, მალაზიშიც შეიბრუნდი, ოთხ-ხუთ ცალ კარტოფილს იყიდდი, სახლის დალაგებას მორჩებოდი თუ არა, საგულდაგულოდ დათლიდი და კარაქში შენვავდი.

გახსოვს, ერთხელ რომ გითხრა, კარაქში შემწვარი უფრო გემრიელიაო. ვითომ ზეთში შემწვარს რა დაუწუნა?! შენ ძალიან გეწყენია, ნეტავ, რატომ ვერ მოვიფიქრე, კარაქში შემწვარო. მერე გადაწყვიტე, მეორედ ისე გავაკეთებ, როგორც სურსო.

ახლაც სწრაფად იყიდე ყველაფერი, სახლიც სწრაფად მიაღაგე. ასე ძალიან სწრაფი სხვა დროს არ ხარ ხოლმე, შენ თვითონ თვეში ერთხელ ალაგებ სახლს, მაგრამ საკმარისია, იმან დაგირეკოს, ეგრევე დაფაცურდები. აბა, დასალაგებელ სახლში ხომ არ მიიღებ.

არადა, ვერაფერს ამჩნევს, ვერც დალაგებულ სახლს, ვერც კარგად შემწვარ კარტოფილს, ვერც საგულდაგულოდ განწმენდილ ფანჯრებს, ვერაფერს საერთოდ. არც იხედება, მოვა და დილაამდე დინავს. აჰ, დამავინწყდა, ჯერ სექსი გაქვთ, მაშინ ინწყება, როცა მას უნდა და მაშინ მთავრდება, როცა ის გაათავებს. არც კი გეკითხება, შენ თუ მორჩი, გადაწვება, ხელეებს შეახოცავს ზენარს და სიგარეტს მოუკიდებს, საერთოდ არ აინტერესებს, ახალი გარეცხილი რომ არის ზენარი, არც ის ახსოვს, საძინებელში რომ არ ენევი. ბოლოს წამოდგება, ტუალეტში გავა, შენც, რა თქმა უნდა, გაყვები. სარკეში იყურება, მერე თავს დახრის, ონკანს შეუშვერს ხელეებს და პირში წყალს დაიგუბებს, ისევ შეხედავს თავის გამოსახულებას სარკეში, სავსე ტურებს, დაგუბებული წყლისგან გამობერილ ლოყებს, თვალებს და მაღალ შუბლს, მერე წყალს გადააფურთხებს და სარკეში გამოგხედავს, უკან რომ დამდგარხარ შიშველი, მთელი ძალით რომ ცდილობ, სიმშვიდე შეინარჩუნო. არადა, გრცხვენია სიმშვილის, გგონია, რომ არ მოწონხარ, გგონია, რომ სწრაფად უნდა ჩაიცივა, მაგრამ ჯერ წყლის გადავლება გინდა. ნეტავ, შენს თავს რას ეუბნები, წყალს რომ გადაივლებ და გასუფთავდები, შემთხვევით იმას ხომ არ ამბობ წყლის ჭავლის ქვეშ, ცუდი სექსი მქონდა და ახლა უნდა დავიბანოო?!

ტუალეტიდან გამოსული ხედავ, როგორი სიყვარულით ეთამაშება შენს კატას, რომელსაც სახელიც კი ვერ მოუფიქრე, ხან რას ეძახი და ხან რას. თვითონ ფისოს ეძახის, აწვალებს და იმ სიყვარულს აძლევს, რაც შენთვის ასე ძალიან ენანება, მაგრამ ეგეთებზე არ ფიქრობ, მაგაზე საფიქრალად მე გყავარ. ცოტა ხანს

უყურებ, მერე ვითომც არაფერი, შენც კატის მოფერებას იწყებ. არადა, გძულს. გშურს მისი. გინდა, რომ მოკვდეს. მერე გახსენდება, რომ კასტრირებულია და გიხარია. ისევ ეფერები და გახსენდება, მართობისას როგორ გვერდში გიდგას, გახსენდება, რომ არასოდეს მიდის და არასოდეს აგვიანებს. სულ სახლშია, გარეთ გასვლა არ უნდა.

მეორე დილას შენ უფრო ადრე იღვიძებ, ფრთხილად დგები სანოლიდან და ისევ ტუალეტში გადიხარ, ფრთხილად უშვებ წყალს და ამოღებულ თვალეებში ისევ სველ ხელეებს — ასე ცდილობ, ფერი დაუბრუნო, მერე ფრთხილად იხეხავ კბილებს, სავარცხელს დაავლებ ხელს და მხრებამდე ჩამოყრილ თმას საგულდაგულოდ ივარცხნი, არცერთი ღერი გრჩება უყურადღებოდ. თმის დავარცხნას რომ მორჩები, სავარცხელს თავის ადგილზე აბრუნებ, სარკეში იხედები და ხელით ცდილობ, ისე დაიყენო თმა, დავარცხნილს რომ

არის, სახლი დალაგებულია, იბანავე, საგულდაგულოდ გაისუფთავე თავი, ლამაზი ტანსაცმელიც ჩაიცვამს, თმაც გაგიშრია და დაგივარცხნია, ზიხარ სამზარეულოში და ტელეფონს დაჰყურებ — ელოდები, მოგწერს, გეტყვის, როდის მოვა. შენ უკვე მისწერე ორჯერ, მაგრამ არ გიპასუხა. თავს იმშვიდებ, ალბათ ვერ ნაიკითხა, ალბათ არ ესმის ზარი და ზიხარ, მოპირდაპირე მხარეს, კედელზე დაკიდულ სარკეში შენს თავს ათვალიერებ, უყურებ კარგად გაპარსულ ფეხებს სარკეში და ცდილობ, შეამჩნიო, რამე ხომ არ გამოგრჩა, სადმე ხომ არ დარჩა გასაპარსი. მერე შენს თავზე გეცინება, ხომ იცი, რომ არაფერი დაგრჩა, ნახევარი საათი დაუთმე ფეხების გაპარსვას, არადა, სანამ მას შეხვდებოდი, ასე გულმოდგინებით არ იპარსავდი. ერთ დღესაც გითხრა, ზოგ ადგილას გრჩება და არ მომწონსო, იმის მერე უფრო მეტ დროს უთმობ ფეხების გაპარსვას.

თქვა უარი საკუთარ პრინციპებზე. დიდ ლუკმებზე, სვენებ-სვენებით ჭამდი კარაქიან პურს, დედას მობეზრდა შენი ყურება და იქვე, სამზარეულოს მაგიდაზე დაგდებული ჟურნალი აიღო, წინ დაგიჯდა და ჟურნალის ფურცლა დაიწყო. სწრაფად მოათავა საქმე და იმის იმედად, რომ დამთავრებული გექნებოდა ჭამა, თეფშს დახედა. კიდევ ერთი ნაჭერი პური იდო, სწრაფად აგაცალა მაგიდიდან თეფში, ნიჟარაში ჩააგდო ხმაურიანად, ნახევრად მონეული სიგარეტიც ონკანის წყალს მიუშვირა, ჩააქრო და ტუალეტში გაგიყვანა, სარკესთან დაგაყენა და თმა დაგვარცხნა. სარკეში აკვირდებოდი შენს თავს, ელოდებოდი, რომ დედაც გამოხედავდა შენს ანარეკლს სარკეში, მაგრამ სულ ტყუილად — თმებს არ ამორებდა თვალს. მერე ავტობუსს ელოდებოდი ერთად. დედას კაბა ეცვა, მუხლებს უფარავდა.



ზურაბ აბაშიძე

არ გავდეს. მერე სამზარეულოში გადიხარ, ერთ ნაჭერ პურს ჭამ, ერთ ღერსაც ენევი და ბრუნდები უკან სანოლიში. ხედავ, ჯერ კიდევ არ გაუღვიძია, ფრთხილად ნევი გვერდით. ცდილობ, არ გააღვიძო და თვალეებს ხუჭავ. ზუსტად იცი, რომელ საათზე გაიღვიძებს. ათი წუთი ჩუმად ზიხარ, მერე ეღვიძება, გადმოგხედავს და ვერც კი ამჩნევს, თმა რომ დავარცხნილი გაქვს, ვერც კი ამჩნევს, ისევ ისეთი ლამაზი რომ ხარ.

ყოველ ჯერზე იმედი გაქვს, დილასაც გექნებათ სექსი, მაგრამ ეჩქარება, სხვა საქმეები ელოდება. შენც მანც ვიუტად ცდილობ, ხელი ჩაუტურო ქვემოთ და შემომწმომ, გამაგრებული აქვს თუ არა, მაგრამ არაფრით გაცლის. სწრაფად დგება ლოგინიდან, შედის ტუალეტში და ფსაშს. ვერც კი ხვდება, რომ კარი უნდა დახუროს, ვერ ხვდება, რომ შენ არ უნდა გაგაგონოს, რას შვება ტუალეტში, შენ ხომ ასე ჩუმად აკეთებ ყველაფერს. მერე სწრაფად იკეთებს მაჯის საათს, საგულდაგულოდ დაკეცილ ტანსაცმელს იღებს და იცვამს, უგულოდ გკოცნის შუბლზე, ვითომ დებილი იყო ან ანგელოზი და მიდის — კარი დაკეტეო, გამოგძახებს. არც — და-გირეკავ, არც — ნახვამდის, არც — მომენატრები... მიდის და მიდის.

ცოტა ხანს მობეზრებული ჰყავხარ. მი-აჩნია, რომ საკმარისზე მეტი მოგცა იმ ლამეს და ახლა არ უნდა დაურეკო. შენს შეტყობინებებსაც არ პასუხობს, არც ზარებს, მერე და მერე ხვდება, რომ აღარ უნდა დაგერეკა, არც მიგენერა, მანც არ აქვს აზრი.

და დღესაც ზიხარ, უკვე ღამის სამი საათია, ელოდები, კარტოფილი მზად

გახსოვს, დედამ ერთ დილას ადრე რომ აგაყენა სანოლიდან?! შენ არაფერი გემახსოვრება, მაგრამ მე მახსოვს. სხვა არაფერი მიკეთებია, ყველაფერს ვიმახსოვრებდი. ადრე აგაყენა სანოლიდან და ხმა არ ამოუღია. შენ მაშინაც ერთგვარი შიში და მოკრძალება გქონდა და არაფერი უთხარი, არადა, ძალიან გეძინებოდა, საერთოდ არ გინდოდა, ცივ ზამთარში ჩაბნელებული ოთახი გაენათებინა და პირში გაჩრილი სიგარეტით სწრაფად და საქმიანად გაეღვიძებინე, მაგრამ არაფერი გითქვამს, მაშინვე დაწყვიტე თვალეები და წამოჯექი სანოლზე. დედა გათვალისწინებდა, გამოწმებდა, თითქოს რამეს გიპირებდა. შენ არაფერი იცოდი, ვერც ახლა ხვდები.

სამზარეულომდე გაგიძღვა, სასადილო მაგიდასთან დაგსვა და კარაქიანი პურები დაგინყო თეფშზე, ჩაის არც მაშინ სვამდი, ყავისთვის ძალიან პატარა იყავი, რძე რომ სასარგებლო იყო შენთვის, არც კი უფიქრია და, რა თქმა უნდა, არც ყიდულობდა თქვენს ქვემოთ, ცირას მალაზიაში. შენ რომ დღეების იყავი, არც მაშინ გასმევედა რძეს. ერთ დღეს ძუძუ ეტკინა და გადანწყვიტა, მე რძეს ვერ ვაჭმევო და ძუძუს თავებზე წინაა ნაისვა, შენ რომ პირში ჩაიდე დედის ძუძუ, ტურები აგენვა და ტირილი მორთე. იმის მერე დედის რძე აღარ დაგილევია, დედაც ჩუმ-ჩუმად, დედამთილის მალულად ინველიდა რძეს და გვიან ღამით უნიტაზში ასხამდა. დღესაც სიამაყით იხსენებს, საკუთარი თავი არ დაუკარგავს, შვილის გამოც არ

რკინის სკამზე ისხედით, ფეხი გადაედო ფეხზე და ცდილობდი, შენც ზუსტად იგივენაირად დამჯდარიყავი. რამდენჯერაც დააპირებდი ფეხი ფეხზე გადაედო, იმდენჯერ გრძელ თითებს გადაებდა ფეხზე და პოზის შეცვლას არ გაცლიდა. შენც ნაწყენი და უკმაყოფილო, უკან აბრუნებდი ფეხს და გზას უყურებდი — გაინტერესებდა, სად მიდიოდით, მაგრამ ვერ ეკითხებოდი, ვერაფრით უბედავდი კითხვის დასმას, პატარამაც იცოდი, გეტყოდა, მივალთ და გაიგებო.

ავტობუსში ჯერ ცალკე სკამზე დაგსვა, მერე გვერდით მოგიჯდა, მაგრამ როგორც კი შეივსო ადგილები, ფეხზე წამოგაყენა, შენი ადგილი დაიკავა და შენც წინ დაუდექი. მამასთან ერთად სულ პირიქით ხდებოდა, სულ შენ იჯექი ავტობუსში, მამა თავზე გადგა და ცდილობდა, სკამიდან არ ჩამოსრილებულიყავი. იმასაც იხსენებდი, რომ მამას სულ სხვადასხვა მანქანა ჰყავდა, ხან ვისგან ითხოვებდა, ხან ვისგან, დაგისვამდა წინ და იმის უფლებასაც გაძლევდა, ფანჯარა ბოლომდე ჩამოგენია და თავი გადაგეყო — გიყვარდა თმები რომ გიქრიალებდა. ხანდახან მამას მუხლებზე უჯდებოდი და საქეს ატრიალებდი, გასალებსაც გაბრუნებინებდა და გეგონა, მანქანა შენ დაძარი. დედა როცა იჯდა მანქანაში, შენ ყოველთვის უკან იჯექი, ღვედი გეკეთა და გაძრევისაც კი გეშინოდა, არც ფანჯარას გაღებინებდა და არც თავს გაყოფინებდა. ძალიან თუ დაცხებოდა, თვითონ ჩამოწევედა და ოდნავ მოდიოდა შენამდე ქარი. მამა ვერაფერს ეუბნებოდა დედას და ძალიან ბრაზდებოდა.

მაგრამ მაშინ, ავტობუსში, ფეხზე რომ იდექი, საერთოდ აღარ ბრაზდებოდი მამაზე, ისე გენატრებოდა, ერთი სული გქონდა, როდის დაბრუნდებოდა, თუმცა ბოლო დროს საერთოდ აღარ გქონდა იმედი, რომ მოვიდოდა. სალამობით, ძილის წინ, ღმერთს ეხვეწებოდი, ოღონდ დაბრუნდეს, სულ არ მოვითხოვ ნინ დაჯდომას, უკან დავეჯდები მანქანაში და არც გავექანებო. მაშინ გეგონა, რომ ღმერთი არ გისმენდა, მაგრამ როგორც კი მამა დაბრუნდა, ოღონდ ცოტათი შეცვლილი მამა, მიხვდი, რომ ფრთხილად უნდა გეტხოვრა რაღაცები ღმერთისთვის. მაშინ მიხვდით, რომ ყველაფერს, რასაც ინატრებ, აუცილებლად ახდება, მაგრამ როგორ ახდება, კაცმა არ იცის. მიხვდი, რომ ღმერთი სინამდვილეში ძალიან თავისებური და ახირებული კაცი იყო.

ავტობუსში დედას ვილაც კაცი რომ მიუჯდა გვერდით, დიდხანს აკვირდებოდი, მოგეწონა კიდეც, იმაზეც კი იფიქრე, რა იქნება, დედას ეს კაცი რომ შეუყვარდეს და მარტო აღარ იყოსო. გახსოვს, ღამ-ღამობით დედის ოთახიდან ტირილის ხმა რომ გესმოდა, ძალიან ნუხდებოდი?! ასე იყო თუ ისე, მაინც ძალიან გიყვარდა დედა და არ გიხაროდა, მთელი ღამე რომ ტიროდა, არც ის გიხაროდა, ხანდახან რაღაც ნამლებს რომ სვამდა და დიდი ხნით რომ იძინებდა. არც მის თითებში ჩარჩენილი ჩამწვარი სიგარეტი გაყენებდა კარგ ხასიათზე, ფრთხილად რომ ართმევდი ხელიდან და იქვე მდგარ საფერფლეში რომ აგდებდი. საფერფლე საესე იყო და მერე მთელი ღამე ვერ იშორებდი სიგარეტის სუნს თითებიდან და სულ გემინოდა, ვინმეს არ ჰგონებოდა, შენც ენეოდი.

მაგრამ დედა იმ კაცს საერთოდ არ უყურებდა, ფანჯრისკენ მიებრუნებინა თავი და ქალაქს აკვირდებოდა. ასე იყო მანამ, სანამ თქვენი ჩამოსვლის დრო არ დადგა — დაგავლო ხელი და ავტობუსიდან ჩამოგიყვანა, თმაზე გადაგისვა ხელი, წინ წაგიძღვა. სად მიდიოდი, ისევ ვერ მიხვდი, არადა უკვე მიხვედით.

პატარა კარი შეაღო, თავი ოდნავ დახარა და შენობაში შევიდა, კარზე „სილამაზის სალონი“ ეწერა, მაგრამ შენ ნაკითხვა ვერ მოასწარი და თავის უკან მობრუნება და წარწერის წაკითხვა ვერაფრით გახედე, დედა წინ წავიდა და შენ ერთადგილას გაჩერდი, მიხვდი, რომ აღარ უნდა გაყოლოდი.

დიდხანს ელაპარაკა დედა უცნაურად ჩაცმულ ბიჭს, რომელსაც თმები კეფასთან შეეკრა და წელში გამართულიყო. მოკლე, უშქვლო მიაკა ეცვა და საშინლად მოჭერილი ჯინსის შარვალი. ცოტა ხანს ილაპარაკეს და ბოლოს ბიჭმა გამოგხედა, ხელში მაკრატელი და სავარცხელი ეჭირა და ძალიან შეგეშინდა. თავდაპირველად შორიდან გიყურებდა, თან დედაშენს უქნევდა თავს, ბოლოს შენთან მოვიდა და დაიხარა, თმაზე დაგაკვირდა, ხელით შეამონმა შენი თმა, გაგიღიმა და ისევ დედასთან მიბრუნდა, თან უარის ნიშნად თავი გააქნია. დედამ ჩანთიდან ფული ამოიღო, ბიჭს მისცა და სანამ ბიჭი ითვლიდა, სიგარეტს მოუკიდა. ბიჭმა სწრაფად ჩაიტენა ჯიბეში ფული და ისევ შენკენ გამოემართა, წრე დაგარტყა უცნაური ნაბიჯებით და დედას გასძახა, ზუსტად არ ვიცი ამ ფერზე დაჯდება თუ არა, მაგრამ მაინც ვცადოთ, რაღაც დაახლოებითი შეიძლება გამოვიდეს, მერე მეორედაც გადაიტარებ საღებავს და ეგ არისო. მერე შენ მოგიბრუნდა, ძალიან ღამაზი ფერის თმა გაქვს, პატარაო, და სკამზე დაგსვა — სანამ ჩვენ დედიკოს თმას შევუღებავთ, შენ აქ იჯექი, არსად წახვიდეო.

დიდხანს იჯექი იქ, არც ხმა ამოგიღია და არც გარეთ გასვლა მოგიტხოვია. ძალიან გინდოდა, შენც დედასავით იმ სკამზე მჯდარიყავი, მაგრამ როგორ გახედავდი და როგორ იტყოდი, არც მაშინ და არც მერე, როცა დედას იმ დღეს ახსენებდი, არასდროს გითქვამს, შენც რომ ძალიან გინდოდა მაღალ სკამზე დამჯდარიყავი.

სახლში ფეხით დაბრუნდით, იმედი გქონდა, გზად სანაყინეში შეივლიდით და

დედა ნაყინს გიყიდდა, მაგრამ ისე ჩაუარეთ, არცერთს გაგიხედავთ იქით, დედამ არც კი გითხრა, ფული რომ აღარ დარჩა. სალამოს სარკესთან მდგარმა დედამ ბევრი იტირა. ჯერ უხმოდ ტიროდა, მერე ხმაც ამოაყოლა, მერე შეამჩნია, მის უკან რომ იდექი და სწრაფად შემობრუნდა. შენ ოთახისკენ გაიქეცი, გამოგედევნა, ხელში აგიყვანა და სარკესთან მიგიყვანა. დიდხანს აკვირდებოდა შენს თმას, მერე თავის თმას უყურა, მერე ორივეს ერთად და ვერაფერი საერთო რომ ვერ დაინახა, უფრო ატირდა.

მეორე დღეს ისევ წახვედით სალონიში — დედამ თავისი ფერი დაიბრუნა. როგორც კი ადგა, თავის სკამზე დაგსვა და უცნაურ ბიჭს სთხოვა, სულ ბოლომდე აელო შენთვის თმა, არც ერთი ლერი თმა არ დაგიტოვა თავზე. თავიდან კმაყოფილი იყავი, დედას სკამზე იჯექი, მაგრამ სარკეში რომ ჩაიხედე და დაინახე, თავზე აღარაფერი გქონდა, ტირილი აგიტყდა. სკამიდან რომ ჩამოხვედი და ძირს დაყრილი შენი თმა დაინახე, სწრაფად ეცადე აკრეფა და თავზე დადებ, მაგრამ არაფერი გამოგივიდა, თმა ისევ ქვემოთ მისრიალებდა.

სახლამდე არ შეგიწყვეტია ტირილი, მაგრამ შენ არაფერი გახსოვს — სამაგიეროდ, მე მახსოვს და არასოდეს დაგავინწყებ.

და ზიხარ სამზარეულოში, სასადილო მაგიდასთან, თმა ისევ ისეთი გრძელი და ღამაზი გაქვს და ასე იქნება კიდეც დიდხანს, ასე იქნება მანამ, სანამ დედის ასაკს არ მიაღწევ და თმაში ჭალარა არ შეგვერევა, მაგრამ არც ეგ არის პრობლემა, შენ ხომ გადანყვიტე, შვილი არასდროს გააჩინო და თუ შვილი არასდროს გეყოლება, ვერც ვერავის შეხედავ და არ გაგახსენდება, რა ღამაზი თმა გქონდა ერთ დროს და თუ შვილი არასდროს გეყოლება, ვერც ვერავინ წაგართმევს ახალგაზრდობას, ღამაზ თმას და ღამაზ ფეხებს, და ვერავინ ვერასდროს გაიძულეებს, ისევ დაყარო ბინძური სილამაზის სალონის იატაკზე ქერა ხვეულები...

მაგრამ მაინც, ზიხარ სამზარეულოში და ელოდები. იცი, რომ აღარ მოვა, უკვე თენდება, აღარც წვიმი, ჩიტებმაც დაიწყეს ჭიკჭიკი, ექვსი საათია. ბოლო ღერი სიგარეტი მოწიე, ერთი-ორჯერ იტირე კიდეც, ისევ ბევრჯერ სცადე დარეკვა, მაგრამ არ გიპასუხა. იცი, რომ სხვასთან წავიდა, მაგრამ ვერ უბრაზდები, ისევ ვერ იღებ ხმას, ერთი ცუდიც კი ვერ იფიქრე მასზე, ზიხარ ისევ ისე და გებრალეხა შენი თავი, ზუსტად ისე ხარ გაჩუმებული, როგორც მაშინ, დილით ადრე რომ აგაყვინა დედამ საწოლიდან, ავტობუსში ადგილი რომ წაგართვა, სარკეში რომ გაკვირდებოდა, თმას რომ გჭირდა უცნაური ბიჭი. ახლაც არ იღებ ხმას, ახლაც არ ცდილობ, თქვა ყველაფერი, ახლაც ეგუები აზრს, რომ აღარ მოვა. ხვალაც რომ დაგირეკოს, უარს არ ეტყვი, ისევ მიიპატიუებ სახლში, ისევ გამოიქცევი სამსახურიდან ნახევარი საათით ადრე, ისევ გადაიხდი ტაქსიში შვიდ ლარზე მეტს, ისევ დააღაგებ სახლს და ისევ დაელოდები და გათენებისას, როცა ყველა იმედი გადაგენურება, ისევ შენს თავს დადანაშაულებ, ან უარესი, შეგეცოდება შენი თავი და ბევრს იტირებ.

არადა, არ შეგიძლია ამდენ ხანს საკუთარი თავის ატანა, არ შეგიძლია, მთელი დღე უყურო შენს თავს, გინდა, რომ დაგეძინოს და აღარ იფიქრო საკუთარ თავზე, ძალიან გიჭირს შენს თავთან ერთად ყოფნა, მაგრამ იცი, რომ ვერსად გაიქცევი, იცი, რომ ვერსად დატოვებ საკუთარ თავს, იცი, რომ დედის დატოვება ადვილია, ერთ დღესაც წახვალ და აღარ დაბრუნდები მასთან, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად დატოვებ, დიდი-დიდი, დაიძინო.

დილის შვიდი საათია, ფიქრობ, რომ დაძინებას აზრი აღარა აქვს, ჩაიდანს ღვამ გაუჭურაზე, თმას ივარცხნი და ემზადები სამსახურში წასასვლელად.

კარს კეტავ, ჩანთას იკიდებ მხარზე, ბოლოჯერ იხსენებ, რამე ხომ არ გრჩება სახლში, საათზე იხედები და ფიქრობ: აგვიანებს.

გურამ მეგრელიშვილი

ალტერნატიული საქართველოს ამბები



დასასრული

„როცა საზარელმა გველეშაპმა დაუძინარი თვალებით იხილა მომავალნი, გრძელი კისერი წინ წამოსწია და შემადრწუნებლად მორთო შხვილი; მდინარის გრძელმა ნაპირმა და ვრცელმა ჭალამაც გამოსცეს ხმა. იგი გაიგონეს იმათაც, ვინც ტიტანური აიადან ძალზე შორს ცხოვრობდნენ, კოლხეთის მიწაზე, ლიკეს (ძირულას) შესართავთან. (ლიკე), როცა ხმაურა მდინარე არაქსს დაშორდება, წმინდა ტალღებს ფაზისს უერთებს. შემდეგ კი ეს ორი მდინარე, უკვე გაერთიანებული, კავკასიის ზღვას შეედინება. შიშისაგან გაიღვიძეს მეძუძურმა დედებმა და შემფოთებულებმა ხელები მოხვიეს შხვილის გამო ავანკალბულ ჩვილებს, რომელთაც არტახებში გაკრულთ ეძინათ, ვით ცეცხლნაკიდებელი ტყის თავზე იკლაკნება კვამლის ურიცხვი გრაგნილები, რომლებიც მრგვალ წრეებად შეკრულნი განუწყვეტლივ მიემართებიან ზემოთ ერთმანეთზე მიყოლებით, ისე დაკლანა მაშინ ურჩხულმა გამხმარი ქერცლით მოფენილი უთვალავი რგოლი“ (თარგმანი აკაკი ურუშაძისა).

შემზარაობა ადგილისა, სადაც გველეშაპი ვერძის ტყავს იცავდა, თვალწინ დამიდგა. ციტატა კი გრძელდებოდა: „იასონი შიშით მიყვებოდა ქალწულს. (მედეამ) უთხრა ჭაბუკს არ მიახლოება გველეშაპს, სანამ ახლად მოჭრილ ღვიის შტოს შეურეველ ჯადო-წამალში არ ამოავლებდა, მაგრამ იასონმა ვერ მოითმინა მუხაზე ჩამოკიდებული ვერძის ტყავის დანახვაზე და საბედისწერო ნაბიჯი გადადგა...“

„და ესევეა უსულო იასონი მიწაზე. გველეშაპი კი ცეცხლოვან ენას ჰყოფდა და ჰაერს სიმყრალით ავსებდა...“

კონსპექტი ამით თავდება. ეს არ იყო ვერსია, რომელიც წაგვიტოხავს, ეს საერთოდ არ იყო ვერსია. იასონი მოკვდა. თუ იასონი მოკვდა, არგონავტების მითს აზრი ეკარგებოდა. თუ არგონავტების მითს აზრი ეკარგებოდა, გაუგებარი ხდებოდა ლატვიელის მონაყოლი ამბავი მედეას ცხოვრებაზე კორინთოზე, სადაც ექვთიანობით დაბრმავებულია ქმრის, იასონის გასამწარებლად შვილები დახოცა. როდესაც ნაშთქოლში, ორი მუხის შორის გაბმულ ჰამაკში ვიჯექი, იუნაიუსი კი ხის სავარძელში მოკალათებულიყო, სწორედ იმას მიმტკიცებდა, რომ მედეას შვილები კორინთელებს არ დაუხოცავთ და რომ ევრიბიდეუს, სინამდვილეში არაფერი გამოუგონებია, მხოლოდ სიმართლის ნაწილი დამალაო.

აზრთა თავმოყრა გამირთულდა. ახლა მჭირდებოდა ვინმე, ვისაც დაველაპარაკებოდი, მაგრამ ლევანი გვიან დაბრუნდებოდა, სამეზობლოში კი არავის ვიცნობდი. ჯერ მაზერში ყავის დასალევად წასვ-

ლა გადავწყვიტე, მერე ესეც დამეზარა, დედაქალაქში დავრეკე მეგობართან და სრულიად უაზრო საუბარი გავუბიძგე ბუროთ მატჩზე, რომელიც წინა თვეში გამიმართა. ერთი სიტყვა არ დამცდენია არგონავტებზე, ოქროს სანმისზე. ნახევარი საათი ვისაუბრეთ და დავემშვიდობე.

ღამით შვილების მკვლეელი ყველაზე ცნობილი კოლხი ქალი დამესიზმრა. სიხმარი არც იყო ალბათ, ჩემმა არაცნობიერმა აზროვნებთა და ფიქრით დატვირთული დღის ემოციები სიზმარში გამალა. ტვინმა მედეა საშუალო სიმალის შავ-გვრემან ქალად მომივლინა (ალბათ ეს მარია კალასის რემინისცენცია უფრო იყო). მახსოვს, რატომღაც ჩემთვის გავიფიქრე, რომ ამ უბედური ქალის ზოდიაქოს ნიშანი უეჭველად მორიელი იქნებოდა და ის დაიბადებოდა ოქტომბრის თვეში. მამის, ძმის, სამშობლოს, შვილების ლაღობი სიყვარულის გამო, სიყვარულის, რომელიც მაც საბოლოოდ მინც უღალატა — განა რა შეიძლება იყოს ამაზე მეტად ტრაგიკული?

მერე პელიასის სასახლე დამესიზმრა, სადაც კოლხი ქალი მეფის ასულებს არწმუნებს, ქალღმერთი ვარ, ადამიანის მკვდრეთით აღდგენა შემოიძლიაო. მდულარე წყალში ბებერ ცხვარს აგდებს და ბატკანი ამოყავს. შვილები მამას დანით ანაკუნებენ და მედეა ყინულივით ცივი, შურისმაძიებელი სახით უყურებს მისი საყვარელი კაცის ბოროტმოქმედ ბიძას.

სიცივემ გამაღვიძა. ტანსაცმლიანს მეძინა, ფანჯარა კი ღია დამეტოვებინა. სვანეთში ზაფხულშიც კი ცივა ღამით, განსაკუთრებით, როცა დღეს კაბა დაუტრძელდება.

უთენია ავდექი. უშბის წვერზე მზე თამაშობდა. რა შეიძლება იყოს უფრო მშვენიერი, ვიდრე უშბა? ამაყი, ცივი ქალწული. იქნებ სულაც არაა ქალწული და პირიქით, სვანური შუასაუკუნეების კოშკებზე ფალოსური სიმბოლოა, მასკულანური ძალისა და კულტურისთვის საფუძვლის მიმცემი? ღმერთმა იცის.

ამაოდ ველოდე იუნაუსს. აღარ გამოჩენილა. საერთოდ აღარ გამოჩენილა, რადგან მისი დატოვებული მანქანა გამქიარებელი კომპანიის თანამშრომელს ნაუყვანია ავვისტოს ბოლოს.

მას მერე რამდენჯერმე ვიყავი სვანეთში. თეთნულდიდან შხარამდე მოვიარე სოფლები. ყველგან ვკითხულობდი უცნაურ ლატვიელ კაცს, სასიკვდილო სენით დაავადებულ ქალიშვილთან ერთად რომ მოგზაურობდა. ყველგან იცნობდნენ ამ უცნაურ ადამიანს, მაგრამ ბოლოს როდის ნახეს და სად, ვერ იხსენებდნენ.

რა არის საინტერესო ნიგნის ბოლო ამოხეულ გვერდებზე საშინელი? იმედგაცრუება!

ირაკლი კაკაბაძე
სტამბოლი-თბილისი-სტამბოლი

არამიანის საავადმყოფოში

მტვერით,
თეთრი,
სქელი მტვერით,
დუმილი ადევს
საწოლებს,
რაფებს,
ფანჯრიდან უცქერ
აპრილის ხეებს,
ფანჯრიდან ეტრფი
აპრილის მწვანეს.
და შენ არ იცი,
როდემდე შეძლებ,
და შენ არ იცი,
როდემდე გაძლებ,
ასე დუმილში,
ასე ეულად,
შენ კედლებში,
და აპრილი გარეთ...

ზაფხული. სტამბოლი

გალათას ხიდზე მაჩერებს და
ფულსა მთხოვს ბავშვი.
მეკითხება, სად არის ზღვარი,
სად მთავრდება აღმოსავლეთი?..
მე კი არ ვიცი, სად გადის ხაზი,
ნითელი ხაზი,
ვისი შვილის წყურვილზე,
ვის გამაგრებულ ძუძუს კერტებზე,
რომელი ბავშვის უძვლო კისერზე,
რომელი ჩვილის ქორფა გულზე...
ჩვენ ვდგავართ ხიდზე,
რამადანის წმინდა ღამეა,
მინარეთის ბოლო დაძახილს ელის ქალაქი,
მთვარე სრუტედან მეთევზეთა ანკესს ამოჰყვა...

ვინც ზურგით დგახართ,
ზურგშექცევით,
უსახოდ,
ზურგით.
ვინც ზურგით დგახართ,
მე დღენიადაგ
თქვენი ხერხემლის
ჩამქრალი სინათლეების კვალზე დავდივარ.
ვინც ზურგით დგახართ,
მე მიყვარს თქვენი
ქვასავით ზურგი,
მკაცრი კისერი.
მე მიყვარს თქვენი
უსახო,
უპირო,
მდუმარე ზურგი.
გაულიმარი,
პირქუში ზურგი.

ეს რა მსუბუქი გამაჩინე, დედაჩემო,
წყალს მიყვარ დაცემული ხესავით.
ეს რა მსუბუქი გამაჩინე, დედაჩემო,
მუდამ თავის ზედაპირზე მათივტივებს ტალახი.
ეს რა მსუბუქი გამაჩინე, დედაჩემო,
ყველაფერი ლოდებივით მანვება.
ეს რა მსუბუქი გამაჩინე, დედაჩემო,
ქარის ხელზე დავფარფატებთ მხოლოდ მე და
თოლიები.
ეს რა მსუბუქი გამაჩინე, დედაჩემო, ყველასათვის,
სხვებისთვის.
ეს რა მსუბუქი გამაჩინე, დედაჩემო,
რა მსუბუქი,
რა მსუბუქი,
და მძიმე...

აუშკინის სკვარში

ჩვენ ყველამ ვიცით,
კაცმაც და ხემაც,
კუთხეში მდგარმა
უკაცო სკამმაც,
რომ მოედანზე
იმ ბავშვის ჩრდილი,
რომელიც დასდევს
ნაცრისფერ ჩიტებს,
გაქრება,
როცა ვერ ნახავს სხივი,
ვერ ნახავს სხივი,
ვერ ნახავს სხივი,
ვერ ნახავს სხივი,
და ხელს ჩაიქნევს...

რომელ გზას შევდგე,
რომელ ბილიკს გამოვუყვე,
ეკლიან ბილიკს.
რომელ გზას გავყვე,
რომლის ბოლოს დგას სინათლე,
შენი სინათლე.
რომელ გზას შევდგე,
არც ბილიკი ჩანს,
არც ხევის პირი.
რომელ გზას გავყვე,
რომელ გზას შევდგე,
ან რომელ ბილიკს?..

საითკენ წავა,
ვის მიაპყრობს მზერას წყვილი.
საითკენ წავა,
ვის ფანჯარას მიუკაკუნებს.
საითკენ წავა,
დაფერფლილი,
ჩამწვარი,
მქრალი.
საითკენ წავა,
როცა წავა
ჩემგან წყვილი...

ფორუფ ფაროზზადის ქუჩით

ედღენება ძალადობის მსხვერპლ ქალებს

ლურჯი სალოცავების ჰორიზონტზე,
ლურჯი ფაიფურის დამსხვრეული სინათლეებისკენ,
იქ, სადაც ნორჩი ხეხილის ბალებს
უგულობის ერთი ნაპერწკალიც
სახეზე ხანძრად ეკიდებთ —
ფორუფ ფაროზზადის ქუჩით მივდივარ.
იქ, მდუმარე განთიადებში,
მზის წამომდგარ მზუჭტავ ლანდთან
წვანან და სისხლისგან დაცლილთ სძინავთ
ჩემს შორეულ შეყვარებულებს —
გახლეჩილი ბრონეულის პატარძლებს,
რომელთა თეთრი კაბების ნითელი ლაქების კვილში
ქრებიან განთიადის ბოლო ვარსკვლავები.
იქ, ლურჯი მენჩეთების,
ლურჯი ტაძრების ჰორიზონტზე,
ნორჩი ხეხილის ბალების ხანძარში,
სადაც ფორუფ ფაროზზადის ქუჩით მივდივარ,
ხელის შეხებით კი არა,
სულის შებერვითაც იმსხვრევიან,
ლურჯი ფაიფურის სინათლეებივით,
ჩემი შორეული შეყვარებულები.

დღეთა რიგებს,
დღეთა ტეხილებს
ჩავუარე,
მზიანს,
ქარიანს,
და ერთი ფიქრი არ მასვენებს,
მტანჯველი ფიქრი —
სად,
სად არის,
სად წავიდა ადამიანი?..



ვიო

ფაროზზადის

გულის მახლობლად დამალავ კბოდეს,
ხან სისხლის ნაცვლად მოგდის ბალღამი.
როცა ასეთი სიცოცხლით კვდები,
უნდა დაღამდე...

თითქოს
მომღვენო 2

შემოაგებთ თავრიზიდან მოსულ ქარავანს
მთვარის სიზმარი, უძილობის საზღვართან ახლოს,
სადაც კედლების იქით მელის დღესაც არავინ.
კედლების აქეთ სადღაც ჩემი ლექსები სახლობს.
ჩამოალაგეთ ალქაჯების გალიებიდან —
ძველო მითებო — კუდიანის ყველა კიდური;
ან კრატერიდან ლავა ისე დამალევივით,
რომ დამაჯეროთ, არაყივით ხომ არ ვყიდულობ.
ვარწვედი ალღოს, ხის ფესვებით ვქსოვე ჰამაკი;
ყველა არჩევანს შემოვავლე ლექსის მესერი;
ბევრი მდინარე მახსენდება თითქოს კამკამა,
მათგან რომ დარჩა კალაპოტი მშრალი და სერი.

თითქოს
მომღვენო

მიჰქონდა დღეებს იელის თრობა,
დამსკდარი მინის იერი იქვე
ითხოვდა თითქოს — ტკივილს და ოხვრას;
თან უხილავი დიდების თარგი
ურჩევდა — სხვასთან იტირე ახლა
ანდაც შენივე სიკვდილიდან სურათი თარგმნე,
ეს იგივეა...

თითქოს

მოიტან ფერებს სიმშვიდით — გები,
მიუნვდომელი ფიქრის გასაღებს;
დანარჩენ სივრცეს მესა უზნებმა
მისცენ... უბრალოდ გტკივა და დგები
გულგატეხილი, ისე ასაღებ,
თითქოს არავინ მესაუბრება.

ადამიანებს ბუმერანგები ისვრიან;
მთვრალეები ფეხებს ერევიან;
ყველა განედს ეკვატორობა სურს;
მინა ეყრდნობა ტერფებს;
ყველას — ვუგებთ, ვუყვარვართ;
ყველა — გვებრძვის და გვივინწყებს;
გვნახულობს სიზმარი;
გვირჩევს მიმართულება; გვისახავს მიზანი;
ვათბობთ ცეცხლს; ვანათებთ მზეს;
ვახარებთ ბედნიერებას;
გვიღებენ ვალები, მერე აღარ გვიხდიან;
ბგერებს ესმით ჩვენი; სამყარო გვხუდავს;
არომატებმა ჩავვისუნთქეს;
ასაკს ვემატებით; მუხლებს ვეკეცებით;

ლომიძე



ხეები გვჭრიან; ატომმაც გამოგვიგონა,
 მერე გამოგვიყენა;
 განგაშის ზარმა ჩამოგვკრა;
 სოლიდარობას არ ვემეტებით ერთმანეთისთვის;
 გექაჩავს ნაფაზი; ნარკოტიკი გვიჩხერს;
 შრომას ვეთაკილებით; მათხოვრობა პატივს გვცემს;
 ცხოვრებას ვეზარებთ;
 გვექმნის და გვინარჩუნებს კულტურა;
 შარი გვეძებს; ძალადობენ;
 ვიპყრობთ ჩრდილოეთს; ვემეგობრებით დასავლეთს;
 გვეძებს ღმერთი; გვაშენებენ ეკლესიები;
 გვიმონებს დოგმა და სიხარბე;
 სიმშვიდე ვერ პოულობს ჩვენში ადგილს;
 რევოლუციებს ვიზიდავთ; ქართველობა ჩვენით ამაყობს;
 გვახარისხებენ; ვძულვართ ინტელექტს;
 ვეხალისებით ბრაზს; რევანში კმაყოფილდება ჩვენით;
 დრო გვხარჯავს და მინიც უნდა გვნამდეს,
 რომ ღმერთს ვიხსნიო...

ერთიანად

როცა სინდრომია ქარიშხალი,
 ახლოს სიმბოლურად არვინ.
 ევოლუციურად გავიშხლართე,
 ხელი შემაშველე, დარვინ.
 ვხედავ ნარინჯისფერ კარტახენას,
 ჩემში გალესილა მოემი,
 კარზე აღარავინ აბრაზუნებს,
 უნდა განთიადსაც — ვეომო.
 ინკვიზიციური მატრიაზი,
 სუნთქვაშენყვეტილი ყავლი,
 აზალეპტინებიც მაბრაზებენ,
 მათაც დავიკიდებ ხვალვე.
 ვგავდი ბაობაბის გამხმარ
 ჯერ არჩამოტყვილ მერქანს,
 სალესს მეტალისგან ნახმარს,
 გარდაუვალი რომ მერქვა.
 ისევ შევარგოვებ ლოთებს
 ღამით, უჩემობის ნამაზს
 მუდამ შევახსენებ — „ჟე ტემ“
 პარიზს — თბილისურად ღამაზს.

ნატვრა

გაფრენილ თვეებს ცელქის ფერი იერი შერჩა,
 მოგონებებით აგიბურდე ნანნავში კანა;
 შემომეკოცნე კალთებიდან უპეებამდე,
 რა შეიცვლება, რომ წარსულში დავბრუნდე განა.
 შენი თვალები, შენი სიტყვა შენი სიამე,
 ზრუნვით ავსილი, ანთებული ჩუმი ოცნება;
 ასე ვიზრდები, მივლია და დღემდე ვიარე,
 შენი ამაგიტო, გეფიცები — ყველა ოცდება!..
 მიბრუნებ წარსულს, გადაღლილი, წრფელი ღიმილით;
 ვიხსენებ ერთ დროს აჩემებულ — „ჰაი დილილმეს“-ს,
 დაღლილი ბავშვი შენს წინ ვდგავარ ისევ — დიდივით,
 ამის სათქმელად ვერ ვიკმარე ერთი მინიმა,
 გაფრენილ თვეებს ცედრის ფერი აულიცილიცდა,
 დედის სიმბოლოდ ჩემში დამაქვს დამჭენარი კანა;
 შემომეკოცნე კალთებიდან ჩახუტებამდე,
 სიზმარში მაინც დაბრუნდი და მიმღერე ნანა.

ლევან ზარიძე

წუხელ ბარბაცით თოვდა,
 ჭრელი სიზმრები წუხდნენ
 და ქარი ნასწავლ ლოცვას
 იძახდა სხაპა-სხუპით.

ერთხანს წუხილიც წუხდა,
 ცა ღამეების თევით,
 წუთებს ვიგებ და ვაგებ,
 არ მრჩება არაფერი.

თუ ცხადი აღარ ცხადობს,
 აღარც სიზმარი მზეობს,
 თქვენი დასტური მინდა,
 ჩემო პატარა ძმებო.

წუხელ ბარბაცით თოვდა,
 ჭრელი სიზმრები წუხდნენ
 და ქარი ნასწავლ ლოცვას
 იძახდა სხაპა-სხუპით.

სული სამადლოდ ხომ გადმოგიგდეს,
 არც შენ არა ხარ მაგის გამცვეთი,
 ბედი რად უნდა ნეტა შენაირს,
 ჩიტივით გყოფნის დარდის ნამცეცი.

ვიცი, იძინებ ზედმეტად ხშირად,
 დღეებს იბევრებ გაღვიძებებით
 და ახლა უკვე ყოველი წამის
 დროა შენახვის და დაძველების.

ხელეგაშლილი დგას სასაფლაო,
 ქარქაში ხორცის და სულის შვება,
 გიყვებს ცხოვრება, როგორც სახადი
 და ეგ სახადიც უთუოდ შენ ხარ.

ქარის დაკრულზე ცეკვავს ღრუბელი,
 ზარებს აცვიათ შენი კანკალი,
 მარადისობას ფლანგავ, არადა,
 წამიც აღარ გაქვს დასაკარგავი.

გვიცნობენ? არა, გვიცნობენ,
 შორი მზე აღმაცერობს,
 ცელქობს საათი მაჯის,
 ჩამორჩეს?! არ არსებობს.

წავიდნენ? არა, მოვლენ,
 ჩემი სიტყვის თუ გჯერა,
 მზეც მოვა ცხრავე თვალით
 და მთვარეც თვალბეჭერელა.

ველოდოთ? არა, ლოდინს
 უყვარს გულების ხეთქვა,
 მერე სინანულს მივცეთ,
 რაც სიხარულმა ვერ თქვა.

მისდით? არა, მოგვსდევს
 ბედი კოჭლობით, ფორთხვით.
 ბავშვობის მინურულზე
 ცეცხლთან თუ თამაშობდი.

გვიცნობენ? არა, გვიცნობენ,
 შორი მზე აღმაცერობს,
 ცელქობს საათი მაჯის,
 ჩამორჩეს?! არ არსებობს.

გავყურებ ბენვის ხიდს,
 შენ გზებმა ჩაგყლაპეს,
 არ ვგონებ ეს სული
 თავისით დანყნარდეს.

ხვალ მოხვალ იმ ქარით,
 გაჰყვები იმ ქარსვე,
 შორსაა პრანჭია
 სიკვდილის სინაზე.

არეულ, დარეულ,
 შორეულ ქარებში
 რა არის სიცოცხლე
 სიგიჟის გარეშე.

თეთრია სიშორე
 და გიჟის ხალათიც,
 მზე მანდაც ამოდის,
 აქ კვდება ქალაქი.

გავყურებ ბენვის ხიდს,
 შენ გზებმა ჩაგყლაპეს,
 არ ვგონებ ეს სული
 თავისით დანყნარდეს.

მერცხლები ისევ აქ არიან,
 ეს თოვლი თოვლი ნუ გგონია,
 ფანჯრიდან შემოდის სიჩუმე,
 გარეთ არნახული თოვლია.

ქარზე გადართული ღამეა,
 ეს ცა აღარაფერს აჩვენებს,
 დღეები კარებში გადიან,
 მერცხლები გაფრენას მაჩვენებენ.



არაწირობა ბალაკტიონ ტაბიძისა

I. PETRONIUS

ოცინი წლების პირველ ნახევარში სალექსო საზომების არითმეტიკული პროგრესიით აღმავალი ცხრილი შეადგინა — „20 მარცვლამდე. L'art poetique“ — და სანამ მუშოდ თავდაპირველად ოთხი სტრიქონის თანამიმდევრობით გახანგრძლივებული ვარიაცია წარმოგვიდგინა:

ქარი ქრის.

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს.

შემოხვება ატმის ხეს ქარი.

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.

როგორც ვხედავთ, პირველი სამი მისივე სტრიქონებია და მხოლოდ მეოთხეა განსხვავებული — თოთხმეტმარცვლოვანი. სწორედ ამ თოთხმეტმარცვლოვანთან შეყოვნდა, მოულოდნელად მეორე რიტმი აღმოაჩინა, გადააწყობა და კომენტარიც დაურთო:

„1. შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი (7).“

2. შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი (14).“

აქ განსხვავებაა რიტმით. მარცვლები ერთი და იგივეა. აქედან ცხადია, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რიტმს სიტყვათა დანაწილებისათვის.

თქვენ უსათუოდ გახსოვთ ღამე, ქვითინი ქარის და სხვ.

აპოლინერის ჯგუფი“.

„აპოლინერის ჯგუფი“ — ამ სათაურით 1924 წელს გამოცემულ ჟურნალ „კავკასიონის“ 1-2 გაერთიანებულ ნომერში რედაქტორმა პავლე ინგოროყვამ დაბეჭდა სამი ფრანგი პოეტის სამი თავისუფალი ლექსი: გიომ აპოლინერის „კროკუსები“, ჟან კოკტოს „მუზები (ოდა პიკასოსს)“ და ბლეს სანდრარის „კოშკი“ და იქვე ლათინურად მიუთითა: Petronius.

სწორედ ამ პუბლიკაციის პირველი სტრიქონი („შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი“) გადაამოწმა გალაკტიონმა ექსპერიმენტის მეთოდზე საფუძველზე და იგი გიომ აპოლინერს ეკუთვნის, მაგრამ ვინაა მთარგმნელი ანუ პეტრონიუსი?

ბლოკნოტი, რომელშიც ეს ფრაგმენტი დაიბეჭდა, გალაკტიონის საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეულის მეცამეტე ტომში დათარიღებულია 1923 წლით, ვინაიდან 90 გვერდიან ბლოკნოტში, რომელიც მრავალ ჩანაწერს, ლექსის ავტორგრაფსა და ჩანახატს შეიცავს, მხოლოდ ერთგანაა ავტორის მიერ მითითებული თარიღი: 1923 წლის 20 იანვარი.


ჩვენ ვიცნობთ გალაკტიონის 1924 წლის ჩანაწერს „კავკასიონის“: მწერალთა კავშირის პრეზიდენტი და დადგინა ახალი ჟურნალის გამოცემა და შექმნა სარედაქციო საბჭო. რედაქტორად დანიშნა პავლე ინგოროყვა, ხოლო გალაკტიონი ოთხთაგან საბჭოს ერთ-ერთ წევრად დაამტკიცა. მაგრამ საბჭოს ანუ სარედაქციო კოლეგიის წევრს არ მოეწონა კოლეგა-რედაქტორის „სეპარატიული მუშაობა“ და უარი განაცხადა კოლეგიის წევრობაზე, „კავკასიონის“ კი „მხოლოდ ინგოროყვას ჟურნალი“ უწოდა. ვისაც გვეკონდა შედარება ბატონ პავლესთან თანამშრომლობისა, შეგვიძლია დავადასტუროთ, ეს იქნებოდა ოდენ რედაქტორის ჟურნალი და გალაკტიონის პროტესტი და გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში სავესებით სამართლიანია.

საერთოდ კი, გალაკტიონ ტაბიძისა და პავლე ინგოროყვას ურთიერთობას ორმხრივი პატივისცემა განაპირობებდა. გვახსოვს: 1939 წლის 14 ოქტომბერს გალაკტიონმა პავლესთან შეხვედრა-გასაუბრება გაიხსენა და „კავკასიონის“ ყოფილ რედაქტორს „დიდებული ადამიანი“ უწოდა, ხოლო „დიდებულ ადამიანს“ სიცოცხლის ბოლო წლებში თავსასთუმალთან „კავკასიონის“ სარედაქციო კოლეგიის წევრობის ყოფილი კანდიდატის ლექსების წიგნი ელო.

ცხადია, სარედაქციო კოლეგიაში პოეტი რედაქტორმა მიიწვია და ისიც ცხადია, რედაქტორს გალაკტიონი ავტორი უფრო აინტერესებდა, ვიდრე კოლეგიის წევრი, რომელიც სწორედ იმ წლებში „ეფემერებით“ იყო შეპყრობილი.

და, რაკი აპოლინერის გამორჩეული სტრიქონი 1923 წლით დათარიღებულ ბლოკნოტში აღმოჩნდა და ამდენად იგი წინ უსწრებდეს 1924 წელს გამოცემულ „კავკასიონის“, „უცნობის“ მეხუთე გამოცემისას ვივარაუდებ, რომ ამ სამი ფრანგი პოეტის მთარგმნელი შეიძლება გალაკტიონი ყოფილიყო. ჩემს ვარაუდს ამყარებდა გალაკტიონის განსაკუთრებული დაინტერესება ფრანგული პოეზიითა და ფრანგული ენით („ფრანგული ენა ხვალისა“ — ჩაუწერია იმავე ბლოკნოტში), აგრეთვე — სარედაქციო კოლეგიის წევრობის სტატუსი და, რაც მთავარია, ამ პუბლიკაციის პირველმა სტრიქონმა რომ დისონანსი არ შეიტანა გალაკტიონის ციტაციაში, ხოლო არანაწირობის კიდევ მეტად დაემსგავსა გალაკტიონისას, რომელმაც ერთი წლის შემდეგ სოლოგუბის მიერ გადარუსულებული ვერლენის თორმეტი

ვახტანგ ჯავახიძე



ისევ

ბალაკტიონი

ლექსი გადმოაქართულა და ამითაც წამაქეზა და გამათამაშა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფრანგი პოეტების მთარგმნელის ვინაობა ვაკანტური იყო. არ იყო ცნობილი, ვინ იდგა უკან პირველი საუკუნის რომაელი სატირიკოსის, ცნობილი „სატირიკონის“ ავტორისა, რომელსაც ეკუთვნის გახმაურებული მასიმი — „კაცობრიობა კომედიას თამაშობს“, და რომელმაც ნერონის კარზე მოღვაწეობისას სასახლის ინტრიგების გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა (სხვათაშორის, 1916 წელს ტიციან ტაბიძემ, გალაკტიონის პირველ წიგნსა და მარტოობას რომ მიესალმა, ეს უკანასკნელი პეტრონიუსს დაუპირისპირა — „ქართველი პოეტი ვერ შეიშენეს, რომ პეტრონიუსისთვის თავისი სიკვდილის ანტრაქტებში ეროტიკული ლექსი დაწეროს“).

გალაკტიონის უბის წიგნაკებში და ბლოკნოტებში ხშირად მოგვიანებით ჩანერილი უთარილო ტექსტები გვხვდება. გამოირკვა, რომ ამჯერად 1923 წლის ბლოკნოტში რიტმები 1924 წელს გადაამოწმა: ფრანგული ლიტერატურის მკვლევარის გასტონ ბუაჩიდის წიგნში „ნახნაგები“ დაბეჭდილია ნერილი „აპოლინერი“:

— ფრანგ პოეტს ქართველი მკითხველი პირველად 1924 წელს შეხვდა, როდესაც ჟურნალმა „კავკასიონმა“ დაბეჭდა ლექსის „კროკუსები“ ხელმოწერილი მთარგმანი და ცნობა ავტორის შესახებ. ჩვენთან საუბარში პავლე ინგოროყვამ გაგვიხილა, რომ „კროკუსები“ მას უთარგმნია (რუსულიდან) და კომენტარებიც თვითონ დაურთავს.

დამენანა, გულწრფელად დამენანა, დანარჩენი 123 სტრიქონი კი არ დამენანა, არამედ — ერთადერთი პირველი სტრიქონის მთარგმნელი რომ გალაკტიონი არ აღმოჩნდა, ამაზე უფრო დამწყდა გული.

აბა შევადაროთ:

ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე, არე-მიდამოს შხამავს ღრმა მწუხარების შხამი.

და:

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.

და კიდევ შევადაროთ:

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.

და:

ვით დამსხვრეული ჭიქა, გატყდა ღიმილი ტუჩის.

ათოვდა ზამთრის ბალებს, მიჰქონდათ შავი კუბო.

ცაზე სანთლები დარგეს, ნისლში მოძრაობს არსი.

და ცისარტყელა სევდის იმ თავგულთან დაშრა.

ვისაც ვენდე და მინდო, კვლავ მომაგონდეს, მინდა.

დახურულია წიგნი უკანასკნელი მწუხრის.

ესეც გავიხსენოთ:

— მთარგმნელები საზოგადოდ ხშირად სარგებლობენ ჩემი რიტმით.

და დავასრულოთ: არა მარტო მთარგმნელები! თუმცა, უნდა ვაღიაროთ: სამი ფრანგი პოეტის 124 სტრიქონიდან მხოლოდ ერთი დაემსგავსა გალაკტიონს, უფრო სწორად — მთარგმნელს შეეზიარა და მიიმსგავსა გალაკტიონმა, და ამ მიმსგავსებულ შეიდმარცვლოვანს შეიძლება თამამად მივანეროთ:

ლექსი გიომ აპოლინერისა, თარგმანი პავლე ინგოროყვასი, არანაწირობა გალაკტიონ ტაბიძისა.

აკი აუხსნა კიდევ ერთხელ გალაკტიონს გერონტი ქიქოძემ:

— თქვენი ლირიკის საუკეთესო ინტერპრეტაცია მუსიკალური პიესებით შეიძლებოდაო.

აპოლინერის თავისუფალი ლექსის თავისუფალი თარგმანი ტრადიციული მინორით იწყება:

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი, ნელი ლასლასით აქ დადიან ზანტი ძროხები და ისუნთქვენ დამძიმებულ დახაშულ ჰაერს, კროკუსის ბუჩქებს

ლილისფერია სცივიათ ფოთლები, ლილისფერია შენი ცქერაც ამ ყვავილივით.

ცხადია, მთარგმნელიც ამ სტრიქონებს კლასიკური თოთხმეტმარცვლოვანის ინტონაციით აღიქვამდა.

გალაკტიონმა მხოლოდ გააორსტრიქონა, უცებ მოკვეცა და დაძაბა:

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.

და თითქოს სულ სხვა სტრიქონებს კითხულობთ, რომელიც თვით მთარგმნელსაც მოაწონებდა თავს.

პირველი ვარიანტის მთარგმნელი გალაკტიონი შეიძლება არც ყოფილიყო, მეორესი კი — მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონი შეიძლება იყოს. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა არანაწირობის ხარისხი საავტორო უფლებას აღემატება.

ახლა, მოდით და, მეტი სიცხადისათვის, შევაბრუნოთ და პირიქით გავიმეოროთ გალაკტიონის ალქიმია, გავიმეოროთ მის მიერვე შემოთავაზებული:

თქვენ უსათუოდ გახსოვთ ღამე, ქვითინი ქარის,

და:

თქვენ უსათუოდ // გახსოვთ ღამე, // ქვითინი ქარის.

ეს უკვე აღარაა გალაკტიონი.

და ბარემ ჩვენზე ქათინაურცი გავიმეოროთ: გალაკტიონის ჯადოსნური კვერთხი ანუ ხელის ოდნავი შეხებაც კი ალქიმიაკოსივით უბრალო ლითონს ძვირფას მეტალად გარდაქმნიდა.

შეიდმარცვლოვანის ასეთი მოულოდნელი ვერსია (52) გალაკტიონმა დაამკვიდრა და ამ ინტონაციით ასზე მეტი ლექსი დაწერა, განსაკუთრებით — ალზევების 1915-1926 წლებში. ამ ექსპერიმენტისათვის შეეძლო საკუთარი მაგალითი მოეხმო, მაგრამ, როგორც ჩანს, შემთხვევით აღმოაჩინა მინორში მაჟორი, რომელსაც „კავკასიონის“ პირველი-მეორე ნომრის ასოცდამეხუთე გვერდზე ნაღმივით ეძინა და გალაკტიონს ელოდებოდა.

თოთხმეტმარცვლოვანის (545) ამგვარი გადაწყობა შეიდმარცვლოვანებზე იშვიათადაა შესაძლებელი: აუცილებელია მეორე მუხლში ორი ქორე დაწყვილდეს, ხოლო მესამეში — დაქტილი და ქორე:

5//22//32
52//52

მინორისა და მაჟორის მსგავსი მონაცვლების მაგალითი განსაკუთრებული გამონაკლისია გალაკტიონის სიმფონიაში. თუმცა ანალოგიურ შემთხვევაში მხოლოდ ამგვარი მარტივი გაანგარიშება არ კმარა. აუცილებელია აგრეთვე ის იდუმალი და აღმატებითი ექსპრესია, რომელიც გალაკტიონის ამ პერიოდის მელოდიებს გამოარჩევს და რომელსაც უადრესად გამაფრებული ქვეცნობიერი ანესრიგებდა. ამიტომ არ ვიცი, გაშიფრავდა თუ არა ამ ბილინგვას 1915-1926 წლების ზონის გარეთ. ამჯერად კი რიტმებში ჩაღრმავებისას მოულოდნელად წააწყდა სასურველ ვერსიას, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და ისე დაინტერესდა და შეყოვნდა, რომ ექსპერიმენტის გაგრძელება გადააფიქრდა თუ გადაივიწყა.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ ტენდენციურად ნაიკითხა განაწყენებულმა გალაკტიონმა „კავკასიონის“ პირველი-მეორე ნომერი, რაკი კოლეგიის წევრობაზე უარი თქვა. მაგრამ, მიუხედავად წინასწარი ნეგატიური განწყობისა, მაინც აღმოაჩინა თუნდაც ერთადერთი სტრიქონი, რომელიც განსხვავებულ რეგისტრში გადაიყვანა და სასურველი ვარიაცია მოიხელთა.

სხვათაშორის, იმავე 1924 წელს პაოლო იაშვილმა „მნათობის“ მესამე ნომერში გამოაქვეყნა მოთხრობა-მოგონება — „წითელი ბუმბუკები“ და გაიხსენა 1914 წელს გიომ

აპოლინერთან და პარიზის მათხოვრებთან ერთად გატარებული ერთი ღამე.

1955 წელს კი ეს ეპიზოდი გაიხსენა გალაკტიონმა: — 1. პარიზი. 2. პაოლო იაშვილი. 3. გიომ აპოლინერი.

ხოლო შალვა ხიდაშელმა გაიხსენა 1934 წლის 17 მაისს ლენინგრადის ქართველთა საზოგადოების შეხვედრა გალაკტიონთან და გასეირნება ნევის სანაპიროზე:

— გალაკტიონმა ვერლენის ლექსები წამოიწყო დინჯად, თითქოს ჩურჩულით, გალაკტიონისებურად. დაამთავრა ვერლენი, შემდეგ აპოლინერი და თითქმის ყველა ფრანგი სიმბოლისტი.

„კავკასიონში“ პავლე ინგოროყვას სხვა პოეტურ თარგმანებსაც წაიკითხათ: პლატონის ეპიგრამები, გრიგოლ წერეთლის წერილში („ანაკრეტი“) ჩართული ციტატები, პოლ კლოდელის „წმიდა საკითხავი“ და ჟიულ რომენის „ევროპა“, ოლონდ პირველ სამ შემთხვევაში ფსევდონიმად შემოკლებული ლათინურები გამოიყენა: Asm და Asmi (ასმიდოდ ჩერქეზელი ანუ ასმიდოდ ინგოროყვა გახლდათ ბატონი პავლეს შორეული წინაპარი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩერქეზეთიდან გადმოსახლდა გურიაში), მაგრამ „საფრანგეთის ახალი სალიტერატურო სკოლების“ თარგმნისას რატომღაც განსხვავებული ლათინური აირჩია — Petronius.

1921 წელს პაოლო იაშვილმა ლექსი მიუძღვნა პავლე ინგოროყვას:

ძმავ ინგოროყო! პოეტო ადრე და მერე დარდო წარსულ დიდების; გულს პოეზია იჭვებით ანგრევს და სისხლს — დაპყრობა პირამიდების.

ადრე პაოლო აქეზებდა პავლეს — ლექსები გამოაქვეყნეო, 1923 წლის 21 იანვარს კი გრიგოლ რობაქიძემ გაზეთ „რუბიკონში“ რეკლამასავით გამოაცხადა:

— უეცრად დავიწყებულ პოეტად შემოიჭრება ქართულ პოეზიაში. მე ეს მნამს.

მაგრამ პავლე ინგოროყვა ვერავინ აცდუნა. ამის მიზეზი გახლდათ მისი უტყუარი გემოვნება და იქნებ — 1919 წელს გამოცემული გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“, რომელშიც ერთბაშად მაღლა ასწია თამასა.

— გასკდეს გული ბარემის! — აქვს გალაკტიონს ასეთი სტრიქონი და, მოდით, ჩვენც ბარემის პავლე ინგოროყვასთან ერთი შეხვედრაც გაიხსენოთ.

1939 წელს იაკობ ნიკოლაძემ გალაკტიონის ბიუსტი გამოაქანდაკა (მე მინახავს თბილისში ეს ბიუსტი გალაკტიონის მაგიდაზე 1958 წელს).

მოვუსმინოთ მოქანდაკის შვილიშვილს: — მოგეხსენებათ, როგორია დიდხანს მოდელად გამუშეებული ჯდომა. გალაკტიონს მოუსვენრობისაგან ქვედა ტუჩი უთამაშებს. იაკობი ხელში იღებს ღვინის ბოთლს. გალაკტიონი ჩერდება, მაგრამ ცოტა ხნით. იაკობი ღვინოს ჭიქაში ასხამს და ხელში უჭირავს. გალაკტიონი წყნარდება. იაკობი ჭიქას დგამს და მუშაობას განაგრძობს. გალაკტიონს ისევ მოუსვენრობა ეტყობა. იაკობი აწვდის ღვინით სავსე ჭიქას. გალაკტიონი ამბობს ლამაზ სადღეგრძელოს და ჭიქას სცლის. ახლა იაკობს შეუძლია მშვიდად იმუშაოს პორტრეტზე.

როგორც ვიცით, გალაკტიონი ხშირად დღიურებს გალექსავდა ხოლმე. ამჯერად — მოქანდაკესთან სტუმრობა და პოზირების სწორედ ეს ეპიზოდი შეურჩევია: არქივში აღმოჩნდა 43 სტრიქონი დაუსრულებული უსათაურო ლექსისა („გვხვდავ ხელით იშვიათით ჩემს ბიუსტსაც აქანდაკებს“), რომლის ბოლო სტრიქონები ასე იკითხება:

და როცა ის რუსთაველის ქანდაკების ამბავს მოყვა — ატელიეს შემოვიდა ჩვენი პავლე ინგოროყვა! დინჯი, რომლის მსგავსი ბევრი...

სამწუხაროდ, ლექსი-დღიური აქ წყდება, მაგრამ მომდევნო სტრიქონის ჩანაფიქრი ნათელია. სიტყვა წაცვდება გააგრძელო, ვთქვათ ასე: „დინჯი, რომლის მსგავსი ბევრი აღარაა...“ — და ასე შემდეგ.

გალაკტიონი და პავლე ამჯერად იაკობ ნიკოლაძესთან შეხვედრიან ერთმანეთს.

„კავკასიონის“ პირველ-მეორე ნომერშივე დაბეჭდილია ვან-დიკის წერილი „მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე“, ხოლო ორივე კრებულში — თვით იაკობის მეშუარი — „ერთი წელიწადი როდენთან“, როგორც ჩანს, რედაქტორის შეკვეთით დაწერილი: „ზოგიერთი ჩემი მეგობარი დაჟინებით მოხვდა დამენერა მოგონებანი როდენის შესახებ“, — ასე იწყებს როდენის მოწაფე.

როგორც ირკვევა, ინგოროყვამ არამარტო მოგონება შეუკვეთა მოქანდაკეს. „კავკასიონის“ პირველ-მეორე და მესამე-მეოთხე ნომერებში გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას ვრცელი მონოგრაფია — „ჩახრუხაძე. პოეტი. მოგზაური“. წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ „წინამდებარე ცდა ისახავს მიზნად ალადგინოს პორტრეტი ერთი ქართველი პოეტისა“, რომ ეს გამოკვლევა არის „რესტავრაცია ჩახრუხაძის პორტრეტისა“ და გვპირდება — „შემდეგში ჩვენ შევუდგებით ჩახრუხაძის პორტრეტის რესტავრაციას“.

ჩახრუხაძის პორტრეტი ანუ ბიუსტი სამართლიანადაა აღიარებული არა მარტო იაკობ ნიკოლაძის, არამედ — მეოცე საუკუნის ქართული სკულპტურის ყველაზე წარ-

მატებულ მიღწევად.

არსებობს ლამაზი ლეგენდა, თითქოს ნიკოლაძემ შემთხვევით „აღმოაჩინა“ ჩახრუხაძე: თიხით მოხუცის პორტრეტს ძერწავდა, ყოველ საღამოს ჩვეულებისამებრ თავზე ვეება სველ ჩვარს აფარებდა, რომ არ გამხმარიყო და ისე ტოვებდა. ერთხელაც, დილით, ვიდრე ჩვარს მოაცილებდა, შეყვინდა, დააკვირდა, დააკვირდა და წამოიძახა: ასეთი იქნებოდაო ჩახრუხაძე.

ადრე მიკვირდა, საიდან გამოარჩია ნიკოლაძემ მეტორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა აშკარად მეორეხარისხოვანი პოეტი, ანუ ინგოროყვას დახასიათებით — „დავინწყებული, რომელიც დავინწყების ღირსი არ არის“, და რაკი ნიკოლაძეზე ადრე ინგოროყვამ გამოარჩია, ახლა მჯერა, ესეც პავლე ინგოროყვას დამსახურებაა და „დავინწყებული“ პოეტის პორტრეტი ორმა პიროვნებამ აღადგინა.

„ჩვენი პავლე ინგოროყვა“ (როგორც გალაკტიონმა გაგვაცნო) ისეთი „დიდებული ადამიანი“ ბრძანდებოდა (როგორც გალაკტიონმა დაახასიათა), „რომლის მსგავსი ბევრი“ აღარაა (როგორც გალაკტიონმა იგულისხმა).

II. „შაშვი და კაკაბი“

გალაკტიონის პირად ბიბლიოთეკაში ირიცხება 1950 წელს დასტამბული სოლიდური მოცულობის „ლიტერატურული ძიებანი — VI“, რომელშიც დაბეჭდილია ამ აღმანახის მთავარი რედაქტორისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის წერილი — „მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისათვის“. შალვა რადიანი ჩამოთვლის პატრიოტულ თემატკაზე დაწერილ ნაწარმოებთა ავტორებსა და მხატვრულ ნიმუშებს. ასახელებს თექვსმეტს. ასეთ ჩამონათვალს მაშინ ცოცხალ მწერალთა საგვარეულო სასაფლაოს ეძახდნენ, თუმცა მწერლები დიდი ყურადღებითა და პატივმოყვარეობით ადევნებდნენ თვალყურს თანამიმდევრობას. ახლა რომ პარტიების რეიტინგის წინასწარი შედეგები ცხადდება და ცხარე კამათს იწვევს, ასეთი მოვლენა გახლდათ ეს ჩამონათვალი.

გალაკტიონმა აღმანახის არეზე ჩამომანკრივა და დანომრა გვარები: 1. გ. ლეონიძე. 2. გ. ტაბიძე. 3. ა. მირცხულავა. 4. ა. აბაშელი. 5. ს. ჩიქოვანი. 6. ლ. ქიჩელი. 7. ი. გრიშაშვილი. 8. ი. მოსაშვილი. 9. კ. კალაძე. 10. ი. აბაშიძე. 11. ა. გომიაშვილი. 12. შ. აფხაძე. 13. რ. გვეტაძე. 14. კ. ლორთქივანიძე. 15. გ. აბაშიძე. 16. ს. შანშიაშვილი.

როგორც ვხედავთ, მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას სათავეში უდგას გ. ლეონიძე და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამან გაანაწყენა გალაკტიონი და მან სამი შეკითხვა დანომრა:

— 1). ალფაბეტის წესითაა, 2). ქრონოლოგიით, 3). ნიჭის მიხედვით თუ როგორ?

ალფაბეტი გამორიცხულია, ასაკობრივი ცენზიც გამორიცხულია, მამასადამე, დაგვრჩა მესამე — „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“, რამაც სამართლიანად გააღიზიანა გალაკტიონის ამბიციცა.

ორ ფალავანს რომ გამოიყვანენ ხალიჩაზე და შეაჯიბრებენ, ისეა დაწყებული გიორგი ლეონიძე და გალაკტიონ ტაბიძე. ამავე დროს ეს არ გახლავთ რიგითი ლიტერატორის მიერ სახელდახელოდ დაზუსტებული თანამიმდევრობა, არამედ — მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ხელდასმით დადასტურებული ინდექსი და გალაკტიონმა საკუთარი ემოციები უკვე რომაულად დანომრა:

- I. შალვა რადიანის ყირამალები.
- II. შალვა რადიანის ოინები.
- III. შალვა რადიანის ნაჯექ-უკუჯექობა.
- IV. შალვა რადიანის ცულლულტობა.
- V. შალვა რადიანის ხრიკები.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა: ლიტერატურული აღმანახის ამავე კრებულში გალაკტიონმა წაიკითხა გრიგოლ ხერხეულიძის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა — „გიორგი ლეონიძის პოეზია“, რომელიც სრულ ლეგიტიმაციას ანიჭებს რადიანის რეიტინგს. ამიტომაც ამ რეიტინგით შეურაცხყოფილმა გალაკტიონმა აშკარად სუბიექტურად წაიკითხა ხერხეულიძის ნაკვლევის ოცდათექვსმეტივე გვერდი და მინანურებით, ხაზგასმებითა და უცნაური ნუმერაციით ლურჯი მელნით გადაალურჯა ნაბეჭდი ფურცლები.

თავიდანვე ზოგიერთ სიტყვაზე ციფრები დაუსვამს და ასე გაუგრძელებია ცხრა გვერდზე, 97-მდე მიუღწევია და მერე მიუტოვებია მხოლოდ მისთვის გასაგები ჩანაფიქრი. უპირველეს ყოვლისა — უაღრესად პრეტენზიულია: — ჩემია! — ჩემია! — ჩემია! — ეს ჩემია! — ეს ჩემია! — ეს ჩემია! — ანალოგიურია ჩემი ლექსისა. — „ზარნიშინი წიგნიდან“. — „სანამ მძლავრობს ხალხის ხმა“. — „მიყვარს კავკასიის ქედი“. — „მშობლიური ჩემო მინავე“. — „გორი“. პოემა.

მთელი ცხოვრება კითხვის ნიშნებს შორის გაატარა და ახლაც სწორადაა გაოცებული:

— რაო, რაო? — ვითომ? — ეს რას ნიშნავს? — საიდანაა ცნობილი? — საიდანაა ეს დასკვნა? — ვისია? — ჩემს ლექსებში არ არის თუ? — რა შუაშია? — რა რეჩიტატივია ეს? — როდის იხმარება? — ასე უცებ გადასვლა? — გრამატიკულად როგორაა? — ლეენით როდის ანთია? — რატომ ჰგონია კრიტიკოსს, რომ ეძიებს, რაც კარგა

ხანია მოძებნილია და „დამტკიცებული“?

კატეგორიულად დაასკვნის: — ასე არ შეიძლება. — ასეთი ჩანგი არ არსებობს. — ასეთი აბსურდი არავის უთქვამს. — ეს დაბნევაა. — ეს ტყუილია. — ეს ფორმალზმია. — ეს სახარებიდანაა. — ეს არ არის ურითმო ლექსი.

— კარგი სრულყოფილი ფლობაა, შენ ნუ მომიკვდები. — ინუნებს სააკაძის ხმალს, ინუნებს ყანსს, ინუნებს ვარსკვლავებს, ინუნებს იალქანს.

სადაც ნეოლოგიზმებია მოწონებული, ერთი გამოარჩია („მოიგალავნებს“) და მიურითმა-მიურიტმა:

მოიგალავნებს მოიფალავნებს მოისულელებს მოიპოეტებს

და იქვე მიუშაირა:

სიტყვა უნდა სუფთა იყოს და სპეტაკი, როგორც დროშა, ქართულმა ხმამ ვით მიიღოს ზოგიერთი მეგონის რომაა.

დაბოლოს „შეთქმულთა“ სამეული ამხილა: — ზედვე ეტყობა, რომ ხერხეულიძე და ლეონიძე ერთად სწერდნენ ამ წერილს, გ. აბზიანიძეც იქ იყო ალბათ.

გიორგი აბზიანიძე აღმანახის სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი გახლავთ და ამიტომ მოიხსენია. კოლეგიის მთავარი რედაქტორი კი ერთხელ კიდევ გაიხსენა („დიდი ცულლუტი ვინმეა ეს შ. რადიანი“):

ყოველი უუნარობა რადიანიდან იწყება, ჭორთა, უნიჭო საქმეთა მიკონინ-მოკონინება. კულტურულ საქმიანობის არც რიდი, არც მონინება, ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, სად არის გამოღვიძება?

ასე დააპირისპირეს კოლეგა პოეტთან და: — ვინა სჯობია: მე თუ ლეონიძე? შენ აკადემიის უფრ-

ნალებში პირველ პოეტად ლეონიძეს ასახელებდი, არა? — შეუტია აღმანახის ჩვენთვის ნაცნობ მთავარ რედაქტორს. პირადად ლეონიძეს კი ცხრამუხლიანი ბრალდება ჩამოუთვალა. ნავიკითხოთ ოთხი:

— ის ამტკიცებს, „მე სხვა ვარ, გალაკტიონ ტაბიძე სხვაო“, ე.ი. მე უფრო მაღლა ვდგევარო.

— ის უმტკიცებს შ. რადიანს, აბზიანიძეს და სხვებს იმას, რომ პირველი პოეტია, რომ ჩემზე მაღლა დგას. აღწევს კიდევ მიზანს (იხ. უკანასკნელი ნომერი „ლიტ. ძიებანი“).

— იავანტურა სტალინზე წიგნებით. — შულერობს. ქედმაღლობს. ჯერ ჩემი ამბავი კარგად არ იცის.

კიდევ და კიდევ და კიდევ აუხირდა: — **Леонидзевщина.** — ლეონიძისში. — გამსახურდი-

აც: ვაჰ! ლეონიძეც: ვაჰ! ვაჰ! ვაჰ! უფრო ადრე „ფოლკლორის-მოკლორუს გოგლა“ და „შალვუს რადიან“ ანუ „Человек в футляре“ წინასწარ დაანწყვილა და „რეცეპტი“ გამოუწერა:

ხრინწუს, ფოლკლორუს გოგლაო, დომხალუს გოგლი-მოგლაო, შალვათა მრავალთ ხრინწებამ შორი გ ზა მოიმოკლაო, იმათი მამა და პაპა სუ იმ ხრინწებამ მოკლაო.

ამავე აღმანახში გავეცანით ქსენია სიხარულიძის ნარკვევს „ხალხური პოეზია საკოლმეურნეო სოფლებში“, სადაც ყვარლის რაიონში ჩანერილებს შორის დასახელებულია ცნობილი სასიმღერო ლექსი „შაშვი-კაკაბი შეიბნენ“.

გავიხსენოთ:

შაშვი-კაკაბი შეიბნენ, შაშვი მგალობელიო. ომი შქვლოთ მეტად ძნელიო, შაშვი მგალობელიო. დილა იყო მშვენიერი, შაშვი მგალობელიო. შაშვმა აჯობა კაკაბსა, შაშვი მგალობელიო.

ამ სიმღერას ლამაზი ლეგენდა ახლავს: ძველად ქართლის სოფლებში შავშეთსა და კაკაბეთში ცხოვრობდა ორი მომღერალი, რომელთა მეგობრობას ყველა შეჰნატროდა. ერთხელ შავშეთელი თავისი ბატონის ნებას დაჰყვა და ალალ-მართალი მეგობარი მოტყუებით დაჯაბნა სიმღერაში. დამარცხებული გადაიკარგა. „გამარჯვებული“ მიხვდა თავის დანაშაულს, დიდხანს ეძება მეგობარი, მაგრამ ვერსად იპოვნა. ამ დღიდან არავის სმენია მისი სიმღერა. თანასოფლელებმა ლექსი გამოუთქვეს და სიმღერაც შეუნყვეს. ლექსი თანდათან გადასხვაფერდა: შავშეთელი შაშვად იქცა, კაკაბეთელი — კაკაბად, საბოლოოდ კი შაშვმა აჯობა კაკაბსა.



ცხადია, ეს ლეგენდა არ გახლავთ, ვინაიდან შაშვი კარ-გად გალობს, განსაკუთრებით — მამალი შაშვი. „ჩვენი კნენი კაკაბი“ კი ქათმისებრთა ოჯახს ეკუთვნის და საერთოდ არ გალობს. მასასადაძე, აქ ორი დაპირისპირებული პიროვნება იგულისხმება, და უპირველესი მეტოქის პირისპირ დარჩენილმა გალაკტიონმა დაპირისპირებული ორი მომღერალი გაიხსენა, გაიხსენა ცნობილი ლექსი, შეუცვალა სათაური: „შაშვი-კაკაბი“ გათიშა და უფრო დააპირისპირა — „შაშვი და კაკაბი“, გამოტოვა თუ გამოჩა მერვე სტროფი, ფრჩხილებში ჩასვა სამივე რეფრენი, გაასწორა-გაააქტიურა რეფრენთა დაბოლოებანი (მგალობელი-მგალობელი) და, რაც მთავარია, არანაირი-ბული და დამკვიდრებული მელოდიის ტექსტი სიტყვებად დაანაწევრა და ისე ჩამოამწკრივა „ლიტერატურული ძიებანი“ სატიტულო ფურცელზე:

შაშვი და კაკაბი

შაშვი-კაკაბი შეიბნენ (შაშვი მგალობელი).

დილა იყო მშვენიერი (შაშვი მგალობელი).

შაშვიმ აჯობა კაკაბსა (შაშვი მგალობელი).

საყურადღებოა შემდეგი გარემოება: ეს ჩამოსაფხურებული ლექსი სატიტულო ფურცელზე ჩამოწერა მაშინ, როდესაც იქვე ალმანახის ორივე ფორზაცის ექვსივე გვერდი სუფთა და თავისუფალი.

აშკარაა, შეურაცხყოფილმა გალაკტიონმა ტექსტის გრაფიკა შეგნებულად დააუწნოვა და ამით პროტესტი გამოუცხადა მეცნიერებათა აკადემიას, ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს და მის დირექტორს.

გადავიკითხოთ ალმანახის ორენოვანი ტიტული:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИМ. РУСТАВЕЛИ

ლიტერატურული ძიებანი
ЛИТЕРАТУРНЫЕ РАЗИСКАНИЯ

VI

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა
თბილისი — 1950

სწორედ ამ ნახევრად გარუსებულ ორენოვან ავტორიტეტულ თავფურცელს გადაუარა გალაკტიონმა ვერტიკალურად, თუმცა ამ აკადემიის წევრად ირიცხებოდა 1944 წლიდან.

ხალხური ლექსის არანაირი გრაფიკა რომ ხელ-ჰყო, რასაკვირველია, მხოლოდ ტექსტი არ აინტერესებდა. ჩამოგრძელებული სიტყვა-სტრიქონების მარჯვნივ მინი-ლიბრეტო დანომრა:

- 1). შაშვი.
- 2). კაკაბი.
- 3). შებმა.
- 4). დილა იყო.
- 5). მშვენიერი დილა იყო.

და ქვემოთ განაჩენივით მიანერა:

კაკაბი არაა მგალობელი.
შაშვი მგალობელია.

მასასადაძე, პირველი არაა მგალობელი, არაა მომღერალი, არაა პოეტი („მოიპოვებეს“), მერვე კი მგალობელია ანუ მომღერალია ანუ პოეტი. მისამღერის სამჯერ გასწორება არ იკმარა და ერთხელ კიდევ მიანერა გვერდით — შაშვი მგალობელიაო, — და ამით ერთბაშად გასცა პასუხი ალმანახის ფურცლებზე დახვავებულ და მოძალეებულ კითხვის ნიშნებს, რეფრენი კი განზრახ ჩასვა ფრჩხილებში, რათა ჩვენი ყურადღება ამ სინტაგმაზე გაემახვილებინა.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოფთვებული გალაკტიონის რეპლიკების უმრავლესობა ერთობ გადაჭარბებულია, საბოლოო გათვლით არაფერი ეშლება და ამდენად სასიამოვნო მოსასმენიც კია ასეთი ჩამონათვალის უარყოფის უარყოფის უარყოფა:

- არაა ასე.
- არაა სწორი.
- ეს არაა მიღწევა.
- რახარუხი არაა პოეზია.
- კაკაბი არაა მგალობელი.

ამ ავტოგრაფს კომენტარი არ ახლავს, მაგრამ ამჯერადაც აგვიხსნა, — „რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რიტმს სიტყვათა დანაწევრებისათვის“ და ამიტომაც

ვახტანგ ჯავახიძე
ისევ გალაკტიონი

შეიტანა არანაირი სიმღერის დამკვიდრებულ ჰარმონიაში საკუთარი აგრესიული განწყობილების შესაბამისი დისჰარმონია.

ეს არანაირი ლექსი საარქივო ოცდახუთ-ტომეულში დაიბეჭდა და იგი უნდა დარჩეს შემდგომ გამოცემებშიც, თუნდაც ამ ერთადერთი სიტყვის გასწორებისა და ტექსტის დეფორმაციის გამო და იმ შემთხვევის გამოც, რომელიც აღნიშნულ ეპიზოდს ახლავს.

ამ დროს არა-მგალობელი ფავორშია: ბელადის ორი პრემია მიღებული აქვს და მესამეს გაიხსენა მიიღებს. მისი ბელადის ეპოპეა თარგმნილია საბჭოთა იმპერიის რესპუბლიკების თითქმის ყველა ენაზე და ითარგმნება აღმოსავლეთ ევროპის ვითომ დემოკრატიული ქვეყნების ენებზე. მანამ, 1936 წლის 19 მარტს, სახალხო არტისტმა თამარ ჭავჭავაძემ საქართველოს დელეგაციის მიღებისას არა-მგალობლის ლექსი კრემლში წაუკითხა ბელადს, ხოლო ორი წლის შემდეგ, 1938 წლის 27 ნოემბერს, საბჭოების საგანგებო ყრილობაზე, ქართველი ხალხის სახელით, არა-მგალობელი ლექსით პირადად მიესალმა ბელადს, რომელიც სიყმანეში ლექსებს წერდა და, როგორც გრიგოლ რობაქიძემ გაიხსენა 1933 წელს გერმანულად, „მონაფეოებისას საეპისკოპოსო გუნდში აბრეშუმით რბილი ალტით გალობდა“. ხოლო, როგორც პირველ საბჭოთა კინოვარსკვლავს ლიუბოვ ორლოვას გაახსენდა 1962 წელს რუსულად, 1935 წლის მარტში, ფარული ინტიმური შეხვედრისას, „გაფრინდი, შავო მერცხალო“ უმღერა ქართულად და ჰკითხა — რაზე ვიმღერე თუ იციო? „ალბათ მეგობრებთან მოლხენაზეო“, — უპასუხა ერთადერთმა მსმენელმა. „არა, გოგონა მერცხალოს ევედრება, ომში წასული ძმის ამბავი მომიტანეო“, — აუხსნა ერთადერთ მსმენელს და 1937 წლის ნოემბერში „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები წაუკითხა — ჯერ ქართულად და მერე რუსულად, ცხადია, წაუკითხა იმავე საიუბილეო წელს გამოცემული წიგნიდან, მის მიერ პატიმრობიდან გამოწვეული შალვა ნუცუბიძის მიერ გადარუსულებული, მის მიერვე რედაქტირებული ტაყები და ალბათ ის ერთადერთი სტროფიც, რომელიც, როგორც ამბობენ, თვითონ თარგმნა, მაგრამ არ გაამხილა — რომელი. „როცა ქართულად მღეროდა და კითხულობდა, სრულიად სხვანაირად გამოიყურებოდა, მხიარულიც იყო და ნაღვლიანიც. ხანდახან ფანჯარაში გაიხედავდა და იტყოდა: „ახლა ჩვენთან გორში ალუბლები ჰყვავიანო“, — დასძენს ერთადერთი.

სხვათაშორის, ალუბლის ფესვისგან დამზადებული ჩიბუხი აჩუქა 1942 წლის 1 იანვარს პირად ტელეპატს ვოლფ მესინგს: თანამემამულეებმა გამომიგზავნეს საქართველოდან, ქართული სურნელი ასდისო, — უთხრა და უღვაძებში ისე ჩაიცივნა, მხოლოდ ჩემმა განაფულმა თვალმა შეამჩნია ეს ფარული ღიმილი: მშობლიური მინა ენატრებოდაო, — გაგვიმხილა ტელეპატმა.

რაღაც შორეულია შენი კარგი სოფელი,
ალუბლების ღიმილი და მზე დაუნდობელი, —

თითქოს წინასწარ შორიდან გამოეხმაურა რატომღაც უცნაურად დაეჭვებული მგალობელი მაინცადამაინც 1937 წელს გამიჯნურებულ და მაინცადამაინც 1942 წელს ჩაცინებულ ბელადს ანუ ლირიკისა და სისასტიკის შეუთავსებლობას. თუმცა ამჯერად მგალობელს სატახტო ქალაქში არავინ ეპატიჟება და ფეხით აპირებს მოსკოვში ჩასვლას. სახალხო პოეტის ნოდება კი მაინც 1933 წელს და ლენინის ორდენიც უბოძეს 1936 წელს, მაგრამ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და აღარავის ახსოვს. ლენინის ორდენი დაკარგა თუ დაეკარგა და ამის გამო სასტიკად გაიციხეს. ორდენის მიღება კი დაივიწყეს, მაგრამ ორდენის დაკარგვა არ დაუვიწყეს. თუმცა წინა წელიწადს სამოცდაათი წლის საიუბილეო „ქებათა ქება“ დაუნერა ბელადს და ათი წლით ადრე სამოცის საიუბილეო ხანგრძლივი ლექსი დაუნერა — „გორი“, რომელიც ალმანახის შენიშვნებშიც მოიშველია და „პოემა“ უწოდა — შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, იქნებ ეპოპეას მიუახლოვრო, — მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი: ორჯერ წარადგინეს ორი ბელადის ორ პრემიაზე და ორჯერვე გაანაზღაურეს.

აკადემიკოსებადაც ერთად აირჩიეს ორივე 1944 წელს, ოლონდ მგალობელმა თხუთმეტივე ხმა მიიღო, არა-მგალობელმა — მხოლოდ 9, მაგრამ ეს არავინ იცის და არავის აინტერესებს.

არა-მგალობელი მძა დაუხვრიტა ბელადმა, მგალობელს — ცოლი, მაგრამ ამაზე ფიქრიც კი აკრძალულია. ძალთა თანაფარდობა აშკარად არათანაბარია არა-მგალობლის სასარგებლოდ, რასაც რადიანის რეიტინგი და ხერხეულიძის თითქმის მონოგრაფიაც წაეხმარა.

ნუგეზად ესლა დარჩენილი: კაკაბი არაა მგალობელი, შაშვი კი მგალობელია და სულხანიშვილის გუნდშიც კი მღეროდა და გალობდა ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად, ვიდრე გალობა ჯერ კიდევ არ აეკრძალა ბელადს.

სემინარიელს მოუსმინა კომპოზიტორმა და მგალობელსაც ალტი აღმოაჩნდა ბელადივით:

„— დაიწყეთ ხელახლა! — მუშაობს სულხანიშვილი, — აბა აჰყევით.

ნიკო იღებს გამმას. სრულიად უბრალო გამმას, დო,

რე, მი... მე მივყვები... — ჯერ სრულიად უბრალოდ. შემდეგ გადადის ვარიაციებზე და ჩემი ხმა უმალღესი ნოტიდან გადმოდის დაბალზე, დაბლიდან მაღალზე და ასე შემდეგ, დიდხანს. კომპოზიტორი გულდასმით ამონებს ყოველივეს. უკანასკნელი აკორდი მისწყდა. გამოცდა დამთავრდა.

— რა სუფთა ალტია, გასაოცრად ხავერდოვანი და წკრიალა ალტი! უნაზესი ლირიკაა! რამდენი წლისა ხართ?

— თხუთმეტის, ბატონო ნიკო.

— როდესაც ოც წელს გასცილდებით, თქვენი ალტიც ბარიტონად იქცევა. ჩვეულებრივად ასე ხდება. დარჩით ჩემს გუნდში, ვიმღეროთ ერთად — ხალისიანად სთქვა მან და მხარზე ხელი დამკრა“.

ცხადია, „შაშვი-კაკაბის“ ლექსი სულხანიშვილის რეპერტუარიდან გაიხსენა და შაშვის უპირატესობაც მოეწონა.

ყველაზე სანდო ვაჟა-ექსპერტმა მგალობლის ქება ასე დაიწყო 1899 წელს:

შაშვი, მასვე ჰმღერ, რასაცა
ჰმღერდი ასის წლის წინადა!
არც ვისა სწყევლი, არც სტირი,
არც ვის რასა სთხოვ წილადა;
მწუხრი დგება თუ თენდება,
ჰზიხარ, ჰლიდინებ ტკბილადა...

და მურმან ლებანიძემ ასე დაასრულა 1975 წელს:

...ბულბულს მირჩენია შაშვი!
ბულბულს მირჩენია შაშვი!
გინდა ეკლის შტოზე დასვი.
გალობს, ჩქარობს, ხარობს ბავშვი,
ისეთს ჩამოაგვირისტებს,
ას წელს არ მოვივა თავში!

ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც ყოველთვის „იყო შაშვი მგალობელი“ და გალაკტიონთანაც „შაშვი მგალობელია“!

აქიეთ ქალი!

ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებში ენვერ ნიჟარაძემ ბერლინში აღმოაჩინა 1935 წელს გერმანელი ფოტოგრაფი ქალის გიზელე ფროინდის მიერ პარიზის კონგრესზე გადაღებული ფოტო — ოთხი პროფილი: ბორის პასტერნაკი, გალაკტიონ ტაბიძე, ისააკ ბაბელ და ანრი ბარბიუსი. წინა რიგში ერთი საკმის დაშორებით მაგიდასთან სხედან: იქით ბარბიუსი და ბაბელი, აქეთ — ტაბიძე და პასტერნაკი.

ბოლოს და ბოლოს ვეღვრისეთ: ოთხმოცი წლის შემდეგ „ჩავავლეთ“ და „გამოვიჭირეთ“ გალაკტიონი და პასტერნაკი ერთმანეთის გვერდით: ორივე იდაყვით მაგიდაზე დაყრდნობილი ბორის პასტერნაკი წინ გაიყურება, ვილაცას უცინის თუ ესაუბრება. ღრმად ჩაფიქრებულ გალაკტიონს მარცხენა ხელი ნიკაპზე მიუბჯენია, მარჯვენაში თავისი ერთგული „კარანდაში“ მოუმარჯვევია, მაგიდაზე გადაშლილ სპირალიან რეგულს ჩასცქერის და წერს. ბაბელი წინ გაიციქრება, ბარბიუსი კითხულობს. ოთხივე დარბაზში ერთმანეთის გვერდით შემთხვევით მოხვედრილი უცნობეზივით გამოიყურებიან. გალაკტიონი სხვაგანაა, აქაც მარტოა, ორ იუდეველს შორისაც მარტოა, „მეტეალიტეს“ სასახლის სამიათასიან გადაჭედულ დარბაზშიც მარტოა, და თავისთავად მოითხოვს ციტირებას გასაოცარი სამი ტაყები იმ რეგულიდან, რომელიც წინ უდევს:

ბაბელი, ბაბელი, ბაბელი.
კვერნაკი პასტერნაკი.
დეე, დავრჩე მარტო, სრულიად მარტო.

პარიზის კონგრესი ხუთ დღეს გაგრძელდა. გალაკტიონი მესამე დღეს უნდა გამოსულიყო, მაგრამ რატომღაც მეხუთე დღისათვის განანესეს და იმ დღეს დაგვიანებით ჩამოსულ ბორის პასტერნაკსა და ისააკ ბაბელს შორის აღმოჩნდა. ასე რომ, სამი მწერლის კონფიგურაცია კონგრესის ორგანიზატორების არჩევანია და არა დელეგატებისა. ამასაც იქვე მიუთითებს გალაკტიონი — იმ სამ ტაყებს შორის:

მარლოს და ერენბურგის
(შესაძლებელია, ჯგუფის) მოწყობილია.

დიახაც ეს ორი თავკაცი წარმართავდა ინტერნაციონალურ თავყრილობას და მოწყობა ამ შემთხვევაში შეთქმულებას ნიშნავს: როგორც ჩანს, გამოსვლის დღე საგანგებოდ შეუცვალეს, ვინაიდან ერენბურგს კარგად მოესვენებოდა პასტერნაკის განსაკუთრებული სიმპათია ქართველებისადმი, მაგრამ ამჟამად: გალაკტიონმა ვერა და ვერ ისწავლა პასტერნაკის რუსული და ვერც პასტერნაკმა ისწავლა გალაკტიონის ქართული.

და აქვე მერვე მოულოდნელობა: გაცივებული პასტერნაკი, რომელიც ამ დროს მძიმე სულიერ დეპრესიას განიცდიდა და მკურნალობდა.

1990 წელს ანდრეი ვონესენსკიმ ბორის პასტერნაკის ასი წლის იუბილეზე მიიწვია პოეტის და ჟოზეფინა პასტერნაკი, რომელიც ოქსფორდში ცხოვრობდა. ოთხმოცდაათი წლის ჟოზეფინამ ვერ შეძლო მოსკოვში ჩამოსვლა და ვონესენსკის საკმაოდ ვრცელი წერილი გაუგზავნა, სადაც გაიხსენა 1935 წლის 24 ივნისი: ამ დღეს პარიზისაკენ გამგზავრებულმა ბორის პასტერნაკმა ერთი დღით ბერლინში შეისვენა — საკუთარ დასთან და სიძ-

ესთან: ძალიან დრამატული შეხვედრა იყო, — წერს ჟოზეფინა პასტერნაკი. — ბორისი ტიროდა და ძლივს ლაპარაკობდა: სანატორიუმში მკურნალობდა გადაღლისა და უძილობის გამო და უცებ კრემლიდან ბრძანება მოუვიდა. ვერავითარმა მიზეზმა ვერ უშველა. ჩამოიყვანეს მოსკოვში, უყიდეს კოსტიუმი, შლაპა და ფეხსაცმელები. ამას რომ ყვებოდა, ქვითინებდა — ნეტავ ერთი დამაძინაო. როგორც იყო, ოთხი საათით დავაძინეთ. მერე საელჩოს მივაკითხეთ და ასეთი მდგომარეობა ავუსხენით. მაგრამ გაგვფართხილეს და აგვარქარეს: კონგრესი ხვალ იხურებაო. ბორისი კვლავ ტიროდა და ისე ლაპარაკობდა, ტიროდა და თან ლაპარაკობდა. ვაგზალში რომ გავაცილეთ, ისევ იმეორებდა — ნეტავ ერთი დამაძინაო.

მეორე დღეს კი დალონებულნი გალაკტიონის გვერდით გაცილებულ პასტერნაკს ნევრასთენის ნატამალიც კი არ ეტყობა: ერთხელ ცვეტაევამ პასტერნაკი ერთდროულად არაბსაც შეადარა და ცხენსაც შეადარა, აქ კი ყველა კბილი უჩანს და კიდევ უფრო ჰგავს არაბულ ბედაურს, რომელიც ჭიხვინებს (დაასათაურა ერთხელ გალაკტიონმა — „ცხენის ჭიხვინი“).

როგორც ხედავთ და როგორც გახსოვთ, ორი ერთმანეთის გვერდითაც კი გაუცხოვებული პოეტის „ერთ-ერთობის“ ეპიზოდები მრავალგზის გავიხსენეთ. ეს თითქმის და თითქოს და ლამის და კინაღამ „შეხვედრების“ აქტიური და პერმანენტული მოლოდინი 26 წელიწადს გაგრძელდა და მიუხედავად ორმხრივი მონადინებისა და მზაობისა და მიუხედავად სახელმეკრულეზო ვალდებულებისა, — უშედეგოდ დასრულდა: პასტერნაკმა ვერა და ვერ გამოასწორა მის მიერვე აღიარებული ხარვეზი და პასტერნაკის ანთოლოგიაში საქართველოს სახალხო პოეტი ვერ მოხვდა. და თავისთავად დაიბადა მოსალოდნელი შეკითხვა: რა აღმატებულმა ძალამ ანუ რომელმა ძალამ მოსილმა პიროვნებამ განაპირობა ამგვარი კაზუსი.

ეს მკაცრი შეკითხვა ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ეკიდა ჰაერში და, როგორც გალაკტიონი ბრძანებს, მკვლელობასავით ითხოვდა პასუხს, მაგრამ ვარაუდებმა რეალობის საზღვარი ვერ გადალახეს და, როგორც გამოირკვა, არც მე აღმომაჩნდა დეტექტივის სათანადო ალლო.

კითხვის ნიშანი კი თანდათან იზრდებოდა და, აი, გალაკტიონის თვითმკვლელობის ორი თვის თავზე, მოულოდნელად ციხე შიგნიდან გატყდა: პირადად პირველი პირი გამოგვეხმაურა.

1959 წლის 18-23 მაისს მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა. ყრილობას საყვრელთაოდ ცნობილი მიზეზის გამო გალაკტიონ ტაბიძე ვერ დაესწრო (ვერ მოესწრო!), თუმცა, მიუხედავად პირადი დაინტერესებისა, დელეგატების სიაში მაინც არ ირიცხებოდა.

ყრილობის დღეებში ბორის პასტერნაკმა პერედელკინოში საკუთარ აგარაკზე მიიწვია სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე. ლეონიძეს თან ახლდნენ მეუღლე და ქალიშვილი, ჩიქოვანს კი — მეუღლე, ვაჟიშვილი და მეუღლის დისშვილი — ზურაბ სირაძე, რომლის მოგონებაც „В месте с Симоном“ 2014 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „რუსკი კლუბის“ მეთერთმეტე ნომერში და რომელიც მოგვითხრობს ამ შეხვედრის შესახებ.

ქართველ სტუმრებთან გასაუბრებისას, პასტერნაკმა გაიხსენა ორი თვის წინათ ტრაგიკულად დაღუპული გალაკტიონი და იწინა და აღიარა:

— Жаль, что у нас не сложились близкие отношения, может быть и потому, что наша общая приятельница не постаралась их наладить.

ეს „общая приятельница“ გახლდათ პასტერნაკის ოჯახის უპირველესი მესაიდუმლე და მრჩეველი — ნინო მაცაშვილი-ტაბიძისა, ტიცინან ტაბიძის მეუღლე და გალაკტიონის რძალი, რომლის ხელეშეცხად დალია სული ბორის პასტერნაკმა ერთი წლის შემდეგ.

ამჯერად ერთხელ კიდევ დადასტურდა ფრანგული სიბრძნე:

— ეძიეთ ქალი!

აქ აუცილებელია ამ ქალბატონის ერთი მოგონების სამი აზრით გავიხსენოთ:

„ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა პასტერნაკი თბილისში ჩამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეზე. აეროდრომზე დახვდნენ და სასტუმროსაკენ წამოიყვანეს. მაგრამ მან განაცხადა, მანქანიდან მანამ არ ჩამოვალ, ვიდრე ნინო ტაბიძესთან არ მიმიყვანო.“

ბორისი სიმონთან ერთად მოვიდა და მითხრა, იუბილეზე არ წავალ, შენ თუ არ გამოიყვები. მე მაინც ვიუარე. სიმონი წავიდა, ბორია კი დარჩა. სიმონმა მანქანა და ბარათი გამოგზავნა, ბორისს ელიან და შენც უსათუოდ წამოდიო. სხვა გზა არ მქონდა, დავმორჩილდი.

ბორისმა დარბაზში არაჩვეულებრივი მზრუნველობით შემოიყვანა და გვერდით დამისვა. როცა სთხოვეს ლექსები წაეკითხა, მომიბრუნდა და მკითხა, რა გსურს რომ წავიკითხოო.“

მადლობა პასტერნაკს რაინდული ერთგულებისათვის და განსაკუთრებული მადლობა იმ გულახდილობისა და გაბედულებისათვის — გალაკტიონის გახსენებისას რომ გამოიჩინა.

საერთოდ, პასტერნაკის პირადი პასუხისმგებლობის შეგრძნება შესაშურია და სამაგალითო.

1941 წლის 31 აგვისტოს ევაკუაციაში — ელაბუგაში — მარინა ცვეტაევამ თავი ჩამოიხრჩო.

1942 წლის 16 თებერვალს ევაკუაციაშივე — ჩისტო-პოლში — ბორის პასტერნაკს კითხეს:

— ვინაა დამნაშავე იმამ, რომ სამშობლოში დაბრუნებ-

ული მარინა ცვეტაევა ასე გარიყული და უმწეო აღმოჩნდა, რამაც იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა?

პასტერნაკმა, არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა: — მე! — და დაამატა. — მე და სხვები. მე, ასევეიც, ფედინიც, ფადევიც... ჩვენ არაფერი ვილონეთ და თავი იმით დავიმშვიდეთ, რომ უძღურები ვიყავით. ო, რა კარგი გამოსავალია ხანდახან: თავი უძღურად იგრძნო?! სახელმწიფო და ჩვენ! სახელმწიფოს ყველაფერი შეუძლია, ჩვენ — არაფერი! მეგრამდენედ შევთანხმდით, რომ უძღურები ვართ და გავეშურეთ სავაზმოდ. მადაც კი არ დავიკარგა ამ შემთხვევამ. ეს ჩვენი საერთო დანაშაულია, სულიერი სიყრუის შედეგი, უსინდისობის, დანაშაულებრივი ეგოიზმის შედეგი.

ხოლო ამავე 1942 წლის 20 მარტს ამავე ნინო ტაბიძეს მოსწერა და დააზუსტა:

— ერთადერთი დამნაშავე ამ მწარე გამეტებისა მე თვითონ ვარ.

ნაკითხავ ამ აღსარებებს და დაფიქრდები: მოიძებნებოდა კი 1959 წლის მარტში საქართველოში მწერალი, რომელსაც ეყოფოდა გამბედაობა და იტყოდა: გალაკტიონის თვითმკვლელობა ჩემი ბრალია, ანდა — ჩემი ბრალიცააო? აღიარებისა რა მოგახსენოთ და, თავის მართლება კი მოვისმინეთ, რაც თავისთავად არაპირდაპირ აღიარებას ნიშნავს.



პრიმიტივი და პრიმიტიული

1915 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრში“ გალაკტიონმა გამოაქვეყნა ლექსი „ყოველ თერთ ღამეს“, რომელიც რატომღაც „არტისტულ ყვავილებში“ შეიტანა, თუმცა აქტიურად გაასწორა და სამართლიანად გადაასათაურა — „პრიმიტივი“ დაარქვა. ეს ლექსი ავტორმა 1937 წელს რვატომეულის პირველ ტომში 1914 წლით დაათარიღა და ამავე თარიღით წარმომიდგინა 1958 წელს თავისი რჩეულისათვის. თორმეტტომეულის შემდგენლებმა კი ლექსი 1915 წლით გადაათარიღეს პირველი პუბლიკაციის გათვალისწინებით, თითქოს არ შეიძლებოდა, წინა წელს დაწერილი მომდევნო წელს გამოქვეყნებულიყო. 1915 წელმა ნითელი ხაზი გაავლო გალაკტიონის პოეზიაში, ამიტომ ამ დაზუსტებას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. „პრიმიტივი“ 1915 წლამდე დაწერილი ერთადერთი ლექსია, რომელიც „არტისტულ ყვავილებში“ აღმოჩნდა. ავტორმა იგი შეგნებულად გადაასათაურა, თითქოს მოგვიბოდიშა, თითქოს შეაფასა და გამიჯნა კიდევ თავისი პირველი პერიოდი.

გალაკტიონის ყოფილმა პირადმა მდივანმა გოგი ჩიქოვანამ გაიხსენა გალაკტიონის აღიარება:

— ლექსი, რომელსაც ერთი ნაკითხვით გაიგებ, არ ვარგა, უნდა რჩებოდეს მასში ჩასაფიქრებელი და ამოსაცნობი აზრი... თუ დამიჯერებთ, „მესაფლავე“ ახალგაზრდობაში დავწერე, თორემ ახლა არაფრად მიმაჩნია... ფორმა პრიმიტიულია და ამოსაცნობიც არაფერი რჩება. თამაზ ჩხენკელმა გალაკტიონის პოეზია ოთხ პერიოდად დაჰყო, პირველს (1908-1915) „ინერციის პერიოდი“ უწოდა და ასე შეაფასა:

— 1908 წლიდან „მე და ღამემდე“ გამოქვეყნებულ ლექსებს პირობითად თუ შეიძლება პოეზია ეწოდოს.

ეს მკაცრი განაჩენი საგსებით გაამართლა „არტისტული ყვავილებისა“ და „ზარნიშანი ნიგნის“ ფონმა და, როგორც ვხედავთ, გალაკტიონიც ეთანხმება.

„რომელი საათია?“

1869 წელს ბოდლერმა დაწერა თავისუფალი ლექსი „თრობა“:

თრობას მიეძალე... და თუ ოდესმე კვლავ გამოფიხილდები... მაშინ ქარს, ტალღას, ვარსკვლავს, ჩიტს, საათს, ყოველივეს, რაც დარბის, ან დაჰქრის, კენესის ან მიედინება, ყოველივეს, რაც მღერის ან საუბრობს, ჰკითხე: რომელი საათია? და მაშინ ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი გიპასუხებენ: თრობის საათია!

1927 წელს გალაკტიონმა „ზარნიშანი ნიგნში“ შეიტანა ლექსი „რომელი საათია?“, რომელიც ასე დაასრულა:

იყო შარლ ბოდლერი, „მწარე და ძვირფასი თრობის საათია, ღვინის საათია!“ — ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე — რომელი საათია?

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი რუსი პოეტი კონსტანტინე ბატიუშკოვი (1787-1855) 35 წლისა შეიშალა და 68 წლისა გარდაიცვალა. მან ამოიჩემა და ხშირად კითხულობდა: „რომელი საათია? — რომელი საათია? — რომელი საათია?“ — და თვითონ პასუხობდა: „მარადისობა!“.

მეოცე საუკუნის აღიარებულმა რუსმა პოეტმა ოსიპ მანდელშტამმა (1891-1938) 1912 წელს გაიხსენა კოლეგა:

Нет, не луна, а светлый циферблат
Сияет мне, и чем я виноват,
Что слабых звезд я осязаю млечность?

И Батюшкова мне противна спесь:
„Который час?“ его спросили здесь,
А он ответил любопытным: „вечность“.

1924 წელს გალაკტიონმა დაწერა პოემა „ჯონ რიდი“ და ეს ოთხი სტრიქონი:

ეკითხნა ვისმეს
მაშინ საათი,
ვუპასუხებდი:
მარადისობა!

ხოლო, როდესაც სახლში საათი არ ჰქონდა, მწერალთა სასახლეში რეკავდა და სასახლის დიასახლის რიფსოს ეკითხებოდა: — რომელი საათია?

ორი გალაკტიონი

გურამ ასათიანი:

— ახალგაზრდები სიამოვნებით უჩერდებოდნენ მას, ცნობისმოყვარეობით ათვალთვრებდნენ, თავაზიანად ილიმებოდნენ მის თავაზიან შენიშვნებზე. მათ, რასაკვირველია, არ სჯეროდათ, რომ ეს კაცი იყო „მთანმინდის მთვარის“ ავტორი, მეფე-პოეტი, მათი ფიქრებისა და ოცნების მესაიდუმლე. ახალგაზრდა სტუდენტი ქალი, რომელიც თეთრად ათენებდა ღამეს „მერისა“ და „სილაყვარდის“ კითხვაში, დღისით გულგრილად ჩაივლიდა მისი ფანჯრების წინ, თითქოს იქ ცხოვრებ მოხუც ჯადოქარს აღარაფერი ჰქონდა საერთო იდუმალეების სამეფოდან მის მიერვე გამოხმობილ გრძნულ სულებთან.

ვახტანგ ბერიძე:

— მისდამი ჩემი დამოკიდებულება (შეიძლება არა მარტო ჩემი) ცოტა არ იყოს უცნაური იყო. ჩემთვის ცოცხალი („მატიერიალური“) გალაკტიონი და მისი შემოქმედება სრულიად განცალკევებით არსებობდნენ. როცა მას ვხვდებოდი, ჩემში არ იბადებოდა ფიქრი (განცდა), რომ ეს არის კაცი, რომელმაც დაწერა ის საკვირველი ლექსები, დაწერა „დედაო ღვთისავ, მზუო მარიამ“ — და კიდევ უფრო საკვირველი და განუმეორებელი სტრიქონები.

მიხეილ ვაძლობს კი:

— უნდა გამოვტყუე, რომ გალაკტიონი გარეგნობით ისეთი არ აღმოჩნდა, როგორც მეგონა. მასში არაფერი იყო პოეტური. ის უფრო რომელიმე, ძველი, რევოლუციამდეული თეატრის არტისტს მაგონებდა. მაშინ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშვებული წვერი და მრგვალი ჩაღის ქუდი ეხურა. საბჭოთა პერიოდში ასეთ ქუდს უკვე აღარავინ ატარებდა. პოეტის გარეგნობა ჩემს წარმოდგენაში როგორღაც არ ეთანხმებოდა მისი ლექსების ღრმა, საკვირველ ლირიკას.

ანა კალანდაძე:

— ლენა ნიკოლაევსკაიამ გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ დეკადაზე მოსკოვში ლიტ. საღამოს შემდეგ В дубовом зале в доме литераторов მოეწყო ბანკეტი... სადღაც მაგიდის კუთხეში იჯდა წვერებიანი გალაკტიონი, რომელსაც არავინ არ აქცევდა ყურადღებას... თუ რამეს მოითხოვდა (მარისს, პურს), ძალიან ღიზიანდებოდნენ, როგორც ჭირვეულ ბავშვზე და თან... აქეთ მის შემოქმედებაზე კი ლაპარაკობდნენ — ეს ძალიან შეიმჩნეოდა.

გურამ ასათიანი:

— საოცარი ბედი ხვდა წილად ამ კაცს, მას ვერ სცნობდნენ თვით უახლოესი ადამიანებიც, რადგან იგი მიუწვდომელი იყო მათი ჩვეულებრივი მხედველობისათვის. მხოლოდ სიკვდილმა დაუბრუნა მას თავისი სახე. და ვიდრე მინას მიაბარებდნენ, ადამიანებმა კვლავ იხილეს და იცნეს იგი.

მთარგმნელი

გვანცა ჯობავა

ეს გვანცა ჯობავას მეორე ინტერვიუა „ლიტერატურულ გაზეთში“. რამდენიმე წლის წინათ მან, როგორც ახალგაზრდა მთარგმნელმა, ნობელიანტ სოლ ბელოუს „მისტერ სამლერის პლანეტაზე“, ჯონ ლენონის „როგორც მენერებაზე“, ანიეტ ქემფელის „მოვუსმინოთ შვილებზე“, ასევე, თავის მოგზაურობებსა და ლექსებზე ისაუბრა. შემდეგ მის თარგმანებს ანა პოლიტკოვსკაიას „პუტინის რუსეთი“ და ჯონ სტაინბეკის „თაგვებსა და ადამიანებზე“ შეემატა. პოეტურ კრებულ „კარდიოგრამას“ კი რომანი „Check-In“ მოჰყვა.

სტაინბეკის „თაგვებსა და ადამიანებზე“, როგორც წლის საუკეთესო თარგმანი, წლევანდელი „საბაზ“ ფინალისტებს შორისაა. „საბაზ“ ფინალისტობა ერთგვარი ენერგეტიკი, შემოქმედებითი მუხტია ხოლმე კონკურსანტებისთვის. ალბათ, გამომცემლობების — „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ — საერთაშორისო ურთიერთობებისა და სოციალური მედიის მეშვეობით და წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე, გადატვირთული სამუშაოს მიუხედავად, მომავალში მეტი ორიგინალური ტექსტითა და თარგმანით გაამდიდრებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას.

— როგორც ყოველთვის, წლევანდელ „საბაზზე“ თარგმანის ნომინაციაში კონკურენცია, სხვა ნომინაციებთან შედარებით, მაღალია. ფინალისტებში სხვადასხვა თაობის მთარგმნელები მოხვდნენ. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა ხარ. მაინტერესებს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს კონკურსი, ეს წარმატება შენთვის?

— სიმართლე გითხრათ, ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო ფინალში გასვლა. ზოგადად, როგორც ავტორი და მთარგმნელი, არ ვარ კონკურსების მოყვარული და შემოქმედებით გზაზე ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ ხოლმე, არც ვაქტიურობ ამ მხრივ, თუმცა, როგორც გამომცემლობის წარმომადგენელს, მიმაჩნია, რომ კონკურსები ჩვენი სფეროს განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელიც კია, მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა კი მხოლოდ აცოცხლებს ლიტერატურულ პროცესს. ამიტომ, რა თქმა უნდა, „ინტელექტთან“ და „არტანუჯთან“ ერთად ყოველთვის თვალს ვადევნებ ლიტერატურული პრემიების მიმდინარეობას, განსაკუთრებით ვგულშემამტკივრობ ჩვენს ავტორებს და მიმაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ სამომავლოდ ბევრი სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული პრემია გაჩნდება ჩვენს რეალობაში, რადგან კონკურენცია ნებისმიერ სფეროში საუკეთესო სტიმულია, მუდმივად ვიზრუნოთ განვითარებაზე. პირადად ჩემთვის კი, როგორც აღვნიშნე, პრემიის მიღება არ არის მთავარი პრიორიტეტი. როდესაც ვმუშაობ, ჯილდოზე არასდროს ვფიქრობ; მით უფრო, არც ჯილდოსთვის ვმუშაობ, უბრალოდ შემოქმედებითი საქმიანობა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამიტომ, „საბაზ“ მოკლე ნუსხის გამოცხადების დღეს ერთ-ერთმა ყურნალისტმა რომ დამირეკა და ინტერვიუ მთხოვა, როგორც „საბაზ“ ფინალისტს, ძალიან გამიკვირდა. აღარც კი მახსოვდა, რომ გამომცემლობამ ჩემი თარგმანი კონკურსზე წარადგინა, მე კი თურმე ფინალშიც გავსულვარ.

თარგმანის ნომინაცია „საბაზე“ ყოველთვის გამოირჩევა, როგორც კონკურსანტების, ისე ფინალისტთა სიმრავლით. პრინციპში, ეს ძალიან კარგია და იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მთარგმნელობითი სკოლა, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს, დღესაც ძლიერია და სულ უფრო ვითარდება. ძალიან კარგი

თანამედროვე მთარგმნელები გვყავს და ყოველწლიურად უცხოური ლიტერატურა სულ უფრო მაღალი ხარისხით გამოიცემა ქართულ ენაზე. არიან გამომცემლები, რომლებიც თარგმანის ხარისხს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამ მხრივაც კონკურენცია დღითიდღე იზრდება. ასევე დღითიდღე იზრდება მკითხველიც, რომელიც წიგნებს უკვე



მთარგმნელების გვარებითაც არჩევს და კარგად თარგმნილი წიგნის წაკითხვა მათთვის პრიორიტეტულია. შესაბამისად, ნელსაც, „საბაზ“, „ლონგ ლისტი“ წარმომადგენლობითი და ვრცელი იყო. ალბათ ფორტუნამ უნდა გაგიღიძმოს, რომ ამ რაოდენობის წიგნებში შენი თარგმანი გამომარჩიონ. თანაც, როგორც ვიცი, ამჯერად ჟიური განსაკუთრებულად მკაცრი იყო ფინალისტების შერჩევისას და წინა წლებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები ნომინანტი წელსაა. ამიტომაც ჩემთვის ერთიორად სასიხარულოა თარგმანის ნომინაციაში ძალიან ღირსეულ კონკურენტებთან ერთად მოხვედრა.

— როგორ აფასებ საკუთარ შანსებს და თუ იცნობ კონკურენტების ნამუშევრებს?

— რაც შეეხება კონკურენტებს, მათი თარგმანებიდან, ყველა არა, მაგრამ დიდი ნაწილი წაკითხული მაქვს. თითოეულის მიმართ ჩემი აზრი და დამოკიდებულება გამაჩნია, რჩეულებიც მყავს, ვისაც მგონია, რომ მეტი შანსი აქვს, გაიმარჯვოს. ცხადია, ჩამოთვლას არ დავინწყებ. მრჩება მთაბეჭდილება, რომ თარგმანის ხარისხ-

თან ერთად, ჟიურიმ ერთ-ერთ კრიტერიუმად თარგმნილი ნაწარმოებებისა და მათი ავტორების მნიშვნელობა აირჩია და მთარგმნელებთან ერთად სწორედ ის წიგნები გამოარჩია, რომელთა გამოცემაც ქართულ ენაზე განსაკუთრებულად დროული და საშური.

ფინალისტთა სია მრავალფეროვანია, ერთმანეთზე უკეთესი მთარგმნელები არიან წარმოდგენილნი და თუ ვინ გაიმარჯვებს, ვფიქრობ, ეს უკვე ჟიურის გემოვნებაზე დამოკიდებული. ამიტომაც ყველას გულწრფელად ვუსურვებ წარმატებას. ვფიქრობ, იმდენად ძლიერი ფინალისტები არიან ამ ნომინაციაში, ნებისმიერი მათგანი ღირსეული ლაურეატი იქნება. ჩემთვის მათ გვერდით დასახელება კი უკვე დიდი გამაჯვებაა და მიხარია, რომ ჯონ სტაინბეკის გენიალური ნაწარმოების — „თაგვებსა და ადამიანებზე“ — შემოსვლა ქართულ ლიტერატურულ სამყაროში შეუმჩნეველი არ დარჩენილა — წიგნისა, რომელიც ჩვენს მთარგმნელებს, ვფიქრობ, რომ ამ დრომდე უბრალოდ გამორჩათ და რომელსაც ჩვენი მკითხველი დიდხანს ელოდა. თანაც, ბოლო ხანებში, გამომცემლობაშიც და ასოციაციაშიც

ჯილდოზე არასდროს ვფიქრობ




იმდენად ბევრი საქმეა, იმდენ დროსა და ენერგიას საჭიროებს, რომ ძველებურად ველარ ვიცლი შემოქმედებისთვის, თარგმანისთვის. „საბაზ“ ფინალისტობა კი, ნამდვილად არის სტიმული მომავალი ლიტერატურული საქმიანობისთვის. გადავწყვიტე, სანამ დროა, უნდა შევძლო და დრო უფრო უკეთ გადავანაწილო. ცხოვრების რუტინას არასდროს ვეყოფით, ჩვენ უნდა ვეყოთ ყველაფერს.

— რამდენიმე წლის წინათ, როცა პირველი ინტერვიუსთვის შევხვდით, ახალი გამოცემული იყო სოლ ბელოუს „მისტერ სამლერის პლანეტა“. ბელოუს არ არის მარტივი ავტორი და მასსოვს, საინტერესოდ ყვებოდი თარგმანის პროცესზე, გარკვეულ სირთულეებზე. ბელოუს შემდეგ გამომავალთა ლენონის „როგორც მენერება“. მართალია, ეს სულ სხვა ხასიათის ლიტერატურაა, მაგრამ ავტორის განსაკუთრებული ენის, თხრობის სრულყოფილი არაორდინარული მანერის გამო, არც იმ ტექსტზე მუშაობა იქნებოდა ადვილი. საინტერესოა, რა გამოცდილება შეგძინა სტაინბეკმა და როგორ ითარგმნებოდა მისი წიგნი.

— არიან მთარგმნელები, რომლებიც ირჩევენ ერთ ან ორ ავტორს, შეისწავლიან მის ტექსტებს, მისი შემოქმედების კულტურულ კონტექსტებს და, ძირითადად, იმ ავტორების სრულ შემოქმედებაზე მუშაობენ, ან ირჩევენ რომელიმე ეპოქას და მხოლოდ იმ პერიოდის ლიტერატურას თარგმნიან. ეს მთარგმნელის ერთგვარი სტილია და ვფიქრობ, რომ შესანიშნავია, როდესაც რომელიმე დიდ მწერალთან მხოლოდ შენი სახელი ასოცირდება — მთარგმნელის მხრიდან ავტორის ასეთი ერთგულებაც ძალიან დასაფასებელია. მაგრამ მე სხვა ტიპის მთარგმნელი ვარ, მიყვარს მრავალფეროვნება, თუნდაც ჟანრების, სტილის, ეპოქების თვალსაზრისით. მუდმივად ახლის ძიებაში ვარ, ერთ განზომილებაში დიდხანს გაჩერება არ შემიძლია — ეს ძალიან საინტერესო და მიმზიდველი პროცესია. ჩემი თარგმანების ჩამონათვალს თვალს რომ გადაავლებთ, ამას ადვილად შეამჩნევთ. სხვათა შორის, ვფიქრობდი, იქნებ სტაინბეკზე მუშაობა გაავარძლო-მეთქი, მაგრამ ვერ შევძელი, ვგრძობდი, რომ რაღაც ახალი მინდოდა. რაც შეეხება თვითონ ტექსტს, თარგმანის სირთულეთა სოლ ბელოუს რომანს ვერც შევადრი, ლენონის წიგნი საერთოდ სხვა სპეციფიკით გამოირჩევა. „თაგვებსა და ადამიანებზე“ — ეს არის შედარებით მარტივი ენით დაწერილი თითქმის პოეტური ნაწარმოები. ჩემთვის პოეტურ წიგნზე მუშაობა ძალიან კომფორტული იყო, მაგრამ იმავდროულად, ეს ის შემთხვევაა, როცა გჭირდება დიდი შრომა და ძალისხმევა, რომ ორიგინალი ტექსტის სიმარტივე თარგმანშიც შეინარჩუნო. ეს ამოცანა ხშირად დიდ გამოწვევად იქცევა ხოლმე მთარგმნელისთვის. მეც ამ, ერთი შეხედვით, იოლ ტექსტზე მუშაობისას, ბევრ სირთულეს გადავანწყდი, თუმცა დიდი სიამოვნებით ვთარგმნე. სტაინბეკისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს — მიმაჩნია, რომ ჩვენი შეხვედრა შემთხვევითობა არ ყოფილა.

— საიდან მოდის ეს დამოკიდებულება? მთარგმნელისთვის, ზოგადად, ყველა წიგნი, რომელზეც მუშაობს, განსაკუთრებულია ხოლმე, რადგან მისი გამოცდილების, მისი ცხოვრების ნაწილი ხდება. თუ „თაგვებსა და ადამიანებზე“ სხვა შემთხვევა?

— ეს წიგნი პირადად ჩემთვის სხვა თარგმნილ ყველა წიგნზე ოდნავ უფრო მნიშვნელოვანია. და ვფიქრობ, რომ ამისთვის ბევრი რამ ღირდა. ჯერ ერთი, მიმაჩნია, რომ საოცრად გამიმართლა, რომ „თაგვებსა და ადამიანებზე“ ამ დრომდე უთარგმნელი დარჩა. ეს არის ძალიან საინტერესო, გენიალური ნაწარმოები, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს და დღემდე ინარჩუნებს მთელ მსოფლიოში თავის მნიშვნელობასა და პოპულარობას, ეს არის წიგნი, რომელსაც არ ივინყებენ. როდესაც პირველად წავიკითხე, უზომოდ იმოქმედა, საოცარი ემოცია დამიტოვა. ამ წიგნის არც ერთი პერსონაჟი არ დაგავინყდებათ, თითოეული მათგანი თავისებურად გამოჩნეული და ტრაგიკულია. მთავარი კი მაინც სტაინბეკთან ჩემი ბავშვობისდროინდელი დამოკიდებულებაა. მწერალი მამამ გამაცნო, როდესაც მისი საყვარელი წიგნი — „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ — წამაკითხა. მახსოვს,



მიტხრა, არის ასეთი ამერიკელი ავტორი, აი, მისი წიგნიც და გაეცანით. მაშინ ძალიან მომეწონა, თუმცა ისეთ ასაკში ვიყავი, რამდენად ყველაფერი კარგად გავიგე, არ ვიცი, მაგრამ მამასთან დაკავშირებულ, ძვირფას მოგონებად დამრჩა. წლების შემდეგ კი, როცა სოლ ბელოუს რომანი ახალი გამოცემული იყო — მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატორები ბელოუს ფოლკნერის რანგის შემოქმედად მიიჩნევენ და მასთან ერთად, XX საუკუნის ამერიკული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ავტორად ასახელებენ, საქართველოში დიდად არ იცნობდნენ მის შემოქმედებას — ჩვენმა ცნობილმა მთარგმნელმა, მედეა ზაალიშვილმა გამაოქმედა წერილი ჩემს თარგმანზე, ბელოუს პირველ ქართულენოვან გამოცემაზე, და შევხვდით კიდეც ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი მედეა ამერიკელი ნობელიანტის მთელ შემოქმედებას იცნობს, მისი ერთგული მკითხველია და მისი წიგნებიც აქვს სახლში. მას შემდეგ ხშირად ვსტუმრობდი ქალბატონს, პროფესიული რჩევისთვისაც მივმართავდი ხოლმე და ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას მიტხრა: „არსებობს ერთი ძალიან კარგი წიგნი, სტაინბეკის „თაგვებსა და ადამიანებზე“, რომლის თარგმნაც ძალიან მინდოდა, მაგრამ რალაცნაირად არ აეწყო ეს ამბავი. ვიცი, ვერც სამომავლოდ მოვიცილი ამისთვის და იქნებ გეცადა“. მაშინ ანა პოლიტკოვსკაიას „პუტინის რუსეთზე“ ვმუშაობდი და სტაინბეკის ნაშრომს გავეცნობი-მეთქი, ქალბატონ მედეას კი ვუთხარი, მაგრამ ვერ მოვიცალე. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გამახსენდა მისი რჩევა და წიგნი ვთხოვე. ჩანდა, თვითონაც გარკვეულწილად ემუშავა ტექსტზე, ზოგიერთ სიტყვას ფანქრით ჰქონდა მიწერილი ქართული შესატყვისები. ნაიკითხველმა მივხატა, რომ „ჩემი“ წიგნი იყო და არ უნდა მეთქვა მასზე უარი. ჩემი გეგმები გამომცემლობა „არტანუჯს“ გავუზიარე და მალევე შევთანხმდით. ისევ შევხვდი სტაინბეკს, ჩემი ბავშვობის ავტორს. ეს შეხვედრა ძალიან სომბოლურია ჩემთვის ბევრ კონტექსტში. დარწმუნებული ვიყავი, რომ შემთხვევითი არაფერი მომხდარა, უფრო მეტიც, ყველა ნაბიჯი წინასწარ გააზრებული და დაგეგმილიც კი მეგონა. წიგნი თავისით მოვიდა ჩემთან. საერთოდ, მჯერა, რომ არსებობს მთარგმნელის ბედისწერა. რალაცნაირად, არა მხოლოდ ჩვენ, მთარგმნელები ვპოულობთ წიგნებს, წიგნებიც მოდიან ჩვენთან, ზოგჯერ სხვა ადამიანების ხელით, ან რაიმე სხვა გზებით, მაგრამ თუ სწორედ ჩვენ ვართ ამა თუ იმ წიგნის მეურვე, აუცილებლად მოგვაკითხავენ. ამ განსაკუთრებული შემთხვევისა და თავად ნაწარმოების ღირებულების გამოც, წიგნის მიმართ გამორჩეული დამოკიდებულება გამიჩნდა. ძალიან მიყვარს თითოეული პერსონაჟი და მათი ტრაგიკული ამბავი. ეს არის იგავი დანაშაულზე, მარტოობაზე, იმედსა და უიმედობაზე, ადამიანების ოცნებებზე რთულ და წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში. ამიტომ ძალიან მიხარია, რომ მთელი ჩემი ემოცია, ძალისხმევა, რომელიც ამ წიგნს უკავშირდება, რომელიც ამ წიგნისთვის გავეცი, არ დარჩა უპასუხოდ და თითქოს ბუმერანგით უკან დამიბრუნდა. წიგნი შეამჩნიეს.

— ალბათ თითოეულ მთარგმნელს ტექსტზე მუშაობისას თავისი პრიორიტეტი აქვს, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს თავს, მუშაობის მეთოდებიც, სტილიც ალბათ ძალიან ინდივიდუალურია. შენ, როგორც მთარგმნელი, რა ამოცანებს ისახავ ხოლმე, რას უფრო მეტად აქცევ ყურადღებას — ენას, სტილს, მუსიკას, ხასიათს?

— სხვადასხვა წიგნზე სხვადასხვანაირად ვმუშაობ, გამომდინარე იქიდან, თუ რა არის განმსაზღვრელი თავად ორიგინალურ ტექსტში, რა არის მისი ამოსავალი. როცა სწავლობ წიგნს, სწავლობ არა მხოლოდ მის შინაარსს, მის არსს, არამედ ფორმას, მუსიკას და თითოეულ კომპონენტს, რაც ერთობლიობაში ქმნის იმ მხატვრულ სამყაროს, რომელიც ქართულად უნდა აამეტყველო. ამასთან, ტექსტის შესწავლის პროცესში, ერთგვარად აყალიბებ პრიორიტეტებს და ასე ვთქვათ, „უთანხმდეები“ ავტორს ძირითად თემებზე. ყველა წიგნს თავისი გასაღები აქვს. ბევრი რამ უნდა შეინარჩუნო და დაიცვა. მთარგმნელმა დიდი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს, იფიქროს იმაზე, რომ მწერალი და წიგნი მის ხელშია — მას შეუძლია ავტორი, მთელი მისი დიდებულიება და თუნდაც ნაკლოვანებებით წარმოაჩინოს თავის ქვეყანაში და შეუძლია, სამუდამოდ მოკლას მწერალი იმ ენაზე, რომელზეც თარგმნის. ხშირად ვფიქრობ ჩემ მიერ თარგმნილ ავტორებზე, ნეტავ რას იტყვინებენ ცოცხლები რომ იყვნენ და ქართული ტექსტის ნაკითხვა შეეძლოთ, ნეტავ თუ იცნობდნენ თავის ნაწარმოებს, მოიწონებდნენ? თუ მეტყობდნენ, რომ ეს სულ სხვა წიგნია — „სხვა“ ცუდი ან „სხვა“ კარგი წიგნი?! ამიტომ ვფიქრობ, სანამ თარგმნას მივყოფდეთ ხელს, დიდი პასუხისმგებლობა უნდა ვიგრძნოთ როგორც საკუთარი თავის, ისე ჩვენი პროფესიის წინაშე, და, ბუნებრივია, იმ ავტორების წინაშეც, რომელთა შემოქმედებაზეც ვმუშაობთ.

— ანა პოლიტკოვსკაიას „პუტინის რუსეთი“ — არც ეს „ჩაივლიდა“ უკვლავ. წიგნის ავტორი — ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე — გულგრილს არავის დატოვებს. ამიტომაც „პუტინის რუსეთი“ მრავალთაშიანი ტრაჟიკული უკვე გაყიდულია სხვადასხვა ქვეყანაში. ქართული მკითხველისთვის ის, რასაც ავტორი ყვება, განსაკუთრებით ნაცნობი და საინტერესოა.

— თარგმანის ბედისწერაზე რომ ვამბობდი, ხომ გახსოვთ — ამ წიგნთან და მის ავტორთან შეხვედრით კიდეც ერთხელ დავრწმუნდი, რომ მთარგმნელისა და ორიგინალ ტექსტის ავტორის ურთიერთობა, თითქმის ყოველთვის, რალაც ძალიან მნიშვნელოვანს უკავშირდება და შემთხვევითი არ არის. პროექტზე მუშაობას სანამ დავიწყებდი, ცხოვრებაში ალბათ ყველაზე რთული პერიოდი მედგა, საკუთარი თავისთვის ბევრი რამის დამტკიცება მჭირდებოდა, ჩემს შინაგან ძალებში უნდა დავრწმუნებულიყავი. ამ დროს გამომცემლობამ მიიღო გადაწყვეტილება, „პუტინის რუსეთი“ გამოეცა და წიგნი ჩემს ხელთ აღმოჩნდა. პოლიტკოვსკაია იმთავითვე ცნობილი იყო რუსეთის გარეთაც, წიგნის თარგმნამდე ბევრი მსმენოდა მასზე. როგორც იცით, ის „ნოვია გაზეტას“ კორესპონდენტი იყო, უშიშრად ამხელდა

რუსეთის პრეზიდენტებს, რეჟიმს, პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, ბიუროკრატებს, სამხედრო მაღალჩინოსნებს. რაც მთავარია, ანა იყო ის ადამიანი, ვინც ჩვენთვის ომზე სიმართლე გააგებინა მსოფლიოს, რუსეთის ნამდვილი სახე დაანახა. მოგვიანებით მან უმუშაოდ პუტინზე და იმ ტერორზე დაიწყო წერა, ქვეყანაში რომ სუფევდა. წიგნის კითხვა რომ დავიწყებ, მივხვდი, სწორედ ეს მჭირდებოდა — ანას პიროვნული ძლიერების, მისი ჟურნალისტური და სამოქალაქო გამბეობის მაგალითი. მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი საკითხავია, ვერ მოვწყდი. შემდეგ თარგმნას შევედექი, ხუთი-ექვსი თვე ვიმუშავე ტექსტზე და მთელი ის დრო ვსაზრდობდი ანას შემართებით, მისით ვძლიერდებოდი, ჩემთვის ეს დიდი თავგადასავალი იყო. სიმართლე გითხრა, სულ მეგონა, რომ მასთან ერთად გავატარებ მთელი ის პერიოდი — ავტორს მიკედლებულმა.

— ანა ბევრისთვისაა მაგალითი და მიმაჩნია, მისი წიგნი, როგორც დღევანდელთვის მატიანე, თანამედროვე მკითხველმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს.

— ვფიქრობ, განსაკუთრებით ჟურნალისტებისთვის უნდა იყოს სამაგიდო წიგნი. ძალიან იშვიათად შეხვდებით ასეთი დონის ჟურნალისტს. მისი იარაღი იყო კალამი და სიმართლე, რომელიც უპირისპირდებოდა ტერორსა და ავტორიტარიზმს. როგორც ჟურნალისტი, ჰქონდა ძალიან მაღალი სამოქალაქო შეგნება, პასუხისმგებლობა და იმ ადამიანების სიყვარული, ვისთვისაც წერდა. ერთგან მისი მეუღლე იხსენებს, როცა მუშაობდა, ვერ მიეკარებოდი, ვულკანივით იყო. ქმარმა ვერ გაუძლო მისი ცხოვრების სტილს და დაშორდა. თუმცა ანას ჰქონდა იდეა და იცოდა, რისთვის ცხოვრობდა. თანამედროვე რუსეთის იმპერიაში ქალმა ასეთ ზენოლასა და დევნას გაუძლო და იდეის ერთგული დარჩეს ბოლომდე — წარმოუდგენლად რთულია ალბათ. ამიტომაც მისი საქმიანობა ვინრო ჟურნალისტიკას გასცდა და საზოგადო მოღვაწის სახელი დაუმკვიდრა პოლიტკოვსკაიას. ხალხიც დიდი სიყვარულით პასუხობდა, როგორც მსსნელს, ისე უყურებდნენ. პრინციპში, თუ გადაწყვეტილებას მიიღებ და რალაცისთვის თავს გადადებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო. შუა გზაში გაჩერება, უკან დახევას მე პირადად ყველაფერი მირჩევნია, ამას სჯობს, თავიდანვე არაფერი ნაშოინყო. ანას სულ ჰქონდა იმის შეგრძნება, რომ ყოველი სტატიით, გამოსვლით, საჯარო მხილებით, გარდაუვალ სიკვდილს უახლოვდებოდა. მაინც არ გაჩერდა. მოახლოვებულ საფრთხეზე, სიკვდილზე რომ ეფიქრა, ვერაფერს შეძლებდა. ეს წიგნი არა მხოლოდ ჟურნალისტებმა უნდა იკითხოონ, ნებისმიერ ადამიანს დაინტერესებს. ანა ყვება, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ პოლიტიკოსები, როგორ გაყვრიან თვალში ნაცარს და იყენებენ მედიასაშუალებებს, რათა სულ სხვა კუთხით დაგვანახონ სიმართლე და დაგვაშორონ მას. ცხადია, წიგნი არის პუტინის რუსეთზე, მაგრამ ვინც ნაიკითხავს ამ წიგნს, აუცილებლად გაახსენდება ანალოგები, გაიხსენებს ახლო წარსულს, საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდს, რომელიც გამოვიარეთ. ავტორს ბევრი ფაქტი მოჰყავს და საინტერესო ანალიზს აკეთებს. პოლიტკოვსკაია სანდო წყაროა, მკითხველმა ეს იცის.

— პირველი პოეტური კრებული — „კარდოგრაფა“ — 2012 წელს გამოეცა. მეორე წელს კი შენი რომანი — „Check-In“ — გამოვიდა. რა გზა გაიარე კრებულამდე და კრებულისგან რომანამდე?

— „კარდოგრაფა“ „ინტელექტმა“ გამოსცა. მოულოდნელად მივიღე შეთავაზება, წიგნზე ნაკლებად ვფიქრობდი, თუმცა ლექსებს მუდმივად ვებჭადავდი პერიოდიკაში. წიგნის გამოსვლა ძალიან დიდი მოვლენა იყო ჩემს ცხოვრებაში. იმიტომ, რომ ლექსებს ბავშვობიდან ვწერ და როგორც ხდება ხოლმე, წლების განმავლობაში ბევრი იმედგაცრუებაც მქონია და დიდი სიხარულიც. რალაცნაირად, წერაში ვისწავლე ცხოვრება. ლიტერატურასთან დამაკავშირა სწორედ პოეზიამ, ლექსი ხიდივით გაიღო ჩვენ შორის. საერთოდ, სულ მეგონა, რომ ამ ცხოვრებაში ყველაზე მეტად პოეტი ვარ. ვინც კარგად მიცნობს, ისინიც ასე ფიქრობენ.

დღევანდელი გადასახედიდან, „კარდოგრაფაში“ რა თქმა უნდა, რალაცები



ალარ მომწონს, ასე ხშირად ხდება ხოლმე. თუმცა ეს კარგია, ერთგვარად იმის მანიშნებელია, რომ გავიზარდე, შევიცვალე და, ზოგადად, წერის სტილიც შემიცვალა. კრებულში რალაცებს შევცვლიდი, რალაცას ამოვიღებდი, ახალს ჩავამატებდი, მაგრამ კარგია, რომ ამის საშუალება არ მაქვს, იმიტომ, რომ ის წიგნი ასახავს იმ პერიოდს, რომელიც ფაქტია, რომ გამოვიარე, რომელიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ჩემი ცხოვრების ისტორიის ნაწილად დარჩა.

— „Check-In“-ის ანოტაციაში ასე წერია: „ჩვენ წინაშეა სამოგზაურო რომანის ყალიბში მოქცეული დაუნერული ლექსები“. მასსოვს, ფეისბუქზე შენი მოგზაურობის ფოტოებს რომ დებდი ხოლმე, ქვეშ მინერული კომენტარები ლექსებივით იკითხებოდა.

— რაც შეეხება რომანს, მისი დაწერა რომ გადამწყვიტა და სამუშაოდ დავმჯდარიყავი — ასე არ მომხდარა. წიგნი ჩემს მოგზაურობებს უკავშირდება. 2012-2014 წლებში განსაკუთრებით ბევრს ვმოგზაურობდი, ბევრი ქვეყანა მოვიწვი. სამოგზაურო რომანი — ეს ჟანრი ბატონმა ლევან ბრეგვაძემ შეგვარჩევინა. მოგზაურობისას ჩანანერებს ვაკეთებდი, რომ არ დამვიწყებოდა ის, რასაც ვხედავდი და განვიცდიდი. ბევრი დამიგროვდა. შემდეგ სამოგზაურო თემებზე შევქმენი ბლოგი, სადაც პერიოდულად ვაკვეყნებდი ხოლმე სხვადასხვა ჩანანერს, ვყვებოდი ჩემს შთაბეჭდილებებზე. ბოლოს „ინტელექტის“ რედაქტორმა ზვიად კვარაცხელიამ შემომთავაზა, ჩანანერები წიგნად შექმნილიყვნენ და ვფიქრობ, ამაზე და გადავწყვიტე, რომანი ყოფილიყო სამოგზაუროც და ავტობიოგრაფიულიც. შეიძლება, ავტობიოგრაფიული ლიტერატურის გამოცემა ჩემთვის ადრეა, მაგრამ წიგნი, როგორც იცით, მთელ ცხოვრებას არ მოიცავს, უბრალოდ, გარკვეულ კონტექსტში უკავშირდება მოგზაურობას, უპირველესად, საკუთარ თავში, და შემდეგ, ჩვეულებრივ, საკუთარ თავს გარეთ. „Check-In“ ძალიან მნიშვნელოვანი წიგნია ჩემთვის და მართალია, წიგნს მიძღვნა არ აქვს, მაგრამ რომანი ყოველი თავიდან და ყველა მონაკვეთიდან, მკითხველი ალბათ იგრძნობს, რომ წიგნი ეძღვნება მამას — ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანს, ჩემი შემოქმედების დიდ მხარდამჭერს, ნამქუბუნელს და გულშემატკივარს. მინდოდა, ამ წიგნით მაღლობა მეთქვა მისთვის. „Check-In“ არის სამოგზაურო რომანიც და დოკუმენტური პროზაც. ვფიქრობ, კარგია, როგორც ავტორმა, ამ ჟანრშიც რომ ვიმუშავე.

— მართალია, პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში ხშირად იბეჭდები, მაგრამ ორიგინალური თუ თარგმნილი წიგნი დიდი ხანია, არ გამოგიცია. ვფიქრობ, რადგან „საბა“ ერთგვარ ეტაპად, თუ მძლავრ სტიმულად იქცევა ხოლმე კონკურსანტების შემოქმედებაში, შენგანაც სიახლეს უნდა ველოდო.

— როგორც უკვე ვთქვი, „საბას“ ფინალისტებს შორის მოხვედრა მოულოდნელობა იყო ჩემთვის და, იმავდროულად, დიდი სიხარულის მომტანიც. უცებ დავფიქრდი, რომ დიდი ხანია, არც ორიგინალურ ლიტერატურაში, არც თარგმანის მხრივ არაფერი გამიკეთებია, რადგან ბოლო დროს თითქმის მთელ ჩემს დროს პროფესიულ საქმიანობას ვუთმობ. სინაულის გრძნობა დამეუფლა, რომ ველარ ვიცილი წერისთვის, ამას ხომ დროს გარდა, განწყობა, გარემო და ენერჯია სჭირდება. მეორე დღესვე დავიწყე ფიქრი რალაც ახალზე, ახალ თარგმანზე. სხვათა შორის, ფაქტობრივად, შერჩეული მაქვს ნაწარმოები, რომელზეც ვიმუშავე, რედაქტორთან და გამომცემელთანაც — შეთანხმებული. ოღონდ, ავტორის ვინაობას ახლა ვერ გაგიმხელთ. ჩვეულებრივ, წიგნს, რომელსაც ვთარგმნი, მხოლოდ მაშინ ვასაჯაროებ ხოლმე, როცა თითქმის ვამთავრებ სამუშაოს. იქამდე კი დამალვა, გასაიდუმლოება მიყვარს — ესეც ერთგვარი რიტუალია ჩემთვის. სანამ არ დავრწმუნდები, რომ მიზანს მივუახლოვდი, რომ სირთულეებს გავუმკლავდი, ყველა გამონკვევა დავძევი, მანამდე ჩემთვის ინტიმურ თემად რჩება ჩემი სამუშაო და, როგორც პირად ცხოვრებაზე, ამაზეც არასდროს ვსაუბრობ.



ხშირი თავის ტკივილების გამო ექიმ-მა ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა დაინიშნა. ჩემს მეუღლეს გადაღებაზე დასწრების უფლება დართეს, რა თქმა უნდა, ჩემი ნებართვის გათვალისწინებით.

ტექნიკოსმა, ხმაურს რომ არ შეეწინააღმდეგებინე, ყურებში ჩასადები პატარა ბურთულები და პულტი მომცა. საჭიროების შემთხვევაში, პულტზე ხელის დაჭერით, აპარატიდან გამოყვანა შემდეგ მომეთხოვა.

დახურული სივრცის მოყვარული არ ვარ, მაგრამ რახან ხმის მიწვევის საშუალება დამიბოძეს, დავმშვიდდი. შიგნით, აპარატი ძლიერი ვენტილაცია სახეში ქარივით მიბერავდა, უსიამოვნო შეგრძნებაც ერთბაშად გამიქრა.

ყურებში ჩასადები ბურთულები დანიშნულ ფუნქციას ვერ ასრულებდა. აპარატი ხმებს თითქოს ორგვარად გამოსცემდა: გაბმულ კაკუნს — დგდგდგდგ — პერიოდულად ხანმოკლე ტკტკტკტკ ცვლიდა. მერე ისევ დგდგდგ, ტკტკტკტკ და ასე გაუთავებლად...

10 წლის ვარ. მე და ჩემი მეგობარი ნათია, რომელიც მეზობლად ცხოვრობს, ბებიჩემის საერთო აივანზე ვთამაშობთ. სახლს სამზარეულოც საერთო აქვს, რომელსაც ბებიჩემის გარდა კიდევ სამი ოჯახი იყოს.

ერთ-ერთ ბინაში თამარა ცხოვრობს. მკაცრი ქალია და შენიშვნების მოცემა უყვარს. მე და ნათიას მისი ცოტა გვეშინია. თამარას ბინას ორი კარი აქვს. ერთი დერეფანში გადის, რომელიც თავის მხრივ სამზარეულოს უერთდება, მეორე კი — გრძელ აივანზე. აივნის მხრიდანაც შესაძლებელია სამზარეულომდე მისვლა, მაგრამ გარეთ გასვლა, მით უმეტეს სიცივეში, მოუხერხებელია. ამიტომ თამარა სამზარეულომდე, ჩვეულებრივ, დერეფნის გავლით დადის.

დიდი ხანი არაა, რაც ჩვენ ახალი გასართობი მოვიფიქრეთ. შებინდებისას ვუთვალთვალეთ თამარას და ველოდებით მის სამზარეულოში გასვლას. როგორც კი გავა, ერთ-ერთი ჩვენგანი აივნის მხრის კარიდან მის ოთახში უნდა შეიპაროს, თამარას დაბრუნებამდე მოასწროს მაგიდას სირბილით ოცი წრე დაარტყას, შემდეგ ხის სარწვევლაზე ჩამოჯდეს და ოცჯერ გაქანდეს. გამოსვლისას კი რაიმე ნივთს ადგილი შეუნაცვლოს. მეორეს თავისუფლად შეუძლია, ამ ქმედებას აივნის კარიდან თვალი ადევნოს.

შეგნებულად საღამო შევარჩიეთ, დღისით ეს ყველაფერი გაცილებით ადვილი შესასრულებელია, რადგან თამარას დიდხანს უნევს სამზარეულოში დარჩენა — ან სადილს ამზადებს, ან მეზობლებს ელაპარაკება. საღამოობით კი ხანმოკლე დროით გადის და არაავნი იცის, როდის დაბრუნდება, ამიტომ რისკი მეტია, თანაც თამარას ოთახი სიბნელეში საიდუმლოებითაა მოცული.

დიდხანს ვუთვალთვალეთ თამარას. ბოლოს სამზარეულოში გადის. ჩემი ჯერია. ოთახში შევრბივარ. ბნელა, ჩართული ტელევიზორის შუქი ანათებს. სიბნელე ხელს არ მიშლის, თამარას ოთახს უკვე ხუთი თითივით ვიცი. მაგიდის გარშემო სირბილის რიტუალი წარმატებით ჩავათავე, სავარძელზე ჩამოვჯექი და გავქანდი, ხმამაღლა ვითვლი. ამ დროს მესმის, როგორ იღება კარი და ოთახში ვილაც შემოდის. ზურგით ვზივარ, შემოსულს ვერ ვხედავ. შიშისგან თავსაც ვერ ვაბრუნებ, თვლების ოდნავი მოძრაობით თამარას ჭრელ ხალათს ვარჩევ და ადგილზევე ვშემდეგი. აივანზე გამავალი კარი შორს არაა, მაგრამ გაქვავებულივით ვარ, ვერ ვინძრევი. თამარა ნელა დააბიჯებს ოთახში, თითქოს რაღაცას ეძებს, შემდეგ ვგრძნობ, როგორ მამჩნევს. ჩემკენ მოდის. იმდენად ახლოსაა, მისი სუნთქვაც მესმის. მოჯადოებულივით ვზივარ, პირის სიმ-



მაია ციციშვილი მეხსიერების არქივიდან

შრალისგან ენას ვერ ვატრიალებ. თამარა მდუმარედ დგას ჩემ უკან. არ ვიცი, რამდენი ხანი გრძელდება ასე, მერე თითქოს ვფხიზლდები, ძალა მიბრუნდება, სავარძლიდან ვხტები და აივანზე კივილით გამოვრბივარ: თამარაააააააა!!

— გიჟი ხარ, რა გაყვირებს?! — მეუბნება გაკვირებული ნათია.

— თამარა, თამარა დაბრუნდა. იცი, რა საშიში იყო, ნელ-ნელა მოდიოდა ჩემკენ, მერე ზურგს უკან დამიდგა, სუნთქვაც მესმოდა.

— რა მაცყუარა ხარ! — იცინის ნათია, — თამარა სამზარეულოშია, არც გამოსულა იქიდან, ახლაც იქ არის. თუ გინდა, შეიხედე. ბებიამენს ელაპარაკება.

მესმის ტექნიკოსის ხმა, გადაღება დამთავრდა, გამოვყავართ აპარატიდან.

— ვინ თამარას ეძახდი?! — მეკითხება მეუღლე.

გაოგნებული ვარ.

საოცარი რამაა ტვინი, არაფერს ივწყებს, სადღაც ტვინის საფეთქლის შრებში ღრმად ინახავს ნანახსა და განცდილს. შესაძლებელია, ხმის ტალღების მიერ გამოწვეული ჰაერის ვიბრაციის აღქმით, თავის ტვინის ქერქის იმ ნაწილის აქტივობაცაა მოხდა, რომელიც მეხსიერე-

ბასთანაა დაკავშირებული, რამაც უცებ თავიდან ამოატივტივა წლების წინ მივიწყებული ეპიზოდები. უცნაური ისაა, რომ ეს ამბავი სულაც არ ეკუთვნის ჩემი ბავშვობის ყველაზე მძაფრი მოგონებების რიცხვს. ეს გართობა მალე მოგვებრდა. იმ დღის შემდეგ, მგონი, აღარც გამხსენებია, მოულოდნელად კი მთელი სიცხადით განმეორდა. როგორც ჩანს, მთელი ამ წლების განმავლობაში მეხსიერების არქივში ინახებოდა, უმნიშვნელო დეტალების დაცვით.

სახლისკენ მიმავალი ისევ ამ ამბავზე ვფიქრობ.

წარმოვიდგინე, ჰორიზონტზე გამოჩნდა აპარატი, რომელსაც შეუძლია ტვინის ქერქის გარკვეული ნაწილის სტიმულაციით მეხსიერების გამოწვევა, ხელახლა რომ განიცადო ერთხელ უკვე მომხდარი ყველა ის ეპიზოდი, რისი გამეორების სურვილიც გაგიჩნდება.

როგორც ჩვეულებრივ ხდება, აპარატს დამკვიდრებამდე რამდენიმე ინსტანციის გავლა მოუწევს. საკითხს განსახილველად ეთიკის კომისიაზე გაიტანენ, გამოუჩნდება მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

მოწინააღმდეგეთა აზრით, მეხსიერებას ინფორმაციის შენახვისა და საჭიროების

ასეთ უცნაურ ფიქრებში გართული, აღარც მახსოვს, სახლთან როგორ აღმოვჩნდი.

ისე გამიბოძა ფიქრებმა, წარმოსახვით თითქოს მეც ვმონანილეობ აპარატის სარგებლობის განხილვაში:

— არა, არა, ჩემთვის ერთხელ განცდილი სრულიად საკმარისია!

ეტყობა, ხმამაღლა მომივიდა. Front desk-ის მორიგე გაკვირვებული მიყურებს. ვუღიმი და ლიფტისკენ მივდივარ.

— რა გაუკვირდა ასეთი?! — ვფიქრობ ჩემთვის — თავის თავთან მოლაპარაკე ადამიანები არ უნახავს?

ისევ ჩემს ფიქრებს ვუბრუნდები. დღევანდელი დღით თუ ვიმსჯელებთ, შეუძლებელია, არ დაიჯერო, რომ ტექნოლოგიამ ჩვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალა. მთავარია, მისმა სწრაფმა განვითარებამ გვერდით არ განიოს ადამიანი, იყოს ცოცხალი ურთერთობების სტიმულატორი და არა — შემცველი.

რა იქნება მომავალში: ბევრი ტექნიკა და ნაკლები კულტურა? დარჩება რაღაც ამოუცნობი, თუ ყველაფერი და მათ შორის ადამიანიც იმუშავებს მიცემული ალგორითმის მიხედვით.

ზოგი მეცნიერის აზრით, ადამიანის გონებასა და შესაძლებლობებთან მაქსიმალურად დაახლოებული ხელოვნური ინტელექტის შექმნა კაცობრიობის არსებობას საფრთხეს უქმნის.


სად გატარდება ზღვარი? დღეს ამ კითხვებს ვერანაირი კომისია ვერ გასცემს პასუხს.

გამარჯვება კი ისევ ტექნიკის მხარეს რჩება, რადგან მისი ხშირი კრიტიკოსებიც კი, ჩემი ჩათვლით, ძალიან კომფორტულად იყენებენ ამ ყველაფერს.

სახლში მისულს მობილურის ჩართვა გამახსენდა. შეტყობინებები ძირითადად თბილისიდანაა. ბოლო ჩემი მეგობრის, თამარიკოსგან, თბილისის დროით ღამის ორ საათზეა გამოგზავნილი:

„სად დაიკარგე, ვნერვიულობთ. ნათია ახლახან წავიდა სახლში. რა დროც უნდა იყოს, მოგვწერე, როგორ ჩაიარა.“

მოკლედ ვპასუხობ: „საინტერესო იყო, ზვალ მოგიყვებით.“



ლიტერატურული გაზეთი
 რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ყურული**
 მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ISSN 2346-7940
 9 772346 794004